140
1989/2

ISSN 0132 - 6007



# პიონერი

3
1989

## ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

**ნინო ხარაზიშვილი**
ოლეგ გველესიანის ფოტო

თბილისში ბევრია მრავალეროვნული უბანი თუ რაიონი. თბილისური უბნებისა და ეზოების ეს კოლორიტი ჩვენი ქალაქის არაერთ სტუმარს მოხვედრია თვალში და მოსწონებია.

როცა ამ კოლორიტზე ვლაპარაკობთ, რატომღაც უფრო დედაქალაქის ძველ უბნებს ვიხსენებთ ხოლმე. არადა, არის თბილისში ათიოცი წლის და კიდევ უფრო ახალი დასახლებული რაიონები, რომლებიც, უპირველესად, სწორედ ამ თვისებით მიგიზიდავთ.

გლდანის დასახლება მათ შორის, გარკვეულწილად, პრიორიტეტულია. ინტერნაციონალიზმი ამ დასახლების საფუძველთა საფუძველში დევს. გაინტერესებთ მისი მხოლოდ ერთი მიკრორაიონის ეროვნული ნაირგვარობა? მოგახსენებთ: 2451 ქართველი, 1963 რუსი, 2019 სომეხი, 3970 იეზიდი, 399 ქურთი, 156 აზერბაიჯანელი, 162 ბერძენი, 118 თათარი, 110 ოსი, 48 ებრაელი, 37 ლეკი, 34 გერმანელი, 32 აისორი, 24 თურქი. ეს ციფრები გლდანის დასახლების მხოლოდ ერთი, „ვეტერანი" უბნის — პირველი მიკრორაიონის — ეროვნულ შემადგენლობას გვისურათებს, და ალბათ აქვე უნდა დავაზუსტოთ ერთი მონაცემიც: მიკრორაიონის 11.523 მოსახლეს შორის 2.479 მოზარდია.

ალბათ შეგვეკითხებით, საიდან გვაქვს ასეთი ზუსტი ციფრები? აქაური მოსწავლეები, თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ნორჩი ინტერნაციონალისტები დაგვეხმარნენ. სქელტანიან ალბომს, რომელიც მათ ინტერკლუბში ყველაზე საპატიო ადგილას დევს, ასეც ჰქვია: „გლდანის პირველი მიკრორაიონი — ძმობისა და მეგობრობის მიკრორაიონი". და



# „მეგობარი მეგობრით იცნობა"

ეს რომ ლიტონი სიტყვები არ გახლავთ, ამ სკოლაში მცირე ხანს ყოფნაც დაგარწმუნებთ: 39-ე საშუალო სკოლის 1000-ზე მეტ მოსწავლეს შორის ხომ ყველა ამ ერისა და ეროვნების ნორჩი წარმომადგენელია. დიახ, ისინი ყველანი ქართულ სკოლაში სწავლობენ, ერთნაირი გულმოდგინებით ეუფლებიან დიდი შოთასა და ილიას ენას, ითავისებენ ქართველი კაცის სულსა და გულში საუკუნეთა მანძილზე გამოკვეთილ ჰუმანისტურ თვისებებს.

39-ე სკოლელთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი დანიელ ფერის სახელს ატარებს. იგი იმდენივე წლისაა, რამდენისაც სკოლა და მისი პიონერული თუ კომკავშირული ორგანიზაციები. ამ რამდენიმე წელიწადში კლუბმა მუშაობის საკმაოდ საინტერესო გამოცდილება დააგროვა. კლუბის ძირითადი სიმდიდრეა მეგობრული კონტაქტები, რითაც იგი ძალზე ამაყობს. დღე ერთია და, კლუბის სახელზე ათობით მეგობრული წერილი მოდის სკოლაში. ადრესატი ბევრია, ასევე, ბევრნი არიან ამ მეგობრული სტრიქონების ავტორებიც. ისინი იწერებიან კიევიდან, ლენინგრადიდან, ვოლგოგრადიდან, რიგიდან, ტალინიდან, კაუნასიდან, ასე გასინჯეთ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდანაც. ამ რესპუბლიკასთან 39-ე სკოლის ინტერკლუბს განსაკუთრებული კეთილგანწყობა აკავშირებს. მთელ რიგ კლასებს აქვთ მიმოწერა გერმანელ თანატოლებთან. აი, მაგალითად, ცაგო მასწავლებლის მეექვსე კლასი დრეზდენის 39-ე სკოლის მოსწავლეებთან მეგობრობს, გდრ-თან აქვთ მიმოწერა ცისმარ მასწავლებლის მეცხრეკლასელებსაც. ჰო, მართლა, ამ მოსწავლეებზე გაგვახსენდა, ცისმარ მასწავლებლის ამ კლასში ერთი გამორჩეული გოგონა სწავლობს — ეკა ლომიტაშვილი, მემილიონე თბილისელი. ეკას დაბადების წელი მოზრდილ თბილისელებს ალბათ კარგად მოაგონდებათ — აჭრელებული იყო დედაქალაქის ჟურნალ-გაზეთები, ყველა ულოცავდა ერთმანეთს თბილისის მემილიონე მოქალაქის დაბადებას.

ამ რამდენიმე წლის წინ კი (მაშინ ეკა მხოლოდ რვა წლისა იყო) იგი გდრ-დან ჩამოსულ ჟურნალისტს წარუდგინეს. ეს იყო ძია კურტი, იგი სპეციალურად ჩამოსულიყო ჩვენთან თბილისის მემილიონე მოქალაქეზე დოკუმენტური ფილმის გადასაღებად. მერე მან გადაიღო კიდეც ეს ფილმი, ოღონდ ცოტა უცნაური სახელწოდებით: „თბილისის მემილიონე მოქალაქის, პატარა ეკას ძებნაში" და მასში, ეკას ამბავთან ერთად, მის საპოვნელად თავს გადახდენილი თითქმის ყველა თავისი „ფათერაკი" ასახა. მას შემდეგ ძია კურტი ეკას მეგობარია. ეკა სისტემატუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

გამოდის
1926
წლიდან

საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა
3 მარტი 1989

რად აგზავნის წერილებს ბერლინში, იქიდანაც რეგულარულად იღებს აკურატულ ლამაზ ბარათებს.

მაინც ისე გამოგვივიდა, რომ 39-ე სკოლელთა მეგობრებიდან მხოლოდ უცხოეთსა და მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრებნი ჩამოვთვალეთ. მეგობარი კი გლდანელ მოსწავლეებს კიდევ უფრო მეტი ჰყავთ საქართველოში — ქუთაისში, სოხუმში, თელავში, ფოთში, დმანისში...

დმანისელებზე მაინც ცალკე გვინდა გიამბოთ... ეს მეგობრობა შარშან დაიწყო, როცა ინტერკლუბის ინიციატივით თბილისის 39-ე სკოლის მოსწავლეები დმანისს ესტუმრნენ, სვანეთიდან ჩამოსახლებული თანატოლები მოინახულეს, დიდძალი მხატვრული ლიტერატურა, ლამაზი სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები ჩაუტანეს. ეს მეგობრული მიმოწერაც მას შემდეგ გაიბა...

— დიდთოვლობამ დაგვაღალატა. თორემ ამ იანვრის არდადეგებზე დიდ სტუმრიანობას ვაპირებდითო, — გულდაწყვეტილმა გვითხრა 39-ე სკოლის ინტერკლუბის ხელმძღვანელმა, ფრანგული ენის მასწავლებელმა მერი დათუაშვილმა. დმანისელი სვანი ბავშვების გარდა, ტალინელი და ლენინგრადელი თანატოლების მოპატიჟებაც ჰქონიათ გადაწყვეტილი. რაღა გაეწყობოდა — მეგობრების ეს შეხვედრა მარტის ერთკვირიანი არდადეგებისთვის გადადეს.

ინტერკლუბის პრეზიდენტი, მეათეკლასელი მაია მელქაძე საღად მოაზროვნე, ყოჩაღი გოგონა ჩანს. მისი საზრიანობა კლუბის მუშაობასაც ეტყობა. მაია ამ ორი წლისწინანდელი არტეკელია. პიონერთა IX საკავშირო შეკრების სხვა აქტივისტთა შორის პიონერთა ბანაკ „ლესნაიაში“ გაუტარებია ზაფხული. შთაბეჭდილებებთან ერთად, მეგობრების მისამართებიც საკმაოდ ჩამოჰყვა. მეგობარი კი ნამდვილად ბევრი შეიძინა — უკრაინელები, ესტონელები, კორეელებიც კი. განსაკუთრებით ერთ ტალინელ გოგონას — რაუდცევ ანელისს დაუახლოვდა, მისი მეგობრული წერილებით ყველაზე მეტად არის განებივრებული.

მაიასა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტის — პიონერ ნათია მურვანიძის საქმიანი თვისებები ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ისევ ინტერკლუბს ადგება. ხალისიანი მუშაობაა გაშლილი 39-ე სკოლის ინტერკლუბელთა სექციებში. „ნაირფერყელსახვევიანთა მეგობრობის“ მუშაობას, სკოლის პიონერხელმძღვანელ ლალი ბარათაშვილთან ერთად, პიონერი ნინო ცხოვრებაშვილი წარმართავს. მოზარდები ინტერესით ეცნობიან მსოფლიოს ბავშვთა დემოკრატიული ორგანიზაციების ისტორიებსა და სტრუქტურებს, მათ მიზნებს, ტრადიციებსა და ატრიბუტიკას. მოგზაურობის მოყვარულნი გაერთიანებულნი არიან სექციაში „სსრკ ჩემი სამშობლოა“ (ხელმძღვანელები — პედაგოგი ციცინო დურგლიშვილი, მოსწავლე ნინო კალაძე). ამ სექციის წევრებს დაუსწრებელი მოგზაურობით უკვე შემოვლილი აქვთ თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი. მაგრამ დაინტერესებულ პიონერთა სიმრავლით მაინც ვერც ერთი ვერ შეედრება „მეგობრობის ფოსტას“ (ხელმძღვანელები — პედაგოგი ნანა ბასიაშვილი, მოსწავლე ხათუნა კენკებაშვილი). ამ სექციაში მუშაობა თურმე ყველას ძალიან ეხალისება... საერთოდ კი ხალისი და გულმოდგინება აქაურ ინტერკლუბელთა თვისებებია, ყველა დავალებასა და ღონისძიებას სულსა და გულს აქსოვენ. „ანტიფაშისტის დღე“ წელსაც ლამაზად აღნიშნეს. თებერვალში თავი განსაკუთრებით ისახელეს მეშვიდეკლასელებმა — მშვენიერი საღამო ჩაატარეს: „მეგობრობა გზად და ხიდად“. ახლაც ყველანი სასკოლო ინტერნაციონალური დღესასწაულისთვის ემზადებიან. ღონისძიებას ასე ერქმევა — „მარად იგუგუნე, მეგობრობის ხმავ!“ ამ ზეიმზე ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკა ეროვნული კოსტი-



წინა გვერდზე: მემილიონე თბილისელი ეკა ლომიძაშვილი

გატაცებით მუშაობს ინტერკლუბის აქტივი

19.3.90

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

უმებითა და ფოლკლორით იქნება წარმოდგენილი.

აქტივისტი საგრძნობლად ბევრი ჰყავთ 39-ე სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში. კლუბის ენერგიული პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ხომ უკვე ვახსენეთ... მოწადინება არც მის წევრებს აკლიათ — ირაკლი ლომიძეს, მაია რეხვიაშვილს, ნათია ციციშვილს, ნინო სულხანიშვილს, ეკა პატარაიას, მაია ლაბაძეს...

ჰო, მართლა... მაია ლაბაძე კომკავშირის კომიტეტთან არსებული რადიოკვანძის სპეციალურ რადიოგადაცემებს უძღვება. რადიოტრიბუნას დიდ შესვენებებზე უთმობენ ხოლმე ინტერკლუბს. საკმაოდ საქმიანი რუბრიკები აქვთ—„მშვიდობისათვის ბრძოლა ყველას საქმეა“, „ჩვენ მშვიდობა გვინდა“, „მსოფლიოს ბავშვები“ და სხვ. ეს გადაცემები სკოლის მოსწავლეთა შორის, რა ხანია, სიმპათიით სარგებლობს.

ალბათ, გახსენდებათ, გლდანის რაიონში მდებარე ამ სკოლაზე თხრობა სწორედ ბავშვების მიერ თავიანთ რაიონზე შეკრებილი ცნობებით დავიწყეთ... ალბომში კი, რომელსაც „გლდანის პირველი მიკრორაიონი— ძმობისა და მეგობრობის მიკრორაიონი“ ეწოდება, ჯერ კიდევ უამრავი თავისუფალი გვერდია. მასწავლებელმა მერი დათუაშვილმა „საიდუმლოდ“ გაგვანდო, რომ სკოლის ნორჩი ინტერნაციონალისტები ამჯერად თავიანთი მიკრორაიონის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას — მათი დასაქმების ხასიათს სწავლობენ. წარმატებას ვუსურვებთ მათ ამ საკმაოდ სერიოზულ საქმეში. ხომ ცნობილია, რომ ერთად გაკეთებული ყოველი საქმე გვერდით მყოფის, მეგობრის უკეთ შეცნობაშიც გვეხმარება?! ქართველებს კი ასეთი უბრალო სიმართლისაც გვწამს: მეგობარი მეგობრით იცნობა.

მალე ფხენიანში — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში — ერთმანეთს შეხვდებიან მატერიკები და კუნძულები; აჟღერდებიან ახალგაზრდული ხმები; ტელეტაიპები, რადიო, გაზეთები, სატელეფონო და საინფორმაციო სააგენტოები მთელ მსოფლიოს აუწყებენ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალის გახსნას.

და რა ენაზეც უნდა გაისმოდეს

# შენი სტრიქონი ფესტივ

ლაპარაკი საფესტივალო მანიფესტაციებზე — მალაიზიურად, იაპონურად, ესპანურად, ინგლისურად ან რუსულად — ყველასათვის ერთნაირად გასაგები და ახლობელი იქნება სიტყვები, „ომს — არა! მშვიდობას— კი!“ ყველასათვის გარკვეული და ძვირფასი იქნება ოთხათეულ წელს გამოტარებული ლოზუნგი ფესტივალისა — „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისა, მშვიდობისა და მეგობრობისათვის“.

პლანეტის სიჭაბუკის ფორუმისათვის მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად ემზადებიან ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების წევრები. ბევრი ასეთი კლუბის წევრებმა გამოგვიგზავნეს ჟურნალ „დრუჟბას“ რედაქციაში საფესტივალო სუვენირები, თვითნაკეთობები, სურათები და პლაკატები, ალბომები და კედლის გაზეთები, ლექსები და სიმღერები; და ჩვენც, როგორც შეგპირდით, საჟურნალო კორპუსის მე-12 სართულზე, სადაც ჩვენი რედაქციაა, მოვაწყვეთ ბავშვთა და ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოფენა. საუკეთესო ექსპონატებს დელეგაციის წევრები კორეელ ბავშვებს გადასცემენ.

ბევრმა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბმა მიიღო მონაწილეობა კონკურსში „გამარჯობა, ფესტივალო!“

შეგახსენებთ, რომ ამ ვიქტორინა-კონკურსის 10 კითხვა გამოქვეყნებული იყო ჩვენი ჟურნალის გასული წლის მე-3 ნომერში, ხოლო ვიქტორინა-კონკურსის შედეგები გამოცხადდება მიმდინარე წლის ზაფხულში, XIII მსოფლიო ფესტივალის გახსნის წინ. ამიტომ იმათ, ვისაც ჯერ არ გამოუგზავნია პასუხები, ვაცნობებთ, რომ შეუძლიათ შეუერთდნენ კონკურსის მონაწილეებს.

ამჯერად კი ჟურნალ „დრუჟბას“ რედაქცია ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების წევრებსა და ახალგაზრდული და პიონერული ჟურნალ-გაზეთების მკითხველებს იწვევს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო აქციაში: „სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მიერ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XIII მსოფლიო ფესტივალისადმი მისალმების მომზადება“.

გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ მისალმებაში თავისი სტრიქონის შეტანა შეუძლია ყველას. ჩვენს ახალ აქციას ხომ ასე ეწოდება: „შენი სტრიქონი ფესტივალისადმი მისალმებაში!“

როგორი იქნება ახალგაზრდობის ფორუმისადმი მისალმება? ეს თქვენზეა დამოკიდებული, ძვირფასო მკითხველებო. იმათ, ვისაც მოეწონება ჩვენი საერთაშორისო აქცია, უნდა შეავსონ ექსპრეს-კავშირის საფესტივალო ტალონი, ამოჭრან იგი და ოპერატიულად გამოგზავნონ მისამართით: 125015, Москва, А-15, ул. Новодмитровская, 5а, редакция журнала «Дружба».

# ალისადმი მისალმებაში

ექსპრეს-კავშირის ტალონის შევსებისას გახსოვდეთ, რომ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალი — ეს არის არნახული უნივერსალიზმით აღბეჭდილი საერთაშორისო შეხვედრები;

ეს ფეიერვერკია მანიფესტაციებისა, ჩირაღდნებით მსვლელობების, თეატრალიზებული სანახაობების და ეროვნული დელეგაციების გალა-კონცერტებისა, ახალგაზრდა მხატვართა სურათებისა და ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოფენებისა, სიმღერებისა და სპორტული შეჯიბრებ-კონკურსებისა.

ФЕСТИВАЛЬНЫЙ ТАЛОН ЭКСПРЕСС-СВЯЗИ

"Твоя строка в приветствии фестивалю!"

I. Ваши пожелания XIII Всемирному фестивалю молодежи и студентов ______________________

______________________

______________________

2. В каких предфестивальных делах Вы приняли участие

______________________

______________________

______________________

3. Фамилия, имя ______________________

4. Профессия или место учебы ______________________

______________________

5. Возраст ______________________

6. Являетесь ли Вы членом КИДа? Если "да", то какого

______________________

______________________

7. Ваш адрес ______________________

______________________

სიტყვა „ფესტივალი" ლათინურად ნიშნავს ზეიმს, დღესასწაულს. „მაგრამ, ცხადია, ფესტივალები მხოლოდ დღესასწაულები როდია, — თქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა მოსკოვის ფესტივალის გახსნაზე, — ცხოვრების პრობლემები ახალგაზრდებს აღელვებთ არანაკლები სიმძაფრით, ვიდრე უფროს თაობას. სიჭაბუკის მთელი მხურვალებით ილაშქრებს იგი სოციალური თანასწორობისა და ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ მიწის მთელი სიკეთე, ცივილიზაციის სიკეთე ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის, რომ ადამიანისა და კაცობრიობის ცხოვრებიდან სამუდამოდ გაქრეს ძალადობა და რასიზმი, უთანასწორობა და ჩაგვრა, მილიტარიზმი და აგრესია".

ახალგაზრდობის მომავალი ფორუმი ფხენიანში, უეჭველია, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფურცელს გადაშლის საფესტივალო მოძრაობაში. ჭაბუკები და ქალიშვილები განიხილავენ თანამედროვეობის სისხლხორცეულ საკითხებს, ჩაატარებენ მეგობრულ დისკუსიებს პლანეტის ბედზე, საკუთარ ბედზე, განსაზღვრავენ ახალგაზრდობის პროგრესული მოძრაობის, მოქმედების საერთო პლატფორმას, ურთიერთს გაუზიარებენ აზრს უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, მშვიდობის განმტკიცებაზე, მესამე ათასწლეულის დასაწყისისათვის ქიმიური და ბირთვული იარაღის მოსპობაზე, ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებაზე, გარემოს, ჩვენი საერთო სახლის — დედამიწის დაცვაზე.

ჩვენ მკითხველებისაგან ველით არა მარტო იმის სურვილს, რომ წარმატებით შესრულდეს ფესტივალის მრავალფეროვანი პროგრამა, არამედ ცნობებს იმ სამუშაოების შესახებ, რომლებსაც ახალგაზრდობის ფორუმისათვის მზადების პერიოდში ატარებენ კომკავშირული ორგანიზაციები, პიონერული რაზმეულები და ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები; ცნობებს ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოებზე, სოლიდარობის ბაზრობებზე, კომკავშირულ-ახალგაზრდულ შაბათობებზე, შრომით საჩუქრებზე, კონკრეტულ წვლილზე სოლიდარობის საერთაშორისო ფონდში და სხვ.

ჩვენ გვაინტერესებს ინფორმაციები წამოწყებების შესახებაც.

მაშ ასე, სიტყვა თქვენზეა, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, თქვენს მონაწილეობას საერთაშორისო აქციაში „შენი სტრიქონი ფესტივალისადმი მისალმებაში!" ჩვენ განვიხილავთ, როგორც კონკრეტულ წვლილს მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნში არის ასეთი სიტყვები:

ჩვენ, სხვადასხვა ხალხთა შვილები,
მშვიდობაზე ოცნებით ვცხოვრობთ.

დაე, ჩვენი წინასაფესტივალო დიდი თუ პატარა საქმეებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგას იქით, რომ მშვიდობაზე ოცნება რეალობად იქცეს.

ვ. ფირსოვი,
ჟურნალ „დრუჟბას" მთავარი რედაქტორი.



**ვლადიმერ ასლამაზიშვილი**

**მხატვარი ჯემალ ლოლუა**

**მოთხრობა**



— რა იყო, ხალხო, რა მოგივიდათ, ბუდეს ხელს არ ვახლებთ, ნუ გეშინიათ, — ამბობდა სკამზე შემდგარი გუგრუცანა და კედელზე ფანერას აჭედებდა, ურტყამდა ჩაქუჩს და წკრიალა ხმით მღეროდა:

მე პაწია მერცხალი ვარ,
მოჭიკჭიკე, მოალერსე,
არ გრცხვენია, უმიზეზოდ,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო, სესე!

მე დაბლიდან მეორე ხმა ვუთხარი. გუგრუცანამ გადმომხედა, მოწონების ნიშნად ჩაქუჩი დირიჟორის ჯოხივით აიქნია და გააგრძელა:

სიხარულით, სიყვარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვნესე.

ფანერა გამაგრდა. გუგრუცანა სკამიდან ჩამოვიდა. თითქოს სიმღერამ დააწყნარაო, მერცხლები დამშვიდდნენ. უცხოებმა ისევ ცაში გაინავარდეს, ჩვენი ბინის მუდმივი მდგმურები კი ბუდის კიდეზე დასხდნენ, თითქოს გვეუბნებოდნენ, თქვენზე ნაკლები რითა ვართ, ჩვენს სიმღერასაც მოუსმინეთო, და აჭიკჭიკდნენ. ჭიკჭიკში ხან ბარტყებს უყურებდნენ, ხან ჩვენ. რა ნახეს, საშიში არაფერი იყო, ჯერ ერთი გაფრინდა ბარტყებისათვის საჭმლის მოსატანად, მერე — მეორე.

ბარტყებსაც გაუარათ შიშმა. თავები გამოყვეს ბუდიდან, აინტერესებდათ, რა მოხდაო.

ჩვენ კვლავ საქმე განვაგრძეთ. წითელ კუთხეში უფრო მეტი პლაკატები და სურათები გავაკარით, მაგიდა წიგნებით გავავსეთ.

გუგრუცანას ხატვის ნიჭი ჰქონოდა. სოფლიდან აკვარელის საღებავები და სახატავი ქაღალდები ჩამოეტანა. კედლის გაზეთი მოამზადა. წერილი თვითონ დაწერა და გაზეთის სვეტებში ლამაზი ხელით ჩააწიკწიკა. სათაურები საღებავებით მიახატა. ერთ წერილში ტბასთან მოკლული წეროს ამბავი იყო მოთხრობილი, მეორეში — ბაკაკუნასი; არც გიშერას გაუჩინარება და მერე გამოჩენის ამბავი დავიწყნია. მოკლედ, გაზეთში ოთხი თუ ხუთი წერილი იდო და ყველა ინტერესით იკითხებოდა. გაზეთის სათაურიც თვითონ მოიფიქრა, „ჩვენი ფარეხი“ დაარქვა და მსხვილი ლურჯი ასოებით მიაწერა.

გაზეთს კედელზე გაკვრის მეტი არაფერი უნდოდა. გუგრუცანამ წითელ კუთხეში ადგილი შეარჩია, გაზეთი ზედა კუთხეებით კედელს მიადო და მითხრა:

— აი, ასე დაიჭი. ჩანთაში ჭიკარტები უნდა მქონდეს დარჩენილი, წავალ და მოვიტან, ოღონდ არ გაამრუდო.

მე ორივე ხელის საჩვენებელი თითები აქეთ-იქით გაზეთის კუთხეებს მივაჭირე და ფრთხილად ვარ, არ გავამრუდო.

გუგრუცანა წავიდა და წავიდა. გავიდა ერთი, ორი. სამი წუთი, არა ჩანს. კიდევ გადის დრო. ხელები დამეღალა, სისხლი აღარ მოძრაობს ძარღვებში, ვატყობ, თუ მალე არ მოვიდა ის ბიჭი, გაზეთი გამიმრუდდება, გამიმრუდდება კი არა, ხელები ძირს ჩამომიცვივა.

— ჰა, გუგრუცან, რა დაგემართა! — ვყვირი.

— მოიცა, ეხლავე მოვალ, არ გაამრუდო, — შორიდან მაფრთხილებს.

კიდევ გავიდა რამდენიმე წუთი, მეტი აღარ შემიძლია.

— მკლავები დამეღალა, მოდი ჩქარა! — გავძახი აქედან.

— ხომ არ დაგიცურდა? — მეკითხება. ენაზე ვიკბინე. ვატყობ, იმის ხმაში რაღაც სიცილისნაირი ურევია. ეს ბიჭი მასხარად ხომ არ მიგდებს, მაგის ნდობა არ შეიძლება-მეთქი, გავიფიქრე და გაზეთი მაგიდაზე დავდე, მკლავები მოწყვეტილივით დამეკიდა მხრებზე. წაველი და რას ვუყურებ: გუგრუცანა საწოლზე წამოგორებულა, ხელში გაზეთი „ლელო“ დაუჭერია და კითხულობს.

— აკი ჭიკარტებს მოვიტანო? გამამასხარავე, არა? — ვიყვირე და ქორივით დავაცხერი, ავწიე მაღლა და ისევ საწოლზე დავაგდე, ისევ ავწიე მაღლა და ისევ დავაგდე, მინდა, რითიმე ჯავრი ვიყარო, თან ვფრთხილობ, არაფერი ვატკინო. კიდევ ავწიე და ახლა იატაკზე დავდე ტომარასავით. მკერდზე ფეხი დავაჭირე და დავძახი:

— გაგჭყლიტო გუბის ბაყაყივით?

— არა, მაპატიე, ფირუზ, — იცინის გუგრუცანა და წყლიდან ამოყვანილი თევზივით სხმარტალებს.

— მოიშლი თუ არა ჩემ გაბიაბრუებას! — არ ვეშვები, ფეხს უფრო ვაჭერ მკერდზე.

— მეტს აღარ ვიზამ! — იგუდება სიცილით. მეც გამეცინა. ფეხი მოვაცილე, წამოვაყენე და თავში მსუბუქად წამოვარტყი.

— იცოდე, მაგ ეშმაკობისათვის ერთხელაც შემომელახები.

— კარგი, კარგი, ეს უკანასკნელია. წამოდი, გაზეთი გამოვაკრათ!

გაზეთი კედელზე ჭიკარტებით მივამაგრეთ და გარეთ ძაღლები აყეფნენ.

გავედით საჩეხში. ეზოში ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის შავი „ვოლგა“ გაჩერდა. კაბინიდან იორამ ძია და ფარნაოზა გადმოვიდნენ.

იორამ ძია მოგვესალმა, როგორა ხართო, ხელი ორივეს ჩამოგვართვა, გუგრუცანას მხარზე ხელი გადახვია, მამაშვილურად მიეფერა.

ბინაში შევიპატიჟეთ, მიიხედ-მოიხედა. ეს რა ამბავია, ეს რა სისუფთავე და სილამაზე დამხვდაო, ამბობ-

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 2.

და მოწონებით. კოლექტივში დავბერდი და მწყემსის ბინა ესე დაგვილ-დასუფთავებული ჯერ არსად მინახავსო. ყველა ოთახი დაათვალიერა. კედლის გაზეთი თავიდან ბოლომდე წაიკითხა. ურტყა და ურტყა მხრებზე გუგრუცანას ხელი, აქო და აქო, ეს რა ოქრო ბიჭი ყოფილაო. მერე ცხვარი ნახა. ბაკი დახვეტილი იყო, ცხვარი სუფთად გამოიყურებოდა. ყოჩაღ, ფირუზ, ტყუილად კი არ მქონდა შენი იმედიო. არც ჩემთვის დაიშურა საქებარი სიტყვები. ფარნაოზას უთხრა, წლეულს კარგი დოლი გვქონდა, მეცხვარეებზე პრემიები რომ გამოიწერება, ეს ყმაწვილებიც გაითვალისწინე, ხედავ, რა კარგა უვლიან ცხვარსო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, თავმჯდომარე და ფერმის გამგე დიდად კმაყოფილები წავიდნენ ფერმიდან.

მათი წასვლიდან მესამე დღეს ფოტოკორესპონდენტი გვეწვია, ივრისპირას ალხაჯა მოგრიალდა მანქანით. დავალება მაქვს, თადა ქიზიყურაშვილს რაიონული გაზეთისათვის სურათი უნდა გადავუღოო.

გუგრუცანას გავხედე და თვალები ჭყეტით დამრჩა, — ი, რასა ჰგავდა, კაცო! ნამდვილი დაბდურას სახე მიეღო, ჩანა გვერდზე მოქცეოდა, მარცხენა თვალი ბრუციანივით მოეხუჭა და შიმშილით გადამღრძვალი ბეხრეკი სახედარივით მხრებში ამოკუზულიყო. ნეტავი რას ეშმაკობს, რა ოფოფები მოუფრინდა ამ ბიჭს-მეთქი, ვფიქრობ, იმან თვალი ჩამიკრა და ფოტოკორესპონდენტზე მანიშნა.

— სად არის თადა ქიზიყურაშვილი? — მეკითხება ფოტოკორესპონდენტი, „ჟიგულიდან“ აპარატი გამოიღო და კისერზე ჩამოიკიდა.

— ეგე, — ვანიშნე კავზე ორივე ხელით ჩამოყუდებულ გუგრუცანაზე.

— ესა? — ახედ-დახედა გუგრუცანას. სახეზე შევატყვე, ხასიათი წაუხდა, არ მოეწონა. ხელი წამავლო, გვერდზე გამიყვანა და ჩურჩულით მეუბნება, რა მათხოჯი ვინმე ყოფილა, ამისთანა სიფათის პატრონის სურათს რეტუშიც ვერ გამოასწორებსო.

— ეგეთია! — ვთქვი და თავს ვიკავებ, სიცილი არ წამსკდეს — ფოტოკორესპონდენტს ეწყინება, ასაკოვანია, ორმოცზე მეტისაც. კარგად მიცნობს კიდეც. დედაცხვრის ბრიგადაში რომ ვიყავი, გაზეთისთვის სურათი გადამიღო.



— რომ მცოდნოდა, ამისთანა შეუხედავი იყო, რას წამოვიდოდი. ბენზინი ცალკე დავხარჯე და ამ უხეირო გზებზე არც მანქანას დაეყარა ხეირი, — სინანულით ხმადაბლა მელაპარაკება, რომ გუგრუცანამ არ გაიგონოს. ის კი, ვითომ არ აინტერესებს, ჩვენ რას ვსაუბრობთ, ისევ კავზე ჩამოყუდებული, ყბამოღრეცილი განზე დგას.

— მა არ გადაუღებ? — ვეკითხები ფოტოკორესპონდენტს.

— არა, რას ამბობ, გაზეთში გამოსაჩენი არ არის!

— მიხვდება, ეწყინება!

— არ ეწყინება, ისე მოვახერხებ!

აპარატი მოიმარჯვა, რაღაც უჩხიკინა, მერე, თფუი, გაფუჭდა, სხვა დროს მოვალო, თქვა გუგრუცანას გასაგონად, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა.

გუგრუცანამ ყბა გაისწორა და წელში გაიმართა.

— ბიჭო, ეგ რა ჰქენი, რათ გაატრიზავე ის კაცი? — ვეკითხები.

— სასურათე რა გავაკეთე, რომ მიღებდა? — კითხვითვე მომიგო და უკან გადაიწია, ხელები მიწას დააბჯინა, ხიდური გააკეთა. იმ დღეს გუგრუცანას დაუხმარებლად მეც გავჭიმე ყირა და ხელებზეც გავიარე.

●

ივნისი ისე გავიდა, ციდან ცვარი არ ჩამოვარდნილა. ივლისიც გვალვით დაიწყო. ივრისპირეთს მცხუნვარე მზე დაჰნათოდა. სულისშემხუთველად ცხელოდა. საძოვარზე ბალახი ნაადრევად დაპურდა, გაუხეშდა და სიყვითლე შეეპარა, მარტო გორებს შუა ჩრდილიანებში შერჩენოდა სინედლე. ჩვენც ასეთ ადგილებს ვურჩევდით, უფრო შორს დაგვიდიოდა ცხვარი.

ბაკაკუნა მოჩიტდა. კორაკნიდან ბაკში კარგა ხანია გადავიყვანეთ, ჩაუხას ფეხი მოურჩა და აღარ კოჭლობდა. შვილთან ერთად საძოვარზე ფარას დასდევდა. პირველად, სანამ შორ გზას მიეჩვეოდა და მუხლი მოუმაგრდებოდა, ხან მე ავიყვანდი ბაკაკუნას ბავშვივით ხელში, ხან გუგრუცანა. გვეხალისებოდა მისი ტარება. ვანებივრებდით. ცივ ნიავს არ ვაკარებდით, მივიხუტებდით გულზე და მივდევდით ფარას. ბაკაკუნაც ისე მოგვეჩვია, დილით, ვიდრე საძოვრისკენ დავიძვრებოდით, მოვიდოდა, გვერდით ამოგვიდგებოდა და შემოგვკიკინებდა: რაღას უყურებთ, ამიყვანეთ ხელშიო. ფარა საძოვარზე რომ გაიშლებოდა, დედის გვერდით ძირს ჩამოვსვამდით. ისიც შეიკუნტრუშებდა, ჯერ დედას შეუყოფდა თავს ლაჯებში, წაუგერავებდა ძუძუებში და უდუმო კუდს მოუსვენრად ამოძრავებდა. როცა ყელს რძით ჩაიგემრიელებდა, დედას აეტორღიალებოდა და ბალახს წიწკნიდა.

ერთ დღეს ბაკაკუნა გუგრუცანას მოჰყავდა ხელში აყვანილი. ისევ დილა იყო. ცხვარი ძეძვითა და თრიმლის ბუჩქებით მოფენილ გორის კალთას ის-ის იყო შეერია, რომ გუგრუცანამ ბატკანი ძირს დასვა და მეუბნება.

— ფირუზ, მგელი!

სადა-მეთქი, — თვალები დავაცეცე და იქით გავიხედე, საითაც გუგრუცანა იყურებოდა.

— აგერ მაღლა, თრიმლის ბუჩქის გვერდით!

დავინახე. მართლა მგელი იყო, უკანა ფეხებზე ჩამჯდარიყო და გადმოგვყურებდა. მერე ადგა, ბუჩქებს შეერია.

— ნეტავი ის ხომ არ იყო? — თქვა გუგრუცანამ.

— ღამე რომ ყმუის?

— ხო.

— რას გაიგებ!

ძაღლებმა ვერ შენიშნეს.

გიშერას დავუძახეთ. ლეკვები ცოტა მოიზარდნენ, წყლის სმა და სალაფავის სვლეპა ისწავლეს, ამის გამო გიშერა ხშირ-ხშირად დაგვდევდა საძოვარზე, ცხვარსა და ჩვენ ისევ ერთგულად გვემსახურებოდა. გიშერამ უმალ მოირბინა. ავედით იმ ადგილას, სადაც მგელი იყო. ძაღლმა სუნი აიღო, ზურგსა და კისერზე ბალანი აეშალა, დაიღრინა და თრიმლის ბუჩქებში შევარდა, მიჰყვა კვალს ყეფით. მის ყეფაზე სხვა ძაღლებიც მოცვივდნენ, გიშერას გაეკიდნენ. ჩვენც მივდიეთ ცოტა მანძილზე. მერე ალბათ კვალი დაკარგეს, ძაღლები უკან მობრუნდნენ.

— აგერ, ფირუზ, აგერ! — ხელი წამკრა გუგრუცანამ. მგელი შორს, რამდენიმე გორაკს იქით ფერდობზე



მიძუნძულებდა. ვიდრე გორას გადაეფარებოდა, შედგა, ჩვენკენ იყურა და წავიდა, დაიკარგა.

— ეგ ისე გვიტრიალებს შორიახლო, ერთხელაც დაგვაზარალებს, — თქვა გუგრუცანამ.

— ფხიზლად უნდა ვიყოთ! — გავეპასუხე მე. ვფხიზლობდით კიდეც, მაგრამ მაინც დაგვაზარალა.

ივლისის შუა რიცხვებში ბალახით უფრო გაღარიბდა საძოვრები, ამიტომ ცხვარი მდინარის პირებში, ჭალის სიახლოვეს დაგვყავდა, იქ უფრო, ავშანი, კაპუეტა, ჭანგა და კიდევ სხვა ბალახი ბლომად იყო. ეს მცენარეები გვალვაგამძლეა და ზამთარ-ზაფხულ ცხვარი გემრიელად შეექცევა.

კარგად მახსოვს, ხუთშაბათი იყო. შუადღისას ისე ჩამოცხა, სუნთქვა ჭირდა. მერე უცებ ქარი ამოვარდა, მიდამო აახმაურა. ქარმა ჩრდილოეთიდან ღრუბლები მორეკა. ცა საოცრად სწრაფად მოიქუფრა, ტყვიისფერი გახდა, დამძიმდა. ღრუბლები, მაკე ცხვრის მუცელივით, დაბლა დაეშვა, ჯერ თითო-ოროლა მსხვილი წვეთი წამოცვივდა, მერე მოუხშირა, მოხსნა პირი და ღვართქაფად იქცა. ჰაერი ორთქლითა და დაგვალული მიწის სუნით გაიჟღინთა.

არც ნაბდები გვქონდა თან, არც საწვიმრები. იმ მზიან ამინდებში რად გვინდოდა. დაგვდიოდა თავზე კოკისპირული წვიმა, მთა-ბარს ჭექა-ქუხილი აყრუებდა. თითქოს მოსაღამოვდაო, უცებ ჩამობნელდა ირგვლივ.

მე და გუგრუცანამ ცხვარს დავურბინეთ გარშემო. ერთ ადგილას ძლივს მოვაქუჩეთ. ჭექა-ქუხილისაგან დამფრთხლები აქეთ-იქით გაგვირბოდნენ. კუდამოძუებული ძაღლები ფეხებთან გვიტრიალებდნენ, შეშინებული წკმუტუნებდნენ. დაგვალული მიწა ვეღარ ასწრებდა წყლის შესრუტვას. მღვრიე ნაკადულებს მოჰქონდათ ჩალაბულა, ნაქელი, ხის ფოთლები...

— ცხვარი არ გაგვექცეს ჭალისკენ! — დრო და დრო გავძახებდი ჩემგან მოშორებით დადარაჯებულ გუგრუცანას. ესმოდა თუ არა ჩემი ყვირილი იმ თავსხმასა და ცის გრიალში, არ ვიცი.

უცებ ჩვენს მაღლა ისე იჭექა, ასე მეგონა, მეხი დაგვეცა-მეთქი. ცხვარი უფრო დაფრთხა, დაფეთებულები ჭალისკენ გაცვივდნენ, ერთმანეთზე გადადიოდნენ. ჩვენ გამოვუდექით, დავატრიალეთ კავი, ძლივს შემოვაბრუნეთ ფარა, მაგრამ ნოტო მაინც მოსწყდა, ათამდე ცხვარი ჭალაში შევარდა. გუგრუცანა გამოდევნებას აპირებდა, წინ გადავუდექი, არ გავუშვი.

— ამათ დაუდექი, ამათ, თორემ ესენიც გაგვექცევიან, — ვუყვირი.

გუგრუცანა ყურში ჩამძახის:

— ბატკანი სად არის, აღარ ჩანს.

იმ თავსხმაში რას გავიგებდი, შეიძლება ფარის შუაში მოექცნენ ის და ჩაუხა, ვიდრე წვიმა არ გადაიღებდა, ძნელი იყო მოძებნა.

წვიმა კი გადაღებას არ აპირებდა. ჰაერი გაგრილდა, სველი, ლაპტა-ლუპტა ტანსაცმელი კანზე უსიამოვნოდ მეკრობოდა, შემცივდასავით. ჩემი არ მედარდებოდა, ამისთანა ამინდებში ბევრჯერ მოვხვედრილვარ, გუგრუცანასი მეფიქრებოდა, არ გაციებულიყო.

კიდევ კარგა ხანს იგრუხუნა, იწვიმა. მერე ისევ ქარმა უშველა, საავდრო ღრუბლები სამხრეთით წაიღო. წვიმამ იკლო და ბოლოს სულ შეწყდა. სინათლემ იმატა. ნაკადულებმა თანდათან იკლეს და მერე მთლად მიყუჩდნენ. ღრუბლის ნაფლეთებიდან დასავლეთით მზემ გამოანათა.

ცხვარმა და ძაღლებმა ტანი შეიბერტყეს, წუწი გაიყრევინეს, გახალისდნენ. ფარა წვიმით დამბალ მინდორზე გაიშალა. გუგრუცანა ცხვრებს შორის დარბოდა, ბაკაკუნას ეძებდა. არც ბატკანი ჩანდა, არც ჩაუხა.

— ნოტოს გაჰყვებოდნენ, — ვთქვი მე.

გუგრუცანამ ჭალაში შესვლა დააპირა.

— მოიცა, შენ ფარას მიჰყევი, მე ნოტოს მოვძებნი, — ვუთხარი და გიშერას დავუძახე.

ქარიშხალს ჭალისთვისაც დაემჩნია თავისი ხელი. ხეებისთვის ტოტები ჩამოელეწა, ნაძარცვი ფოთლები უხვად ეყარა მიწაზე; კოწახურის ბუჩქში ფრთებგაშლილი, დამხრჩვალი კაჭკაჭი ჩამოჩაჩხულიყო, გრძელ, ძირს დაშვებულ ბოლოზე წვიმის წვეთი ეკიდა.

დავძვრებოდით ხეებსა და ბუჩქებს შორის მე და გიშერა, დაკარგულ ცხვრებს დავეძებდით. მე სმენაგამახვილებული დავდიოდი, იქნებ რომელიმე ცხვარმა დაიბღავლოს და გავიგონო-მეთქი. მალე ორ ცხვარს მიაგნო გიშერამ. კვრინჩხის ბუჩქებში იყვნენ მატყლით გაბმული. ძლივს გამოვხსენი, ხელები დამეკაწრა ეკლებზე. მერე კიდევ ერთი დოლა ცხვარი ვიპოვეთ, გამოფულუროებულ ვერხვის ძირას იდგა. ბაკაკუნა და ჩაუხა არ ჩანდნენ.

სამივე ცხვარს წინ მივერეკებოდი და დაწინაურებულ გიშერას მივდევდი. გავიარე ოციოდე ნაბიჯი, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვედი ორი ნაბიჯისხელა ადგილზე და მგლისაგან ყელგამოღადრული ოთხი ცხვარი დამხვდა. აქეთ-იქით ეყარნენ. ერთი მათგანი ჩაუხა იყო, საცოდავს მწვანე ბუზები დახვეოდნენ. ბაკაკუნა არც მკვდარი ჩანდა, არც ცოცხალი. ალბათ მგელმა გაათრია სადღაც და შეჭამა.

როგორც იყო, ისევე დავტოვე ყელგამოღადრული ცხვრები, ის სამი კი ბინისაკენ გავირეკე.

გუგრუცანამ რომ ნახა, ბაკაკუნა ცოცხლებში არ იყო, დაღონდა.

— ეგ მგელი თავიდან უნდა მოვიშოროთ, თორემ არ მოგვასვენებს.

მე საკუჭნაოში შევედი, იქ ნადირის დასაჭერი ორი ხაფანგი მქონდა შენახული, ავიღე ისინი, მხარზე თოფი გადავიკიდე და ჭალაში წავედი. ყელგამოღადრულ ცხვრებთან ახლოს, საიდანაც ჩემი ვარაუდით მგელი უნდა მოსულიყო, ხაფანგები დავაგე, ბალახებით შევნიღბე და უკან წამოვედი.

ხაფანგებმა გაგვიმართლა, მეორე დღეს ერთ მათგანში წინა ფეხებით ძუ მგელი გაბმულიყო. კუნელის ბუჩქის ძირში იწვა. რომ დამინახა, სწრაფად ადგა, გვერდზე გაიწია, ჯაჭვმა, რითაც ხაფანგი კუნელზე იყო მიბმული, შორს არ გაუშვა. ალბათ ფეხი უარესად ეტკინა და ისევ ბალახებში ჩაწვა, ავად აღრინდა.

მე თოფის ორივე სასხლეტი გადმოვწიე, დავუმიზნე. მგელმა თავი ასწია, მომაჩერდა და ღრენა შეწყვიტა. მის უკან ბუჩქის ტოტები შეტოკდა, ჯერ ერთმა მგლის ლეკვმა გამოყო თავი, მერე მეორემ. შეშინებული თვალებით მიყურებდნენ ერთ წამს და ისევ ბუჩქსუკან მიიმალნენ. ყელებდაღადრულ ცხვრებთან ლეკვებიც მოეყვანა სანადიმოდ.

თოფი დავუშვი. მგელი რომ მომეკლა, ლეკვები დაობლდებოდნენ, სწორედ იმათ გადამაფიქრებინეს თოფის სროლა, მაგათ ცოდვას ვერ დავიდებ-მეთქი. მეორე ხაფანგი ავიღე და უკან გამოვბრუნდი. საძოვრისკენ გავეშურე. გზაზე ბასას გადავეყარე, თავის კავშას მოაჯირითებდა. მკითხა, სად იყავი თოფითო.

ვუთხარი, რაც შეგვამთხვია ძუ მგელმა.

— არ მოჰკალი?

— არა!

— რატო, კაცო?! — გაუკვირდა.

— დედა იყო... თავი თუ არ გაითავისუფლა ხაფანგიდან, ისეც მოკვდება, იმ ლეკვების ცოდვა რაღაზე დამედო.

— ეე, ბალღო, მგელი მგლობას რომ არ მოიშლის, არ იცი? ის ლეკვებიც უნდა დაგეხოცა. კარგი ას ორმოცდაათი მანეთი დაკარგე. რომელ ადგილას დატოვე?

— აგე, ცოტას რომ წახვალ, ჭალაში ბილიკი შედის, პირდაპირ მიგიყვანს, — ვთქვი და უცებ ლაშიანი გამახსენდა. — იმის საქმე როგორ არი, თოფი რომ წაიღე?!

— ლაშიანისა? ძალიან შავად არი. მონკავშირში გამოვაძახინე, თოფი და მონადირის წიგნაკი ჩამოართვეს. სულ იმ მაიმუნების ბრალიაო, შენ და იმ პატარა ბიჭს გაბრალებდათ.

ერთმანეთს დავშორდით. ბასამ ცხენი ჭალისკენ წაათოხარიკა. მე ფერდობს შევუდექი. მაღლა გორაზე რომ ავედი და გაღმით ჩვენს ცხვრის ფარას თვალით დავეძებდი. ჭალაში თოფმა რამდენჯერმე დაიქუხა.

იმ დღის მერე ჩვენი ფარეხის სიახლოვეს მგლის ყმუილი აღარ გაგვიგონია, არც თვალი მოგვიკრავს სადმე.

●

არ მეგონა, თუ იმ ქარიშხალში, თავზე კოკისპირულად რომ გვაწვიმდა, ავად არ გავხდებოდით. თითიც არ წამოგვტკიებია, კენჭებივით მაგრები გამოვდექით. მე კიდევ რა, წელანაც გითხარი, ჩემს თავზე ბევრ ავდარს გადაუვლია, გუგრუცანასი მიკვირდა. რაც იორზე იყო, ერთი არ დაუჩივლია, ცუდად ვარო. უფრო მოჯანიანდა, თითქოს გამაღლდა, გაიზარდა, სხეულზე ჭენჭი დაიდო, მაჯები დაუმსხვილდა, მკლავებზე კუნთები დაასხდა, სახეზე მზე მოეკიდა. როცა გაიცინებდა, კბილები აფრიკელივით თეთრად უელავდა. თმა ამოუვიდა და უფრო გალამაზდა. მგლის მუხლი გამოება. მთელ დღეს შეეძლო ევლო აღმართ-აღმართ და არ დაესვენა. რომელ ცხვარზეც ვეტყოდი, დაიჭი-მეთქი, კავი არ უნდოდა, რამდენიმე ნახტომით იმასთან გაჩნდებოდა, სტაცებდა ფეხში ხელს და მომიყვანდა. მასთან ჭიდაობისას უკვე ვფრთხილობდი, ფეხს ფეხზე ვაზის პწკალივით ისე ჩამახვევდა, ძლივს გავაცლიდი ხოლმე. კატასავით სხარტი გახდა და რაც იყო, იმაზე უფრო მოქნილი.

მერე რა მადა ჰქონდა! ბიჭო, ეს რა მიყო იორმა, მთლად ჭამად ვიქეციო, იტყოდა და ყბებს გამალებით ამუშავებდა. ოღონდ სასუსნავი ყოფილიყო, არაფერს იწუნებდა, ჭამა რომ არ გდომებოდა, იმის მაყურებელს მადა შენც გაგეხსნებოდა.

მწყემსური ცხოვრება ჩემთვის მეორე სკოლააო, მითხრა ერთ დღეს, როცა თავისთვის ახალი ქალამნები

ამოისხა. ძველები, მე რომ ამოვუსხი, გაწმინდა და შეინახა. შინ უნდა წავიღო ივრისპირეთის სამახსოვროდო.

●

აგვისტოს შუა რიცხვებია. ცა ხშირად იღრუბლება. ხან დღისით წამოწვიმს, ხან ღამით. ჰალაში სველი, მსინსლავი ნისლი ჩადგება ხოლმე. ჰაერი გაგრილდა. გვალვამ გუდა-ნაბადი აიკრა, სულისშემხუთავად აღარ ცხელა. ცხვარი გალაღდა. ისე აღარ ემალება მზეს, როგორც ივლისში, ერთმანეთს რომ ეფარებოდნენ და მუცლებქვეშ თავებს უყოფდნენ, ჩრდილს ეძებდნენ. გაყვითლებულ, წვიმით დამბალ ბალახსაც მადიანად ძოვენ.

დაიწყო ფრინველების გადაფრენა. ცაში ძეწკვივით გაგრძელებული ხან წეროების გუნდი გადაივლის, ხან ყანჩებისა და გედებისა. ყველა თავის ხმაზე ყივის, ყრანტალებს, წივის, ნისლში ერთმანეთს ეძახიან, ამხნევებენ, პირი სამხრეთით, ივრის გადაღმა ჩანაცრისფერებული მთები რომ მოჩანს, იქით აქვთ მიქცეული. საიდანღაც მოფრინდნენ მწვანებუმბულიანი კვირიონები. ჩვენს ფერმასთან ელექტროდენის მავთულებზე სხდებიან და დრო და დრო ცაში იჭრებიან. ამბობენ, კვირიონები ფუტკრის დიდი მტრები არიანო.

რა ხანია დაცარიელდა ის მერცხლის ბუდე, ჩვენი ბინის საჩეხში ელექტრომრიცხველზე რომ არის წამოდგმული. რაც ცაში გადამფრენი ფრინველების გუნდები გამოჩნდნენ, იმის მერე აღარ გაგვიგონია მათი ჭიკჭიკი. წავიდნენ და იმათი განშორებით გული დაგვწყდა, თითქოს ოჯახის წევრები მოგვაკლდა, იქაურობა გამოყრუვდა.

ფერმის ეზო მარტო საკვებზე დახარბებულ მინდვრის ბეღურებს დარჩათ და კიდევ თითო-ოროლა კაჭკაჭი თუ გაბედავს მოფრენას.

დადგა ნადირობის სეზონი. თავი აიშვეს მონადირეებმა. ჰალაში და ჰალის გაღმა-გამოღმა მომრავლდა მათი მანქანები, მოტოციკლები, ძაღლები. ნადირობენ მწყერზე, ხოხობზე, კაკაბსა და გვრიტზე, კურდღელსა და გარეულ ღორზე. მოკლედ, სულ ერთია მათთვის, რაც მოხვდებათ. გააქვს თოფებს ბათქაბუთქი. იყეფებიან ნადირს გადევნებული მწევრები. ჰალაში დიდრონი ხეების ქვეშ ანთია კოცონები, ქეიფობენ მონადირეები და ისმის შეზარხოშებულთა სიმღერა, სიცილ-ხორხოცი...

იშვიათად ვხვდებით ბასა ძიას.

— ამათი დანახვა არ მინდა. თოფის ხმა რომ მესმის, ასე მგონია, მე მესვრიან. ზოგი მონადირე ადამიანი კი არა, ღორია. განა თითო-ოროლათი კმაყოფილდება, აქაოდა, ნადირობა ნებადართულიაო. ხოცავს განუკითხავად, — შემოგვჩივლა ერთხელ მე და გუგრუცანას.

თანდათან გამოცარიელდა ჰალა. სადღა იყო ფრინველის ყრიამული... მართალია, ბევრი თბილი ქვეყნებისკენ გაფრინდა, მაგრამ, რაც დარჩა, თოფის ხმამ, კოცონების კვამლმა და მოქეიფეთა ღრიანცელმა გააფრთხო. სადღაც გადაიკარგა ნადირიც. ღამის სიჩუმეში შორიდან მარტო ჭოტის სევდიანი ძახილი: ჭოოტ, ჭოოტ — გვესმის მე და გუგრუცანას.

იმიტომაც ჩამოღამებულები, დაბოღმილები დავდიოდით. მონადირეების დანახვა არ გვინდოდა, რადგან მივეჩვიეთ ივრისპირეთს, იმ მინდვრებსა და გორებს, ზედ გადაჭიმულ საძოვრებს, ხოხბისა და კაკბის სალაღობო ძეძვიან სერებს. გვიყვარდა ჰალა, იქ გაზრდილი თითოეული ხე და ბუჩქი. გვახალისებდა ნაირ-ნაირი ჩიტების სტვენა-გალობა, ასე გვეგონა, იმ წყალ-ჰალის ნაწილებად ვიყავით ქცეულები და უფლება არ გვქონდა, ბრმად გვეცქირა ნადირ-ფრინველის ხოცვისათვის, იმ ლამაზი ბუნების გავერანებისათვის.

— მე რომ შემეძლოს, ნადირობას სულ ავკრძალავდი, — მეუბნება გუგრუცანა. (ჩვენ ერთ მაღალ გორაზე ვსხედვართ და ჰალას გადავცქეროთ).

— სულ რატომ აკრძალავდი?

— წითელი წიგნი გინახია?

— არა!

— შარშან ბიოლოგიის მასწავლებელმა მოიტანა კლასში და გვაჩვენა. მართლა წითელი წიგნია, მწიფე შინდისფერ ყდაშია ჩამჯდარი.

— მერე?

— შიგ ის ნადირ-ფრინველი, მცენარე თუ ქვეწარმავალია შეტანილი, დღეს აქა-იქ იშვიათად რომ გვხვდებიან ბუნებაში. ბევრი მათგანი ამოწყვეტაზეა. გაფრთხილება სჭირდება, სულ რომ არ გადაშენდეს.

ამ ლაპარაკში ვართ, რომ ქვემოთ, ჰალის მხარეს, ფშატებიდან ტრახტრახით შავი მოტოციკლი გამოვიდა. ზედ ორნი ისხდნენ: ერთი საჭესთან, მეორე, რომელსაც თოფი მოემარჯვებინა, ძარაში მოკალათებულიყო. მოტოციკლს წინ შავი მწევარი უსწრებდა, გაკაპასებული ყეფდა და თავგის ყანას მოსთელავდა.

ბუმ, ბუმ! — ორჯერ ზედიზედ დააქუხა თოფი ძარაში მჯდომმა.

— რას ესვრიან? — ამბობს გუგრუცანა. ორივე ფეხზე წამოვხტით და ისე შევყურებთ. რაზე ნადირობენ, ვერ გაგვიგია.

— კურდღელია, შეხედე, ჩვენკენ მორბის, — შესძახა გუგრუცანამ. მართლა კურდღელი იყო, ნაცრისფერი ზურგი მოუჩანდა, ყურები დაეცქვიტა დ ელვასავით მოჰქროდა ფერდობზე. თოფი მესამედ გავარდა. კურდღელი უცებ ჰაერში გადაკოტრიალდა, ერთ ადგილას ბურთივით დატრიალდა. მონადირეებმა გამარჯვების ყიჟინა დასცეს: — მიდი, პალმა, მიდი! — შეაგულიანეს ძაღლი. ვიდრე ძაღლი კურდღელთან გაჩნდებოდა, ის ფეხზე წამოხტა და ისევ აღმართს შემოუყვა. ძაღლი ფეხდაფეხ აედევნა. მოტოციკლი აღმართს მოაწყდა, ზევით ამოსვლა ველარ შეძლო და გაჩერდა. ძარიდან თოფიანი გადმოხტა, „დაიჭი, პალმა, დაიჭიო“, ყვირილით ზევით გამოიქცა.

კურდღელმა გორის ფერდობი ამოირბინა. თავი გასისხლიანებული ჰქონდა. ტყვიას მარცხენა ყური შუაზე გაეწყვიტა, ტყავზე ფოთოლივით ეკიდა. ჩვენ რომ დაგვინახა, შედგა, უკანა ფეხებზე აიწია, ერთ წამს გვიყურა, მერე ფერდობისაკენ მიატრიალა თავი, ორიოდე ნახტომით შავი მწევარი მასთან გაჩნდებოდა, უკვე სულ ახლოს მოისმა მისი ყეფა.

— ჩქარა, ფირუზ, თორემ ძაღლი დაიჭერს ამ საცოდავს! — შესძახა გუგრუცანამ და კურდღლისაკენ გაიქცა. ფეხდაფეხ მივყევი. ძაღლის პირში ჩავარდნას ჩვენ გვარჩია კურდღელმა თუ რა იყო, სკუპ-სკუპით წამოვიდა, მე და გუგრუცანას შუა გაირბინა და უკან თრიმლის ბუჩქში შეძვრა.

მწევარმაც ამოირბინა, ვითომ იქ არ ვარსებობდით, კურდღლისაკენ გაიწია.

— საით, შე უპატრონო, — დაუტატანა გუგრუცანამ და კავი მოუქნია.

ძაღლმა მოასწრო გვერდზე გადახტომა, კავი აიცდინა და ფერდობზე კუდამოძუებული ჩაძუნძულდა.

— აქეთ კურდღელი გამოიქცა, საით წავიდა?

ის კაცი, მოტოციკლეტის ძარიდან რომ გადმოხტა, ჩვენთან მოჰქანდა, ძლივს ლაპარაკობდა.

— აგერ, იქით, — ვთქვი მე და სულ სხვა მხარეზე მივუთითე.

იმან იქით გაიხედა და ძაღლს დაუძახა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— პალმა, მომყევი! — ძაღლმა მასთან მიირბინა, მაგრამ ფეხიც ვერ გადადგეს, იმ წამსვე შევაჩერე.

— მოიცათ. არ გირჩევთ მაქეთ წასვლას! — ვუთხარი იმ კაცს.

— რატომ?! — გაუკვირდა.

— იქ ფერდობზე ცხვარი ძოვს. ოთხი ვეებერთელა ქოფაკი სდარაჯობს და...

— თფუი, — გაბრაზებულმა კაცმა ბალახებში ჩააფურთხა. — რამდენი ვდიეთ მაგ კურდღელს და მაინც გაგვექცა. — თქვა და ფერდობზე ჩაბრუნდა. შავი მწევარი ფეხს იბორძიკებდა, არ აპირებდა წასვლას, ხან ჩვენ შემოგვცქეროდა, ხან იმ ბუჩქისკენ იყურებოდა, სადაც კურდღელი იყო მიმალული.

— აბა, აბა, დაიკარგე აქედან, თორემ მოგწყვიტე წელი! — კავი მოუღერა გუგრუცანამ. იმანაც იკადრა წასვლა. პატრონს გამოუდგა.

კარგა მანძილზე რომ ჩასცილდნენ ფერდობს, ჩვენ თრიმლის ბუჩქთან მივედით. ტოტები გადავწიეთ და შიგნით შევიჭყიტეთ, კურდღელი ღრმად შემძვრალიყო ბუჩქის ძირში და განაბულიყო.



— გამოვიყვანოთ! — ვუთხარი გუგრუცანას.

— რათ გინდა?

— ვნახოთ, ყურის გარდა სხვაგანაც ხომ არ არის დაჭრილი?

გუგრუცანა პირქვე დაწვა. კურდღელს უკანა ფეხებში სწვდა და გამოათრია.

დიდი კურდღელი იყო, ღონიერი. ძლივს დავაკავეთ ხელში. გავსინჯეთ. მარტო მარცხენა ყური ჰქონდა შუაზე გაგლეჯილი.

— მოდი, ოპერაცია გავუკეთოთ! — ვთქვი მე და ჯიბიდან დანა ამოვიღე.

— რა ოპერაცია, ფირუზ, დაკვლას უპირებ? — შუბლი შეიჭმუხნა გუგრუცანამ, ეგონა, კურდღელს ყელს გამოვჭრიდი.

— რას ამბობ, სულელო! დაფლეთილი ყური მოვაცილოთ, თორემ რბენასა და ყურებაში დაუშლის, ხომ ხედავ, ზედ თვალზე აქვს ჩამოფარებული! მიდი, გუდიდან მარილი ამოიღე!

გუგრუცანამ გუდიდან ქაღალდში გახვეული მარილი ამოიღო. მე კურდღელს ყურის ნაფლეთი დანით ფრთხილად მოვაცილე და ჭრილობაზე მარილი დავაყარე. საბრალოს აეწვა ჭრილობა, ასხმარტალდა, ხელიდან უნდოდა გაგვსხლტომოდა.

— გაუშვი, — ვუთხარი გუგრუცანას.

იმანაც ძირს დასვა კურდღელი. მაგრამ კურდღელი მაშინვე არ გაქცეულა. ჯერ ბალახებში ჩაიკუზა, მწყერივით გაინაბა, მერე უცებ წამოხტა, ჩქარი სკუპ-სკუპით თრიმლის ბუჩქს უგანა და თვალს მიეფარა.

●

სექტემბერი ახლოვდებოდა. ვხედავ, გუგრუცანამ მოსვენება დაკარგა. ზოგჯერ ჩაფიქრებულია, ცოტას ლაპარაკობს, აღარც ლეკვებს ეთამაშება ხშირად. მარტო საქმეს აკეთებს ერთგულად, დიდი მონდომებით.

— რა მოგივიდა, ბიჭო, რა ქვეყნის დარდი გაგიჩნდა, რად ხარ უხალისოდ? — ვკითხე ერთ დღეს.

— სკოლა მომენატრა! — მეუბნება.

— სკოლა და მანანა! — ვიცინი მე.

— მანანაც! — მიდასტურებს მორცხვად და მალიმალ იქით იყურება, საითაც ჩვენი სოფლის გზაა.

რამდენჯერმე სიტყვა გადავუკარი, ფერმის გამგე რომ მოვა, შინ გაჰყევი-მეთქი. იუარა, სიტყვა სიტყვაა, ბოლომდე ფეხსაც არ მოვიცვლი ფერმიდან, თავს არ გაგანებებო.

ამას რომ ამბობდა, მიხაროდა, თუმცა ჩუმი სევდაც ილვიძებდა ჩემს გულში. დღეს თუ ხვალ გუგრუცანა შინ წავიდოდა და მარტო დავრჩებოდი. ძმასავით მიყვარდა, უიმისოდ ყოფნა გამიძნელდებოდა.

გუგრუცანამ ბოლო დღეებში დღიურების წერას უმატა. სულ რვეულში აქვს ცხვირი ჩაყოფილი. როცა ფიქრობს, ფანქარს კბილებით აწვალებს, თაგვივით ბოლო შემოაღრღნა. დაწერს, დაწერს და მაშინვე რვეულს ან გუდაში ინახავს, ან ყავისფერ სპორტულ ჩანთაში.

ერთ საღამოს რვეულის შენახვა დაავიწყდა. გარეთ ლეკვები დაირივნენ, იმათ გასაშველებლად წავიდა, მათთან თამაშით გაერთო და საწოლზე გადაშლილი რვეული დარჩა. ვიცი, კარგი საქციელი არ არის სხვისი ნაწერის კითხვა, მაინც სულმა წამძლია, რვეული ავიღე და იმავე გვერდიდან თვალი გავადევნე:

„26 აგვისტო.

ძალიან დარდიანი ვწერ ამ დღიურს. საღამოთი ბინასთან სამი უცხო კაცი მოვიდა „კოლხოზნიკით“. სამივე სანადირო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, მძიმე წონის მოჭიდავეებს ჰგვანდნენ. ვეებერთელები მანქანიდან ძლივს გადმობობღდნენ. მე და ფირუზა მაშინ ბაკს ვასუფთავებდით. ერთი ფირუზას ეუბნება: ცხვრის ყიდვა გვინდა, მოგვყიდეო.

— ჩვენ გასაყიდი ცხვარი არა გვყავს! — უთხრა ფირუზამ.

— კარგ ფასს მოგცემთ, თუ აგე, იმ ჭედილას დაგვიჭერ! — თქვა მეორემ და ბაკის ერთ მხარეს მიქუჩებულ ფარაში ყველაზე კარგი ყოჩი დაანახვა. იმ ყოჩს წინა ორივე ფეხის ჩლიქები დაწყლულებული ჰქონდა და ძლივს მოვარჩინეთ. სატკივარმა რომ გაუარა, ყოჩი გასუქდა, მშვენიერი სანახავი იყო.

— ვერც მაგ ჭედილას დაგიჭერთ და ვერც სხვას! — მიახალა ფირუზამ.

— შენ მარტო ფასი გვითხარი, რაც გიღირს, ორ იმდენს მოგცემთ, — თქვა ისევ პირველმა.

— გითხარით, გასაყიდი ცხვარი არ გვყავს, კოლმეურნეობისაა! — ვატყობ, ფირუზას მობეზრდა იმათთან ლაპარაკი. ნაკელით სავსე ურიკა იმ მხარეს წაიღო, სადაც ნაგავს ვყრიდით.

— ერთი ცხვარი რა არის, ბიჭო, საქეიფოდ გვინდა,

ვითომ მგელმა შეგიჭამათ, — გაიღრიჭა მესამე, — კოლმეურნეობაში არავინ მოგედავებათ!

ფირუზამ პასუხი არ გასცა. ურიკა გადააყირავა, დაცალა და აქეთ გამოაგორა. გულმა ველარ მომითმინა და ვთქვი:

— ძია, განა გასაგებად არ გითხრეს, რომ გასაყიდი ცხვარი არა გვყავს?

— ეე, შენ ვინმე რამეს გეკითხება? — შემომიბღვირა პირველმა.

ფირუზამ ურიკა ნაკელის გროვასთან დადგა და ნიჩაბი აიღო, მე გამომექომაგა:

— რატომაც არ ეკითხებიან, ამ ბრიგადის მწყემსია, ეს ცხვარი ამ ბიჭსაც აბარია!

— მაინც გუშინდელი ღლაპია, უფროსების საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაყოს, — ჩაილაპარაკა ბრძნულად ისევ პირველმა, მესამემ ტუჩები დაპრანჭა, მიყურა, მიყურა და თქვა: — ჩემი შვილი რომ იყოს, ამდენს ვერ გაბედავდა, ერთ მაგარ სილას ვაჭმევდი!

— მაშ არაფერი გამოვა? — იმედს არ ჰკარგავდა პირველი.

— არა!

მეორემ ჯიბეზე ხელი გაიკრა, ქაღალდის ზონარგადაჭერილი ფულის შეკვრა ამოიღო, რვა ცალი ოცდახუთმანეთიანი გამოაძრო და ფირუზას გაუწოდა.

— აი, ორი ცხვრის საფასურია, აჰა, ორასი მანეთი!

ახლა კი ველარ დამალა სიბრაზე ფირუზამ.

— კაცო, ქართულს არ გელაპარაკები? ცხვარი კოლმეურნეობისაა და გაყიდვის უფლება არა გვაქვს, რატომ არ გინდათ გაიგოთ?

უნდოდათ, ბევრი ფულით აებათ ჩვენთვის თვალი, ცხვარი გაგვეყიდა და დანაშაული ჩაგვედინა. ისე მეწყინა, გულს სულ ბაგაბუგი გაჰქონდა. ჩუმად ხომ ვერ ვიქნებოდი, ავდექი და მეც ვუთხარი.

— მაგ ფულს ერთი მაგდენი კიდევ რომ დაუმატოთ, მაინც არ მოგყიდით ცხვარს. გიკვირთ, ბევრი ფული რომ გაქვთ?

— ბიჭო, შენ რატომ არ მოკეტავ მაგ ყბებს! — შემომიღრინა ისევ პირველმა.

— ეხლა აქედან ჩქარა თუ არ წახვალთ, — ძაღლებისკენ გავიხედე, — აი, ის ქოფაკები უცხო ხალხს ვერ იტანენ.

ჩემმა მუქარამ იმათ გარდა ფირუზაც გააკვირვა. მართლა აპირებ ძაღლების მისევასო? — თვალებით მეკითხებოდა.

— მინდორში იზრდება, მეტი რა მოეთხოვება! — ჩაილაპარაკა მესამემ. — წავიდეთ!

სამივე უკმაყოფილო ბუზღუნით „კოლხოზნიკში" შელაგდა. მანქანა დაიძრა, ძაღლები აყეფნენ და ოთხივე გამოეკიდა. წინ გიშერა მიუძღოდათ, მანქანას მარცხნიდან მოექცა, ცოტა გაუსწრო კიდეც.

უცებ თოფმა დაიქუხა. გიშერა გზაზე გადაკოტრიალდა და წაიქცა.

— ძაღლი მოგვიკლეს, ბიჭო, ძაღლი! — შეჰყვირა ფირუზამ და ნიჩაბი ხელიდან გააგდო. ბილიკის ღობეს ქარივით გადაევლო, ბინისკენ გაიქცა. მე გიშერასთან გავვარდი. საბრალოსათვის ტყვიას მარჯვენა ფერდი გაეხვრიტა, სისხლი ძუძუებზე წურწურით ჩამოსდიოდა, მტვრიან მიწას შავად ღებავდა. გიშერამ ერთხანს იწკავწკავა და მიყუჩდა.

„კოლხოზნიკი" მთელი სისწრაფით მიჰქროდა, ღრუბელივით ავარდნილ მტვერში აღარ ჩანდნენ უკან ადევნებული ძაღლები.

გიშერა კვდებოდა, ენა გვერდზე მოქცეოდა და ლაშებიდან სისხლიანი დუჟი გადმოსდიოდა. ცრემლი წამომცვივდა თვალებიდან. უკან მოვიხედე, ფირუზა ბინიდან თოფმომარჯვებული გამოვარდა, გზადგზა ტენიდა. მივხვდი, რაც ეწადა. რას შვრები-მეთქი, ვიყვირე და აფრიალებული ხალათის ბოლოში ხელი ვტაცე, უკან დავქაჩე, რომ შემეჩერებინა. თოფმა მაინც იჭექა. საბედნიეროდ, ტყვიას მანქანამდე არ მიუღწევია, ისინი უკვე შორს იყვნენ, თანაც, ფირუზას ხალათზე რომ დავებღაუჭე მგონი, მიზანი გავუმრუდე.

— რატომ დამიჭირე, რატომ! — გაჯავრებულმა შემომიტია.

— ვინმესთვის რომ მოგერტყა, მერე?

დევნით დაღლილი, მტვერში ამოგანგლული ძაღლები მობრუნდნენ, გიშერა დასუნეს და დაღონებულები შორიახლო წამოწვნენ.

გიშერა ფერმიდან შორს ერთ პატარა გორაკზე დავმარხეთ. მაშინ გავიგე: ფირუზა ჯარიდან რომ წამოსულა, თან ორი კვირის ლეკვი წამოუყვანია, გაუზრდია და ცხვარში გვერდიდან არ იშორებდა.

გიშერას ხუთი ლეკვიდან ერთი სულ თავის დედას ჩამოჰგავს. იმას ხელს არ წავავლებ, ისევ ფირუზამ გაზარდოს. სახლში შავ-თეთრს წავიყვან. ქორია დავარქვი. იანვრის არდადეგებამდე გაიზრდება. ცხვარში რომ წამოვალ, უკვე დიდი იქნება და თან მეყოლება".

მეტის წაკითხვა ველარ მოვასწარი, საჩეხში გუგრუცანა შემოვიდა. მე რვეული საწოლზე დავდე.

გუგრუცანა აგვისტოს ბოლომდე დარჩა. პირველი სექტემბრის წინა დღეს, საღამო ხანს ფერმის გამგე ფარნაოზა მოვიდა „ნივით". თან გადამღრძვალი, იორმუღანლოელი თათარი მოიყვანა. მეტი ვერავინ ვიშოვე ჯერჯერობით, მუშა კაცია, თადას მაგიერ გეყოლებაო.

მე ხელი ჩავიქნიე, ვინც გინდა, ის მოიყვანე-მეთქი. გუგრუცანას მერე ჩემთვის სულ ერთი იყო, ვინ მოვიდოდა ბრიგადაში.

გუგრუცანამ ხელში თავისი სპორტული ჩანთა დაიჭირა, მეორეთი ქორია ამოიღლიავა და ჩემ წინ გაჩერდა. ის შავი კედები ეცვა, მაშინდელი, იორზე რომ პირველად ჩამოვიდა; თავდახრილი იდგა, როგორც მაშინ, ჩემთან შეხვედრის პირველ დღეს. იდგა და, სად იპოვა, პირდაპირ საოცარია, მიწიდან ამოჩრილ ქვას კედის წვერს ურტყამდა.

— ბიჭო, გინდა, მაგ ქვით მუხლი კიდევ მატკინო? — ვთქვი და გამეცინა. გუგრუცანასაც გაეცინა. მივიდა მანქანასთან, ლეკვი სკამზე დასვა, ჩანთა სკამის ძირში ჩადგა, კარი მიხურა და ჩემთან მოვიდა.

— მაგრად იყავ, ფირუზ, უჩემოდ არ მოიწყინო, მამას გეფიცები, იანვარში სკოლიდან რომ დაგვითხოვენ, შენთან ვიქნები, — მითხრა და გადამეხვია. ერთმანეთი ძმურად გადავკოცნეთ.

ფარნაოზამ მანქანა დაქოქა. გუგრუცანამ ლეკვი სკამიდან აიყვანა, დაჯდა და ქორია მუხლებზე დაისვა.

წავიდნენ.

სანამ „ნივა" გზას მიეფარებოდა, სანამ მტვრის ღრუბელი გაიფანტებოდა და ჰაერი დაწმინდავდებოდა, იმ მხარეს გავყურებდი.

— შენი ზმა იყო? — მკითხა იორმუღანლოელმა. ისიც გვერდში ამომდგომოდა და გზას გასცქეროდა.

— ხო, ძმა იყო, ჩემი ღვიძლი ძმა! — ვთქვი და ბინაში შევედი, საწოლზე მოწყენილი მივეგდე.

ივრის ჭალიდან სევდიანი ხმით ჰოტი იძახდა.



# მაყვალა მრევლიშვილი 80

არა გვგონია, მოიძებნოს ქართული ოჯახი, სადაც გამოჩენილი ქართველი მწერლის მაყვალა მრევლიშვილის თავანკარა პოეზიის მადლი არ ტრიალებდეს, პატარების გულებს არ ათბობდეს. ამ გულების ჭეშმარიტი მესაიდუმლეა სასიქადულო პოეტი და ამიტომაც ენის ადგმიდანვე ითავისებენ, იზეპირებენ, მღერიან მოზარდები მისი ჰაეროვანი ლექსების წკრიალა სტრიქონებს. მკითხველთა თაობა თაობას ცვლის და ყოველ მათგანს სულის საგზლად, დამპურებლად თან მიჰყვება საყვარელი პოეტის უზადო შემოქმედების შუქი და სითბო.

ათეული წლების მანძილზე მაყვალა მრევლიშვილის არაერთ პოეტურ ქმნილებას დაუმშვენებია ჩვენი ჟურნალის ფურცლები. ამაგდარი მწერალი დღესაც ამ ჟურნალის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი და გულშემატკივარია.

მადლიერმა საქართველომ სახელოვან შემოქმედს უმაღლესი ეროვნული ჯილდო — რუსთაველის პრემიის ლაურეატობა უბოძა.

მაყვალა მრევლიშვილს ახლახან დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია მხურვალედ ულოცავენ ძვირფას იუბილარს თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, დაე, კვლავაც მრავალჯერ გაეხარებინოს ნორჩი მკითხველები ახალ-ახალი ნაწარმოებებით.

## ცა-ფირუზო

ჩემო დედა საქართველო,
სიბერემდე მეყვარება
შენი ტურფა მთა და მდელო,
ვარდ-ყვავილთა ელვარება.

ჯერ ზამთარი არ გასულა,
უკვე მოქრის გაზაფხული...
ეს ხომ ჩვენი სამშობლოა,
დედის სახედ დასახული.

უთვალავი, ათასფერი
ყვავილები პაწაწინა
ცხრათვალა მზის მოფერებამ
გაშალა და გააბრწყინა.

ეს ხომ შენი შვილებია,
რომ დაპხარი დღე და ღამე.
ცა-ფირუზო, იმედიანს
შენს ტკბილ სახელს ვეთაყვანე.

## სკოლისაკენ

კი არ მოვდივართ, მოვფრინავთ,
ფრთაშესხმულ მერცხლებს
ვედრებით!
გულს რომ ნათელი მოჰფინა
კვლავ მტრედისფერი კედლებით,
ეს ჩემი სკოლის
კარია,
მოვდივარ,
მომიხარია.
კვლავ ძველი მეგობრებია,
მხოლოდ კლასია ახალი,
კლასიდან კლასში გზებია,
ოცნების გზები მაღალი.
სულ ჩემი
მეგობრებია —
მხარში რომ
მეყოლებიან.
გულისფანცქალით ვიჩქარით
ცისკრით გახსნილი ჭიშკარით...
აქ არის ცოდნის სათავე,
ალმასიც თვალში ნაკვესი,
ზღაპრულ რაშების სადავე
და უანგარო ალერსი, —
ეს ჩვენი
აღმზრდელებია,
ფიქრში რომ
დასთენებიათ!

მაყვალა მრევლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა დვინეფაძე

## ქართლის მიწა

ზოგ წინაპარს
ღვთისო ერქვა,
ზოგს — გიორგი,
დავით,
ქიცა;
სხვის ტრამალებს
ურჩევნოდათ
ქართლის ერთი მწიკვი
მიწა!
ბავშვობისთვის არ
ეცალათ,
ეწეოდნენ საქმეს
ვაჟურს, —
ბატკნებივით ჩაჩოქილი
სვამდნენ მშობელ
მთების ნაყურს...
ზოგ მზეჭაბუკს
ვაჟა ჰქვია,
ზოგს — ბაჩანა,
ზოგსაც — ქიცა.
ბევრი გმირის
წმინდა სისხლი
მდინარედ და წვიმად
იქცა...
ვაქებ, ვინაც ერთგულება
ამოიჭრა გულში ფიცად,
ვის თვალებში და
საქმეშიც
წინაპართა ჯიში ვიცან!
ზოგ ბიჭუნას
ღვთისო ჰქვია,
ავთანდილი,
სესე,
ქიცა, —
ბევრის ფიქრი და ოცნება
ასფურცელა ვარდად იქცა!
ბევრიც ბრძოლის
ველზე დარჩა
და მომავალს ძალა მისცა.
იმ შორეულ საფლავებშიც
ენატრებათ ქართლის
მიწა!
მათ სახელზე იზრდებიან,
ეწევიან საქმეს ვაჟურს,—
ბატკნებივით
დაჩოქილი
წოვენ მშობელ
მთების ნაყურს...
ვაქებ, ვინაც ვაჟკაცობა
ამოიჭრა გულში ფიცად,
ვის სიტყვაში
და თვალებშიც
წინაპართა გეში ვიცან!

## წიგნი

მინაწერი „ქართლის
ცხოვრებაზე“

წიგნი განძზე ძვირფასია
და მრჩეველი უქარაგმო,
უებრო და უებარი,
უდავო და უქამანდო.
მოგატარებს ძველ
საბერძნეთს,
გაზღაპრებულ ტიგრს
და ევფრატს;
გადაგიშლის ქართლის
წარსულს,
ოქრომელნით ნაწერ
ეტრატს.
წიგნი გზაშიც გზიანია,
მეგობარი ულალატო,
უებრო და უებარი,
უდავო და უქამანდო.

## აკაციის ქოლგა

ძველ უბანში მოვხვდი,
სადაც სახლი მქონდა,
მომაგება ქუჩამ
აკაციის ქოლგა.
ძველ უბანში
ძველი
მოგონება თოვდა...
— ესეც ჩემგან
ქოლგა,
ქოლგა,
ქოლგა,
ქოლგა...
იქაური ბულბულების
ხმებიც,
მომაგონდა, —
მოგონება,
აკაცია,
თოვდა,
თოვდა,
თოვდა...

## ჩვენს მკითხველს და...

# მოგვწერეთ!

ჟურნალ „პიონერის“ გასული წლის მე-10 ნომერში დაისტამბა ჩემი ვრცელი წერილი „მივესათუთოთ სიყვარულს“. ადრე რუბრიკით „მწერლის ფოსტა“ სხვა საკითხებსა და საგნებზეც გვქონია საუბარი, მაგრამ არც ერთს არ ჰქონია მკითხველთა ისეთი მრავალრიცხოვანი გამოხმაურება, როგორც წერილს სიყვარულზე.

ჩვენს წერილში შევეცადეთ მოკლედ გადმოგვეცა სიყვარულის, როგორც ადამიანის ბედის ტრიალის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალის, არსი; გველაპარაკა მის მშვენიერებაზე, მის მრავალწახნაგოვანობაზე, ყოვლისშემძლეობაზე, გველაპარაკა მასზე, როგორც ძალზე სათუთ გრძნობაზე. თითქმის მთლიანად დავბეჭდეთ ერთი უცნობი, 13-14 წლის გოგონას წერილი, რომელიც ამ ასაკისათვის ფრიად შეუფერებელი პესიმიზმითაა გაჟღენთილი. გოგონას სიყვარული მოსძალებია და სასოწარკვეთილებას მიცემული თავის მოკვლას ფიქრობს — „სიკვდილს ველოდები, სიკვდილს, რომელიც ჩემი ხსნა იქნება. როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო, რომ სიყვარულის წერა არ გავხდე?“

ჩვენ იმ წერილში შევეცადეთ აგვეხსნა, დაახლოებით მაინც გაგვემარტა, როგორ მოქცეულიყო უცნობი გოგონა. დაახლოებითო, იმიტომ ვამბობთ, რომ, რაც კაცობრიობა არსებობს, შეყვარებულისათვის ჯერ ზუსტი რეცეპტი არავის გამოუწერია — ასე მოიქეცი და უთუოდ ბედნიერი იქნებიო.

რჩევაც კარგი წამალია უთუოდ, მაგრამ რჩევა მაინც რჩევაა, ცხოვრება კი თავისი მრავალი, ზოგჯერ სწორი, ზოგჯერ მრუდე გზით მიემართება. ამ გზას ადგანან ერთმანეთისაგან ასაკით, ცოდნით, ჭკუით, კულტურით, ინტელექტით, მრწამსით, გრძნობებით განსხვავებული ადამიანები. აი, რაშია სირთულე — ყველას ვერ ჩასწვდები გულში. ჯერ არ შექმნილა ისეთი აპარატურა, რომელიც ადამიანის ფიქრებს გამოიცნობს. შენ გიყვარს იგი, მაგრამ ის რას ფიქრობს შენზე? — რა გირჩიოთ, როგორ უნდა მოექცეთ მას?

ჩვენ რა შეგვეძლო, რა უნდა გვერჩია უცნობი გოგონასათვის? მხოლოდ ის, რომ თავდაჭერილობა და მოთმინება მართებს. სულსწრაფობასა და სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემა. ამას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. რა დროს სიკვდილზე ფიქრია, როცა წინ ცხოვრების მშვენიერი გზა გელოდება!

ჩვენს წერილს მკითხველთა უამრავი წერილი მოჰყვა. უმეტესობას ხელს აწერენ გოგონები, სწორედ ის 13-14-15 წლის გოგონები, რომელთა ბედიც წყლის წვეთებივით ერთმანეთს ჰგავს და, თქვენ წარმოიდგინეთ, უმეტესობას სიკვდილისათვის გაუსწორებია თვალი სასოწარკვეთილებისა და დაბნეულობის გამო.

მზია ჩხეტიანი

## ჩემი ჭრელი ფარდა

ჭადარს გააჟრიალა —
ეს ვინ ჩამოიარა?
ვინ გააღო ფანჯარა,
ბილილა ვინ დაყარა
უჩინარი ხელით?
მერე სტვენა-სტვენით,
მერე რხევა-რხევით
შევით, შევით, შევით
ახტა, ახარხარდა,
აიტაცა ფარდა და
გარეთ გამოვარდა...
გული ლამის გასკდა,
გამათავა დარდმა:
სად წაიღო ფარდა,
ჩემი ჭრელი ფარდა?
მოხატული ფარდა
ყვავილებით, ჩიტებით?
წუხდნენ ფანჯრის მინები:
დავრჩით შიშვლად,
მარტონი...
მე კი თითებს ვიმტვრევდი
და თან ფრენას ვნატრობდი.
პირს აღებდნენ კვირტები,
იცინოდნენ კვირტები,
ფანჯრის მიღმა, ნებივრად...

მე კვლავ თითებს
ვიმტვრევდი;
ნეტავ გამაგებინა,
საით გასხლტა ის ცეტი,
ყვავილებით, ჩიტებით
სად წაიღო ფარდა?!
რომ მოვხსენი პირი,
ვტირი, ვტირი, ვტირი,
გული ამომვარდა!
აწეწილი ფიქრით
ახლა გარეთ მივქრი
ჩემი სახლის იქით,
ცაცხვებიან ბაღთან
ვხედავ, ვრჩები სახტად:
ვილაც დაქრის სხარტად,
იქნევს ჩემს ჭრელ ფარდას
და ყვავილებს ფანტავს
და ჩიტუნებს ფანტავს,
სულ დაფლითა ფარდაც
ჩემი ჭრელი ფარდა,
სულ დაფლითა, მაგრამ
ვხედავ, ჩვენი ბაღი
როგორ დაიბარდნა.
აღარც თითებს ვიმტვრევ
და გავყურებ მინდვრებს,
ყვავილი რომ აწვიმს,
ხოლო ფარდის ჩითებს
ნაწილ-ნაწილ-ნაწილ
ქარი ატანს ჩიტებს,
ჩიტები კი სტვენენ
და ბუდეში ფენენ.
ვილაც ბერიკაციც
თეთრად გაიბადრა
და მამშვიდებს ყმაწვილს,—
„მზის და პურის მადლმა,
არა ღირსო დარდად
შენი ჭრელი ფარდა!“
მეც აღარას ვდარდობ,
მხოლოდ ამას ვნატრობ:
ჩემი ჭრელი ფარდა
კვლავაც, გაის ამ დროს
გაიტაცოს ქარმა,
ასე გაისარჯოს —
ჭრელ ჩიტებად ფანტოს,
ყვავილებად ბარდნოს...

## „მკითხველის ფოსტა“

ჩანს, მათ გულდასმით არ წაუკითხავთ ჩვენი წერილი, თითქოს ზუსტად გადაუწერიათ „უცნობი გოგონას“ სიტყვები. გვემუდარებიან, ახლა ჩვენც გვირჩიეთ, რა ვქნათო!

უმეტესობა მასწავლებლებს უჩივის, როგორც კი გაიგებენ ვინმეს სიყვარულს, იმავე წუთს განგაშს სტეხენ, მშობლებს იხმობენ და აფრთხილებენ, „სასწრაფო ზომების“ მიღებას მოითხოვენ.

აი, სწორედ ამის შესახებ გვწერს ერთი უცნობი მეთერთმეტეკლასელი გოგონა თელავის რაიონიდან. თავის წერილში იგი მშობლებსაც ემდურის: „მშობლები (ყველას არ ეხება!) ნამეტანი ეჭვიანები არიან. სულ ელანდებათ, რომ სისაძაგლეს ჩავიდენთ და რა ვიცი, კიდევ რას. დაავიწყდათ თავიანთი ბავშვობა?“ ქვემოთ იგი განაგრძობს: „სიყვარულს სანამ კარგად არ შეისწავლი, არავინ არ უნდა შეიყვაროო, — მითხრა ერთხელ ჩემმა უფროსმა მეგობარმა და მესაიდუმლემ. ეს მეც ვიცი, მართალი რომ არის, მაგრამ სად ვისწავლოთ, როგორ ვისწავლოთ? აი, ეს არის საკითხავი!“ წერილის ავტორი მეტად საყურადღებო საკითხსაც აყენებს: „იქნებ დროა (დაგვიანებით მაინც!) ჩვენმა პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა, მედიკოსებმა, სწავლულებმა გამოაქვეყნონ ჩვენთვის, მოზარდებისათვის საჭირო ბროშურები, წიგნები სიყვარულზე? ჩვენ გვინდა სწორი ორიენტაცია, ჩვენთვის გასაგებ ენაზე დაწერილი შეგონებანი. გვინდა ის, რომ აღმზრდელებმაც ისწავლონ, როგორ მოექცნენ მათ, ვისაც პირველად ეწვია სიყვარული“.

ამ მოსაზრებას უთუოდ იზიარებს ჩვენი რედაქცია და იმედია, პედაგოგები, ფსიქოლოგები, მედიკოსები და სხვა სწავლულები გამოეხმაურებიან უცნობი გოგონას მოსაზრებას.

ერთი მეთერთმეტეკლასელი გოგონა გვწერს: „ვფიქრობ, რომ გოგოები ყოველთვის ერთგული არიან სიყვარულისა ბიჭების მიმართ. ახლა ვიკითხოთ, ბიჭები თუ არიან ასეთი ერთგულები? მხოლოდ ერთს და ორს თუ შეხვდები. მე მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ვარ. მიყვარს ჩემზე ერთი წლით უმცროსი ვაჟი. მართალია, მან არ იცის ეს, მე კი მისი დანახვა უფრო მიღვივებს სიყვარულს. უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ თავი მომეკლა. იქნებ ცხოვრებას არავითარი აზრი არ ჰქონდეს უმისოდ! რომ გავუმხილო სიყვარული, ისიც მაშინებს, ვაი თუ მომატყუოს და მერე დამცინოს. იქნებ თქვენ დამეხმაროთ რაიმეში, ძვირფასო რედაქციავ!“

რა ვურჩიოთ ამ გოგონას? ვაჟსა და ქალს შორის ასაკობრივი სხვაობა, მომწიფების სხვაობა, არ გვაძლევს არავითარ გარანტიას, რომ ვაჟსაც ამ ასაკში შეეძლოს ისეთივე მტკიცე სიყვარული, როგორც გოგონას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ დრომ, სწორედ დრომ, წლებმა მოგვცეს შედეგი!

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ვაჟმა თანაუგრძნო და მათ შეუღლება გადაწყვიტეს, იჩქარეს და დაქორწინდნენ. მყარი იქნება კი მათი ოჯახი? არა მგონია. არა ერთი და ორი მაგალითი ვიცით იმისა, თუ რა უბედურება მოჰყოლია ასე ჰაიჰარად, ნაჩქარევად შექმნილ ოჯახებს.

არიქა, თავი უნდა მოვიკლაო! რატომ, რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ მოთმინების უნარი დავკარგეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ნებისყოფამ გვიღალატა? ეს უკვე ადამიანური სისუსტეა. ჩვენს ფიზიკურ ზრდასთან ერთად უნდა გავზარდოთ და განვამტკიცოთ ჩვენი ნებისყოფა, უნდა შეგვეძლოს, გადარეული ადამიანის თვალით კი არ ვუყუროთ სიყვარულს, არამედ დინჯად, მოთმინებით, სულგრძელობით ველოდოთ იმ ასაკს, როცა ბუნებით ნებადართულია ქორწინება და მეუღლეობა. დიახ, ბუნება ჩვენი მბრძანებელია, ჩვენ მისი შვილები ვართ და კიდეც უნდა დავემორჩილოთ მას, თუ გვსურს, რომ ბედნიერები ვიყოთ, გვქონდეს მყარი ოჯახი და გვყავდეს ჯანმრთელი შთამომავლობა.

აი, რას გვწერს 10 წლის გოგონას დედა: „...მასწავლებელმა მისაყვედურა: „ქალბატონო! თქვენი შვილი სულ ბიჭებთან მეგობრობს, ვარიგებ, ვეჩხუბები, მაგრამ არაფერი ესმის“. მე ამ ამბავმა ამაღელვა, მე და ჩემმა მეუღლემ დავტუქსეთ შვილი, ბევრიც ველაპარაკეთ, მაგრამ არაფერი გამომივიდა. არ უნდა თავის კლასელ გოგონებთან ამხანაგობა...“

გოგონას დედა თავისი წერილის ბოლოს დასძენს: „წმინდა და სპეტაკი სიყვარული ყველას არ შეუძლია, ეს დიდი სიმდიდრეა. თქვენს ასაკში (მიმართავს „უცნობ გოგონას“. თ. გ.) ყველაფერი ლამაზია და ამ სილამაზეს გაფრთხილება და ზომიერება სჭირდება. გაუგონეთ მშობლებს, მასწავლებლებს, მათ ეს გზა გაიარეს და უფრო მეტი იციან“.

გაუგონეთ მშობლებს, მასწავლებლებსო. ზემოთ კი წერს — „ვარიგებ, ვეჩხუბები, მაგრამ არაფერი ესმის“. ესე იგი, მასწავლებელი ჩხუბით არიგებს გოგონას. კარგი დარიგებაა, მე და ჩემმა ღმერთმა! ათი წლის მოზარდს უკვე ეჩხუბებიან, ბიჭებთან რად მეგობრობო! ახლა მივხედოთ მშობლებს — დავტუქსეთ, ბევრი ველაპარაკეთო! ესეც რა მეთოდია აღზრდისა?! როგორც ჩანს, ათი წლის გოგონას აღზრდის კარგი სკოლა არ ელის და ამაშია შემდგომი მოსალოდნელი მისი ტრაგედია მსგავსად იმ 13-14 წლის გოგონებისა, რომლებსაც უყვართ პირველი გატაცებით, გრძნობის პირველი გამოღვიძებით და... ფიქრით სიკვდილზე.

როგორია თანატოლების როლი გრძნობათა გაღვიძებისას? ლაზღანდარა, ტვინფანტურა, ქერქეტა ყმაწვილებს სასაცილოდ გაუხდიათ ამხანაგის, მეგობარი გოგონას თუ ვაჟის გრძნობათა ჰიდილი. ისინი დაფაზე სასწრაფოდ გააშანშალებენ შეურაცხმყოფელ წარწერას, იცინიან, ხარხარებენ, აბუჩად იგდებენ თავიანთ კბილას...

აი, რას გვწერს ამის თაობაზე მეშვიდეკლასელი ემზარ ფერაძე წყალტუბოდან: „ჩემი აზრით, ლალისა და თემურის მეგობრობის ჩამშლელები მათი ამხანაგები არიან. მათ რომ არ დაეწერათ დაფაზე „ლალი+თემური=სიყვარულს“, არც არაფერი მოხდებოდა“.

ძველი ანაგის საშუალო სკოლის მეშვიდე და მერვეკლასელი მოსწავლეები ნონა და თინიკო ღვედაშვილები გვწერენ: „ლალის ამხანაგებს არ სცოდნიათ, რა არის მეგობრობა. ამხანაგებმა მას დასცინეს. ჩვენც ვამხანაგობთ ბიჭებთან, მაგრამ ეს არავის დაუშლია. მასწავლებელი კი ტყუის, ლალის რომ ეუბნება: „აქ ბავშვები რაღაც-რაღაცებს ლაპარაკობენ და შენ მოუკელი ბიჭებთან სიარულსო!“ მასწავლებელი პირიქით უნდა მოქცეულიყო, დაეტუქსა ისინი, ვინც ლალის დასცინა.

თბილისის 184-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი ნინო ცისკაძე ამბობს: „მე ჩემი აზრის გამოთქმას იმით დავიწყებ, რომ მასწავლებელს ასეთი უტაქტო და უხეში საქციელი არ უნდა ჩაედინა ლალის მიმართ. მისმა ამგვარმა საქციელმა დიდი ჭრილობა მიაყენა ლალისა და თემურის ფაქიზ გულებს. ასევე უტაქტოდ არ უნდა მოქცეულიყვნენ ლალის მშობლები და მისი უფროსი ძმა. რამდენი ადამიანის უბედურების წყაროდ შეიძლება იქცეს ერთის დაუფიქრებელი საქციელი! მასწავლებელს რომ მეტი მართებს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ბევრ მასწავლებელს კი სრულიად არავითარი კონტაქტი არა აქვს მოსწავლეებთან. მასწავლებელმა მოსწავლეს ცოდნასთან ერთად სულიერი საზრდოც უნდა მიაწოდოს“.

ჩვენი მხრივ ამას დავუმატებდით: გამოვაქვეყნეთ წერილი ყმაწვილების ადრეულ, პირველ სიყვარულზე, მეტად სავალალო მაგალითიც აღვნიშნეთ, უფრო ადრე ვილაპარაკეთ ლალისა და თემურის სიყვარულის ამბავზე, პედაგოგის საქციელზე, მშობლებზე... ვითომ ეს ამბავი არ ეხებათ პედაგოგებს? არ ეხებათ მშობლებს? ასეთ მრავალრიცხოვან ფოსტაში არც ერთი პედაგოგის წერილი არ აღმოჩნდა. ჩვენ კი გვაინტერესებს მათი აზრი. გვინდა, რომ „პიონერის“ მეშვეობით გაესაუბრონ ისინი ყმაწვილებს. ნუ გვავიწყდება, რომ ისინი მომავალი დედები და მამები არიან, რომ ისინი იზრდებიან და ზრდასთან ერთად ეღვიძებათ ადამიანთა დამაკავშირებელი ყველაზე მშვენიერი გრძნობა — სიყვარული.

ყმაწვილები გვემუდარებიან: გვირჩიეთ, რა ვქნათ, რომ სიყვარულიც შევინარჩუნოთ, მასწავლებლებისა და მშობლების წყრომასაც გადავურჩეთო.

დიახ, პედაგოგებისა და გულისხმიერი მშობლების სიტყვა, კეთილგონივრული რჩევა, მხარში დგომა სჭირდება მათ, ვისთვისაც სიცოცხლის კვირტი ეს-ეს არის იშლება და იფურჩქნება. მათ ჯერ ბევრი რამ არ იციან, უცებ უნდათ ბედნიერების ფიანდაზები. ცხოვრებას კი თავისი გზები აქვს და ვეცადოთ, ერთობლივი ძალისხმევით სწორ გზაზე დავაყენოთ ჩვენი გოგო-ბიჭები...

მოდით ამ ერთხელ კიდევ და... მრავალჯერ ვისაუბროთ სიყვარულზე!

**თენგიზ გოგოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დრუნჩიამ სახლი აიშენა

გ ი ვ ი ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

პ ი ე ს ა

**თეჯირის ფარდა ღიაა. პიესა-ზღაპრის მონაწილენი: ბუძგა ზღარბი, ცეტა ციყვი, ყინწა მამალი-თავსავარცხელა, ბაჰია სკუპი-სკუპა და დრუნჩია-დათუჩელა სახლს აშენებენ, თან ტკბილად ღიღინებენ. თეჯირის წინ გამოდის სპექტაკლის წამყვანი:**

სახლის აშენება სურდა
დრუნჩია დათვსა-დათუჩელას.
ბუძგა ზღარბი, ცეტა ციყვი,
მამალი თავსავარცხელა
დ ბაჰია სკუპი-სკუპა
ამოუდგნენ გვერდით ხელად,
საქმე მალე მოამთავრეს,
ყველამ თავი ისახელა.
ახლა დიდი ზეიმი აქვთ,
სახლი საგანგებოდ მორთეს.
სიმღერა და ჟრიამული
გაგრძელდება საღამომდე...

**სტუმრები ოდასახლში ფუსფუსებენ, საქმიანობენ, თან მღერიან. უეცრად დარბაზში თავს შემოჰყოფს კუდამელა.**

**კუდა** — მოგვილოცავს, დათუჩელავ,
დღე დაგვიდგა სანატრელი.
შემოსძახე, მამლაყინწავ,
მეც აქა ვარ, რაღას ელი?!

**ბუძგა** — (ახითხითდა) შენმა მოსვლამ გაახარა და ხმას მიტომ ვეღარ იღებს...

**კუდა** — მე მამლები მართლაც მომწონს, მირჩევნია სულელ იხვებს.

**ბუძგა** — კი მაგრამ, აქ რისთვის მოხველ?

**სკუპა** — რას გაჩუმდი, გვითხარ ბარემ.

**კუდა** — მშენებლობა რომ დამთავრდა, მეტისმეტად გავიხარე!

**ცეტა** — აკი ავად ბრძანდებოდი...

**კუდა** — კი, წელკავი მქონდა მართლაც, მაგრამ, მერე რომ შევიტყვე, დათუჩელა ნადიმს მართავს, გულმა შინ არ დამაყენა...

**ბუძგა** — რაო?! გულმა, თუ კუჭმაო...

**კუდა** — დაგიდუმდეს მწარე ენა! რას მერჩიან, დრუნჩიავ, ძმაო, შენთან მოველ მოსალხენად. ხომ იცი, რომ სულ მარტო ვარ, ბნელი სორო მექცა ციხედ.

**ყინწა** — უქნარა ხარ და იმიტომ!

**ცეტა** — ვინც იშრომა, ის მოილხენს!

**დრუნჩია** — კარგით, გეყოთ! ნუ კინკლაობთ, ასეთი რამ არ შეგშვენით. დღეს ხომ ახალსახლობა მაქვს და სუყველა ძმაა ჩვენი. ჰეი, ეგ ხმა, ჩემო ყინწავ, იქნებ მართლა ჩაგეხრინწა...

**ყინწა** — ყოყოყო! უხ, რასა ბრძანებ!
ყიყლიყოოო! იყოს სმენა!
ჩვენმა დათვმა-დათუნიამ
ოდასახლი აიშენა!
სანადიმო სუფრასა შლის,
სტუმრად გიწვევთ ყველას, ყველას!

**კუდა** — გმადლობთ, ჩემო დათუჩელავ!

**დრუნჩია** — სხვებიც მოვლენ უეჭველად...

**ბუძგა** — რომ მოვიდნენ, რას მიართმევ, რა საჭმელებს გამოუტან?

**დრუნჩია** — რასა? პანტას, თხილს და კაკალს, აირჩიოს, ვის რა უნდა... ჰოო, კიდევ თაფლიცა მაქვს!

**კუდა** — (დასცინის) პანტა! თხილი!

**დრუნჩია** — ვაშლიც, წაბლიც...
თუკი არ გამაწბილებენ,
სიმღერასაც შევასწავლი.

**ბუძგა** — შენ ისეთი ტკბილი ხმა გაქვს, ვერ გაჯობებს, მართლა, ტურაც.

**ცეტა** — მიდი, ვიდრე სუფრას გავშლით, შემოსძახე ვაჟკაცურად.

**დრუნჩია** — რომელი ვთქვა? აბლი-ბაბლი, თუ ის... მრავალჟამიერი.

**კუდა** — ნეტა რა დროს სიმღერაა, მუცელი მაქვს ცარიელი!

**დრუნჩია** — (მოულოდნელად აბღავლდა)
აბლი-ბაბლი-ბაბლები!
მიყვარს კარგი ზღაპრები.
დეკემბერში დავიძინებ,
თებერვალში ავდგები.
(დაამთქნარა) უხ, ნამდვილად ძილის დროა, ამერია დავთრები...

**კუდა** — სამასპინძლოდ სტუმრებს იწვევს და თვითონ კი ძილს აპირებს...

**ბუძგა** — დათვს ზამთარში მუდამ სძინავს, ეს სულელს თუ გააკვირვებს.

**ცეტა** — დროა, სუფრა გავუშალოთ ყველა სტუმარს, დღეს აქ დამსწრეს. თხილს და კაკალს რომ ვიხსენებ, სულ კბილები მიკაწკაწებს.

**სკუპა** — სულწასული ნუ ხარ, ციყვო, ვერა ხედავ, სტუმრებს ველით.

**ყინწა** — ვიღა მოვა, ყველა აქ ვართ, ვინც კი იყო მოსასვლელი!



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ცეტა** — ახლა სუფრას უნდა უჯდეს სტუმარიც და მასპინძელიც.

**ბუძგა** — თანაც გარეთ ქარბუქია, მგზავრობაა ძალზე ძნელი...

(შორიდან ყმუილი მოისმა. წამით ყველა გაირინდა)

**სკუპა** — გესმით? ტყეში მარტოდ-მარტო დაწანწალებს მხოლოდ მგელი.

**ცეტა** — ის ცალთვალა, ჰუტა მგელი...

**ბუძგა** — რა აბლავლებს?

**კუდა** — ეტყობა, გზა აერია ამ ქარბუქში.

**ცეტა** — ალბათ შია.

**ბუძგა** — აქეთ მოდის.

(ფანჯრიდან იცქირებიან)

**კუდა** — შინ შემოსვლას ნუ დაუშლით...

**ცეტა** — რატომ უნდა დავუშალოთ?

**სკუპა** — იმიტომ, რომ შეგვჭამს ყველას!

**კუდა** — ვერა, თათსაც ვერ შეგვახებს, აგერ დრუნჩა გვიდგას მცველად.

**ცეტა** — თუ ასეა, მელაკუდაც საშიშია, მაგრამ, ხედავთ, როგორ დაგვიამხანაგდა...

**ყინწა** — დრუნჩას შიშით რას გაბედავს!

**დრუნჩა** — ეს ფანჯარა გამოაღეთ და თან უხმეთ: — აქეთ! აქეთ!

**ყინწა** — ყიყლიყოო!

**კუდა** — სულ დაყრუვდა... (კარისკენ გარბის)

**დრუნჩა** — საით მიხვალ, მელაკუდავ?

**კუდა** — იმ საცოდავს შველა უნდა!

(კარლიაში გასძახის)

ჰეი, ჰუტავ! ჰეი, ჰუტავ!
ალბათ სული შეეხუთა,
ამიტომაც ველარ ყმუის,
სულს დალაფავს ამ ყინვაში...

**დრუნჩა** — კარგი, წადი, მოიყვანე.

**ცეტა** — ჩვენ მანამდე სუფრას გავშლით.

**დრუნჩა** — აბა, ცეტა, სკუპა, ბუძგა, თქვენებურად დატრიალდით.

**ყინწა** — ერთი ვნახოთ, მეგობრებო, რომელი ხართ ჩემზე მარდი!

**სკუპა** — მე ვერავინ ვერ მაჯობებს, გადავდივარ ალაყ-მალაყს.

**ცეტა** — ჩვენი ლხინი, როგორც ვატყობ, გაგრძელდება ალბათ ხვალაც...

**დრუნჩა** — თაფლს ჯამ-თასით გამოვიტან და სუყველამ მოვულხინოთ. ქარვასავით ხასხასაა და მაგარი, როგორც ღვინო.

**ცეტა** — მოდი, ერთ წვეთს მეც გავსინჯავ, უჰ! უჰ! მართლაც მაგარია. შენც იგემე, სკუპსკუპელა...

(აწვდის ჯამს).

**სკუპა** — ნეტავი რამ გადაგრია!
აგერ ბუძგას მიაწოდე...

**ბუძგა** — ჯერ დავაწყოთ ეს კაკლები, მერე სუფრას მივუჯდები და მაგ თაფლსაც გეახლებით.

ლურჯი სუფრა თანდათან ნაირ-ნაირი ხილითა და ტკბილეულით ივსება.

**დრუნჩა** — ნეტა რად იგვიანებენ ის მელა და ჰუტა მგელი?

**ბუძგა** — შეიძლება სხვაგან ნახეს სუფრა უფრო სასურველი...

**დრუნჩა** — უკვე დროა, რომ დავლოცოთ სტუმარიც და მასძინძელიც!

**ერთხმად** — ამ ოდასახლს გაუმარჯოს! — მზემ გაუთბოს ფუძე, ჰერი, — აბა, მრავალჟამიერი! — მრავალ-მრავალ-ჟამიერიიი!

იქვე, ოდასახლიდან არცთუ ისე შორს, გზის პირას გათოშილი ჰუტა მგელი და კუდამელა ქარაშოტით გადატეხილი ხის აქეთ-იქით დგანან და ერთმანეთს შესცქერიან.

**კუდა** — შე სულელო, რას კანკალებ?

**ჰუტა** — ვინ მიბედავს?!

**კუდა** — ვერმიცანა! (ხითხითებს).
მგელი ხარ თუ ყურცანცარა? ეს რა შიშმა აგიტანა!

**ჰუტა** — თავადა ხარ მშიშარაც და კიდევ დიდი ცრუპენტელაც...

**კუდა** — მელია ვარ. დრუნჩა დათვმა გამომგზავნა შენს საშველად.

**ჰუტა** — მოდი, მხარში ამომიდექ. ხედავ, ძლივსლა ვადგამ ფეხებს. წელან იმ ხეს დავეჯახე, ჰოდა, შუბლი გავიტეხე. ცალთვალა მგელს ეს მინდოდა?! წესიერად ვერც კი გხედავ...

**კუდა** — გასული წლის ბრალი არის,
ძლიერ ცუდად დაგებედა.
ახლა დრუნჩას რომ ვეწვევით,
ერთ-ორ წამში მოიკეთებ.
დათუჩელა მკურნალია,
არ მოგაკლებს პიტნის წვეთებს.
ჰა, გამომყევ, მომეც თათი,
აგისრულებ მალე წადილს.

**ჰუტა** — (მელია როგორც კი მიუახლოვდა, ეცა და ტორებში მოიქცია)
ოი, როგორ გამახარე,
შენი ფეხით რომ მობრძანდი.
იქ წამოსვლა რაღად მინდა.
აქვე შეგჭამ ძვლებიანად...

**კუდა** — ერთი სიტყვა მათქმევინე...

**ჰუტა** — არა!

**კუდა** — ძველი ძმები არ ვართ?

**ჰუტა** — არა, მტრები!

**კუდა** — კი ვიყავით,
დღეს დათუჩამ შეგვარიგა,
ენაცვალოს შენი თავი.

**ჰუტა** — ჩემი თავი? რატომ ჩემი?!

**კუდა** — კარგი, ჩემი თავი იყოს...
ამდენი რომ მალაქლაქე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19390

მართლა სულელო და ბრიყვო,
არა სჯობდა, ყური გეგდო,
შეგესმინა ჩემი სიბრძნე...
მაგრამ იფ! იფ! თავბრუ მესხმის,
დრუნჩას მამლის სუნი ვიგრძენ.
ალბათ უკვე შეწვეს კიდეც.
რა ბიბილო ჰქონდა თავზე!
ნეტავ რას გამოვეგზავნე.
ვახმე! როგორ დავინავსე!
ამ იწილო-ბიწილოში
ორთავენი ისე მოვცდით,
დათვს დარჩება ჩვენი წილი
ბაჭიის და ციყვის ხორციც.

**ჭუტა** — თანაც, როგორ გავითოშე,
სულ კბილები მიკაწკაწებს.

**კუდა** — ტანზე გადაგეფარები
და გაგათბობ, თუკი ამწევ.

**ჭუტა** — ვერ ამწევო.. ეგღა მაკლდა!
(მელა მგელს ზურგზე გადაეფარება)

**კუდა** — აბა, წინ, წინ გასწი, მარდად!

ჭუტა და კუდა სულ მალე დრუნჩას ოდასახლს მოადგებიან, საიდანაც თაფლით მთვრალი სტუმარ-მასპინძლის ღიღინი მოისმის. კარზე აბრახუნებენ.

**ჭუტა** — ჩქარა, ჩქარა, გავითოშეთ!

**კუდა** — თან შიმშილით სულსა ვღაფავთ...

**დრუნჩა** — (გონს ძლივს მოეგო) ვინ ხართ?!

**კუდა** — მე და მგელუკა ვართ...

**დრუნჩა** — ჰა, გაუღეთ კარი სწრაფად!

**სკუპა** — ვერა, კარს მე ვერ გავუღებ...

**ბუძგა** — ჯერ დაფიქრდით...

**ცეტა** — მშიშრებს დახეთ!

მე გავაღებ.
დრუნჩა აქ გვყავს,
ნეტავი რა გაცახცახებთ?!

ცეტა ჭუტასა და კუდას კარს გაუღებს თუ არა, მაშინვე გაიქცევა და შეშინებული მაგიდაზე შეხტება.

**დრუნჩა** — კეთილ სტუმრებს გაუმარჯოს!

**ჭუტა** — გაუმარჯოს დათუჩელას!

**კუდა** — დიდ-პატარას, სუსტს და ძლიერს პატივს რომ სცემს განურჩევლად...

**დრუნჩა** — აბა, თაფლი მოიტანეთ
და მიართვით მგელს და მელას!

**ჭუტა** — (ცეტას მორთმეულ ჯამს მაღლა სწევს).

ამ სახლის ჭერს სულ ნადიმი
და სიმღერა დაექვებოს!

**დრუნჩა** — ხომ კარგია?

**ჭუტა** — ეხ, ტკბილეულს სჯობდა,
მოგერთმიათ ერბო...

**ცეტა** — აი, ვაშლი, თხილი, წაბლი...

**ჭუტა** — შიმშილისგან გონსა ვკარგავ...

**კუდა** — რაში გვინდა თაფლი, წაბლი!

**ჭუტა** — დრუნჩავ, ნუთუ ხორცი არ გაქვთ?!

**დრუნჩა** — არა, არა! არ გვაქვს ხორცი...

**ჭუტა** — როგორც ვხედავ, უქმად მოვცდით.

**კუდა** — (ჭუტას) გეყო, თვალს ნუ მიბრიალებ. ამათ სეირს ნახავ მალე...

(ყურში რაღაც უჩურჩულა)

აბა, თაფლი! თაფლი კიდევ
ჩამოგვისხი, მასპინძელო!

**ჭუტა** — სკუპა, ბუძგა, ციყვუნია და
დათუნა ვადღეგრძელოთ!

**კუდა** — მამლაყინწა არ გამოგვრჩეს,
ჩემი ტკბილი კუდნამგალა!

**დრუნჩა** — უჰ, ამდენმა სადღეგრძელომ დამათრო და გადამღალა!

**კუდა** — (გახარებული) გადაგღალა?
თუ ასეა, საცეკვაო, აბა, ჩქარა!

(კუდა ცეკვა-ცეკვით წრეს ჩამოუვლის და დათვს გამოიწვევს. დათვი ტორებს გაშლის, თან სიმღერასაც წამოიწყებს):

აბლი-ბაბლი-ბაბლები!
მიყვარს კარგი ზღაპრები.
დეკემბერში დავიძინებ,
მარტის ბოლოს ავდგები. (დაამთქნარა და ბანცალი დაიწყო)

ეეხ, ნამდვილად ძილის დროა,
ამერია დავთრები... (წამოწვა და ხვრინვა ამოუშვა).

**სკუპა** — ვაი, რაღა გვეშველება!

**ბუძგა** — ნუ ჰყიპინებ, სკუპი-სკუპავ,
თავიდანვე ასეც ვგრძნობდი.
ძლიერ ბევრი თაფლი ყლუპა...

**ცეტა** — მასპინძელიც ამას ჰქვია!

**კუდა** — ნუ ხმაურობთ, გაალვიძებთ!

**ჭუტა** — სჯობს ღიღინით იავნანა
ვუთხრათ, ასე შვენით ძიძებს.

**კუდა** — მართალია! (წაუღიღინა) იავნანოო!

**ჭუტა** — (ისიც ალიღინდა) ვარდონანო
ვუთხრათ დრუნჩას...





საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

(ცეტამ და სკუპამ საბანი მოარბენინეს და დრუნჩას გადააფარეს).

**კუდა** — (ჭუტას უჩურჩულა) ამას უკვე გაღვიძების პირი არა, აღარ უჩანს...

**ბუძგა** — ნუ უმღერით! ამ ეშმაკებს რა სწადიათ, ვერა ხვდებით?!
აბა, ყინწავ, შემოსძახე!
იხმე ჩვენი მეგობრები!

**ყინწა** — ყიყლიყოო!

**კუდა** — (უეცრად კარი გადაკეტა) ამ კარიდან ველარც გავლენ, ვერც შემოვლენ.

**ჭუტა** — ნეტავი აქ ვის მოიხმობთ ჭუტასა და კუდას მომრევს?!
აბა, მელა, ეცი მამალს!

**ცეტა** — მეც შენთან ვარ, ჩემო ყინწავ!

**ბუძგა** — სკუპი-სკუპავ, მე გამომყევ, თორემ აქ თავს ვერ დაიცავ!

(ბაჭია ეკლებიან ზღარბს ამოეფარება)

ქვეყანაზე რა გამოლევს,
ყველგან არის მჯობნის მჯობნი.
იმისთანა ეკლები მაქვს,
მტერ-მოყვარეს ყველას ჰყოფნის.

(ეკლებით ხან დრუნჩას აღვიძებს, ხან მგელსა და მელას ჩხვლეტს)

**ჭუტა** — ვაჰ, ფეხები სულ დამჩხვლიტა!

**კუდა** — მგონი, მოდის ხოშკაკალა!

**ჭუტა** — ვაი! ვაი!

**კუდა** — ვუი! ვუი!

**ჭუტა** — აღარა მაქვს მუხლში ძალა!

**ცეტა** — ხახა-ხიხი! ეგრე გინდათ!

**სკუპა** — აგერ, დრუნჩაც წამომდგარა!

(ყველანი გაიტრუნენ. მელა და მგელი შიშით კანკალებენ)

**დრუნჩა** — რაო... უკვე გათენდა და...
ისევ ცეკვავთ თუ რა მოხდა?!

**კუდა** — დიახ, დიახ! ვცეკვავდით და
უცებ თავში გირჩა მომხვდა...
განა ერთი, განა ორი,
ასი კოპი მაზის თავზე!



**ჭუტა** — მეც დამჩხვლიტეს ამ ოხრებმა. დღეს ორთავე დავითარსეთ!

**დრუნჩა** — ვინ გესროლათ? ვინ დაგჩხვლიტათ?

**კუდა** — ვინ და, აგერ იმ ცეტებმა!

**ჭუტა** — უზრდელებმა!

**კუდა** — ბოროტებმა!

**ცეტა** — ტყუილია!

**სკუპა** — მართალია!

**დრუნჩა** — მორჩით, გეყოთ!
ბრძენ ზღარბს ვკითხავ.
თქვი, ბუძგიავ... შენ ხომ იცი,
ფიქრი რომ არ მიყვარს დიდხანს.

**კუდა** — სულ ცოტა წავიკინკლავეთ...

**დრუნჩა** — მე რომ ძილი მომერია, თქვენ აქ, ვატყობ, ჩხუბი გქონდათ. დამნაშვე რომელია?

**ბუძგა** — შენ, დათუჩავ, როგორც ვატყობ, ჩემგან ნამდვილ პასუხს ელი...

**დრუნჩა** — დიახ! დიახ!

**ბუძგა** — დამნაშავე ვინ არის და — მასპინძელი...

**დრუნჩა** — რაო?!

**ბუძგა** — სუფრას რადგანაც შლი სალხინოდ და სასაუბროდ...

**დრუნჩა** — მერე...

**ბუძგა** — ჩემო მეგობარო,
მტერს ძილის წინ ვინა სტუმრობს? ჩვენ რომ არა, ეს იცოდე, გაგაძრობდნენ მაგ ტყავს ცოცხლად...

**ცეტა** — კუდა უკვე გაიპარა!

**სკუპა** — ჭუტაც გარბის... რა მოცოცხა!

**დრუნჩა** — (გაოცებული და სევდიანია)
ამ ტყავს ცოცხლად გამაძრობდნენ?!

**ცეტა** — ჰო, ჰო! დიახ, ჩვენ რომ არა...

**სკუპა** — მე რომ არა...

**ყინწა** — მე რომ არა!

**ბუძგა** — კარგი, კმარა!
მთავარია გადვრჩით და
კარგადა გვყავს დათუჩელა;
სჯობს გულივით, სახლის კარიც
არ გავუღოთ აწი ყველას!
ტყეში ბოროტს რა გამოლევს...
მუდამ ფხიზლად გვქონდეს
თვალი,
რომ ხვალისთვის უფრო მეტად
შევძლოთ ცნობა მტერ-მოყვარის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წლის წინ [illegible]დიანის სახ. ბავშვთა სურათების გალერეის თანამშრომლები ლენინგორში გავემგზავრეთ. ვინც არ ყოფილა შუა ქართლში, ნუ იტყვის, რომ ოდნავ მაინც იცნობს საქართველოს. მივქრივართ მანქანით... მარჯვნივ თრთვილით დაფარული ულამაზესი მთებია, მარცხნივ — ქსნის ხეობის წარმტაცი სანახები.

ლენინგორის ბავშვთა სახლს ახალი შენობა აქვს — ამ ორი წლის წინ უზეიმიათ ახალსახლობა. სახლის შესასვლელში ფოტოსტენდია: „ყოჩაღი ბიჭები და ბეჯითი გოგონები". აი, როგორი ორიგინალური ფორმა მოუძებნიათ ბავშვების წასახალისებლად...

დირექტორს ვეწვიეთ, როლანდ ოკაშვილმა, სანდომიანი გარეგნობის კაცმა, დაგვათვალიერებინა ბავშვთა სახლის ეზო-გარემო, გაგვაცნო აქაური ბავშვების ყოფის დეტალები.



მისგანვე შევიტყვეთ, რომ აქ მხოლოდ მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები ცხოვრობენ. საბავშვო სახლში არიან 9 ეროვნების ბავშვები: ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ქურთები, უზბეკები, უკრაინელები, ბელორუსები. ისინი ყველანი ლენინგორის ქართულ საშუალო სკოლაში სწავლობენ. ამ სკოლას აქვს



ბელა ილურიძეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის გამარჯვებულის მედალი გადაეცა

ფოტო არჩილ მამალაძისა

# ყოჩაღი ბიჭები და ბეჯითი გოგონები

რუსული ჯგუფებიც. თუმცა აქაც ბავშვები თურმე ძირითადად ქართულად საუბრობენ, ერთად ბრუნდებიან სკოლიდან ბავშვთა სახლში, გაკვეთილებს აქაური პედაგოგების დახმარებით ამზადებენ. თვალსაჩინოებებითა და მერხებით გაწყობილი, მშვენიერი სამეცადინო ოთახეში აქვთ; მყუდრო, ნათელი საძინებლები. ჩვენ ესენიც დავათვალიერეთ. განსაკუთრებით მოგვეწონა ერთი საწოლი ოთახი — ერთი დისა და ორი ძმისა... ყველგან სისუფთავე ხვდება თვალს. სართულებზე მოწყობილი დასასვენებელი კუთხეები მწვანეშია ჩაფლული.

ბავშვთა სახლში ნორჩთა ნამუშევრების საკუთარი მუზეუმიც აქვთ. აქ უამრავი ნაკეთობაა გამოფენილი, ძირითადად, შრომის მასწავლებლის გიორგი გათენაშვილისა და მისი შეგირდების ოსტატობის ნაყოფი: სკივრები, ზარდახშები, სამახვშო სკამები, კარადები, სხვადასხვა ნივთების შესანახი ყუთები, მაგიდები, გობები, საოჯახო ჭურჭელი...

მშვენიერი სახელოსნო აქვთ ლენინგორის ბავშვთა სახლში. აქ ბავშვები ხის მხატვრულ დამუშავებას სწავლობენ. ლამაზად დაუწყვიათ საჭრეთლები, კედლებთან იარაღებით სამუშაოდ გაწყობილი დაზგები გამწკრივებული. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ნორჩი















ოსტატი — 15 წლის გელა ილური-ძეც აქ დაგვხვდა, სამუშაოს ჩაღრმავებოდა. გელა სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის ერთ-ერთი გამარჯვებულია. ამ წარმატებისათვის მას მონაწილის მედალი, საპატიო დიპლომი და ფულადი ჯილდო გადავეცით. ნიჭიერმა ბიჭმა კი თავისი მოულოდნელი გადაწყვეტილებითაც გაგვახარა — მან ეს ფულადი ჯილდო — 50 მანეთი — თავისი სურვილით დავით აღმაშენებლის ძეგლის ფონდში გადარიცხა.

ჩვენი დაინტერესება ლენინგორის ბავშვთა სახლით შარშან დაიწყო. ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-კონკურსი ჩავატარეთ. კონკურსში მონაწილეობდნენ ლენინგორის ბავშვთა სახლის ხის დამუშავების წრის წევრებიც: ნუგზარ კახნიაშვილი, გელა ილურიძე, გოჩა ზოზიროვი, ჯემალ ბურუსოვი, ანატოლი ორლოვი, სერგო სარიანი. მოზარდებმა თავიანთ ნამუშევრებში ოსტატობა და ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ცოდნა გამოამჟღავნეს. მათ მიერ ნატიფად იყო შესრულებული მრავალსახოვანი ქართული ორნამენტები, ყველას ხიბლავდა მათი ნახელავი ხონჩები, სკივრი, შანდალი, სამარილე, მაღალი ყუთი — ხის მხატვრული დამუშავების შესანიშნავი ნიმუშები. მოსწავლეთა ნამუშევრები ალბათ მრავალ ეთნოგრაფიულ მუზეუმსაც დაამშვენებდა. ჟიურის გადაწყვეტილებით, ამ ნამუშევრებისთვის ლენინგორის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები დაჯილდოვდნენ I და II ხარისხის დიპლომებით, მათი ნაკეთობები გაიგზავნა სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზეც, სადაც ისინი აღინიშნა ვერცხლის მედლებითა და ფულადი ჯილდოებით.

აი, ლენინგორელ მოსწავლეთა რა წარმატებების კვალზე ვეწვიეთ მათ მშობლიურ ბავშვთა სახლს.

ელენე გორგაძე,
ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის სამხატვრო ხელმძღვანელი.



## ცხენები

მინდორში მარტო იდგა ცხენი და მშვიდად ძოვდა. ხანდახან თავს აწევდა, ჩამავალ მზეს გახედავდა. ღრუბელივით თეთრი იყო და საღამოს ფერებში გამოკვეთილად ჩანდა. თავს ოდნავ გადასწევდა და იდგა ასე დიდხანს, მერე თითქოს რაღაცა გაახსენდაო, თავის ძველ საქმიანობას გააგრძელებდა. თავისუფალი იყო და არაფერი ადარდებდა. შეეძლო თავაწყვეტილს აქეთ-იქით ერბინა, ბალახი თავსაყრელად ჰქონდა. მაგრამ ამ ტრიალ მინდორში მარტო იყო, მეგობარი არ ჰყავდა და არც ჰქონდა გაგონილი რა იყო ეს, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა.

ამ ღამეს ტყეში დაბორიალებდა, მგელივით შეჰყურებდა წყვდიადს. რაღაცას ელოდა, თვითონ არ იცოდა რას. ჯიუტად მიარღვევდა ბუჩქნარს. ბოლოს გაჩერდა, გაინაბა, ასე იყო დიდხანს. ბუჩქებში ფაჩუნი გაისმა და გამოვიდა ცხენი. სულ შავი იყო. ერთმანეთს მიუახლოვდნენ. დიდხანს უყურებდნენ ერთმანეთს, ათვალიერებდნენ. ბოლოს შავი გაბრუნდა და გაიქცა. თეთრი გაეკიდა. დიდხანს დარბოდნენ. მერე ორივე გაჩერდა. ისევ ათვალიერებდნენ ერთმანეთს. მერე მდინარისაკენ გაიქცნენ. თენდებოდა. ისინი კი წყალში იდგნენ. სციოდათ. თეთრმა ჩა-

ჩვენი ეპოქა იცნობს ადამიანური თავგანწირვის, თუ გნებავთ, უანგარო მსხვერპლგაღების მაგალითებს. გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს:

ეს ამბავი მოხდა ამ რამდენიმე წლის წინათ. მთელი მსოფლიო შესძრა იუგოსლავიის რეაქტორში დატრიალებულმა უბედურებამ. რეაქტორში გამავალი რადიაციის სასიკვდილო დოზით დასხივდა ხუთი ადამიანი. ესენი იყვნენ აქ მომუშავე ფიზიკოსები. საჭირო გახდა სასწრაფო დახმარება. დაზარალებული მეც-

იფრუტუნა. მერე ორივე ნელა წავიდა ნაპირისაკენ. მთელი დღე სეირნობდნენ.

ასე გადიოდა დრო...

ერთხელ თეთრს გაეღვიძა. მზე კარგა ხნის ამოსული იყო. ვერსად დალანდა მეგობარი. მინდორზე გამოვიდა. იქ ვიღაც უცხო არსება და შავი ცხენი დალანდა.

— სად დამეკარგე? იცი, რამდენი გეძებე, — ეფერებოდა უცხო არსება ცხენს, — წამოდი, წამო!

ცხენი გაჯიუტდა.

— წამო, რა, წამო! — ეხვეწებოდა არსება.

ცხენმა ნაბიჯი გადადგა. მერე გაჰყვა. თეთრი უყურებდა. ნუთუ მიატოვა? სად წავიდა? რატომ გაჰყვა იმ უცხო არსებას?

ცხენი მარტო იდგა. ისევ რაღაცა აკლდა.

სოფიკო როინიშვილი,
თბილისი, მე-2 ექსპერიმენტული სკოლა, VII კლასი.

## ჩემი სოფელი

ჩემი პატარა სოფელი მდინარე მაჭახელას მარცხენა ფერდობზე არის შეფენილი. ამაყად მხრებაყრილი მთები დასცქერიან სოფელს, თითქოსდა თავს იწონებენ მისი სილამაზით.

ამ სოფელს ზედა ჩხუტუნეთი ჰქვია. მე იგი ძალიან მიყვარს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ. რომ იგი ჩემია. მიყვარს მისი კლდეები და მთა-გორები. მისი ველ-მინდვრები და ვენახები. განსაკუთრებით ლამაზია იგი ღამით, როცა ნამგალა მთვარე თავზე წამოადგება, თავისი სხივებით რბილად დაეფინება ოდა-სახლების სახურავებსა და ველ-მინდვრებს. ტკბილად, მშვიდად სძინავს ამ დროს სოფელს. ყოველთვის მძვინვარე მაჭახელაც კი გაყუჩებულა და თავის ზვირთებს ჭოროხისაკენ უხმაუროდ მიერეკება.

ლაურა კახიძე,
ხელვაჩაური, ზედა ჩხუტუნეთის არასრული საშ. სკოლა, VIII კლ.



წითელქუდა. სვეტა სვანიძე, ვარციხის საშ. სკოლა, V კლ.



# აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №3

### იის თხოვნა

ნუ დამისევ კაბას,
ნუ დამაცლი ფოთლებს,
მეც ხომ მინდა გულით,
კარგი კაბა მქონდეს.
ფეხს ნუ დამაბიჯებ,
ნუ გამთელავ ყვავილს,
მეც სიცოცხლე მინდა,
ჩემი გულიც ჰყვავის.

### დედამ გამოუგზავნა

ობოლი ბიჭუნა დედის საფლავზე
კრეფს ია-იას.
ყვავილს დედის სითბო,
დედის სუნთქვა ამოჰყოლია.
ქარი გრიალებს...
სასაფლაოს შავ ჭიშკარს უტევს.
ცრემლით დანამულ იებს ბიჭი
გულში იხუტებს.
ქარი გრიალებს
და საფლავებს უმღერის ნანას...
ობოლ ბიჭს დედამ
ლურჯი ია ამოუგზავნა...

ეკა ასათიანი,
სამტრედია, რკინიგზის 24-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

# მაღალი ზნეობის გაკვეთილი

### (ექიმთა ცხოვრებიდან)

ნიერები მაშინვე პარიზში გადაიყვანეს. აქ, პასტერის ცნობილ ინსტიტუტში, მათ გაუკეთდათ უმძიმესი ოპერაციები — გადაენერგათ ძვლის ტვინი. ეს უძვირფასესი სასიცოცხლო ნივთიერება კი მათთვის ნებაყოფლობით გაიღეს დონორებმა — ამავე ინსტიტუტის მედიკოს-თანამშრომლებმა. ნარკოზმიღებულ დონორებს სასწრაფოდ გაეხსნათ ძვალი, რათა იქიდან დასხივებულთათვის გადასანერგი ძვლის ტვინი ამოეფხიკათ.

დიახ, ეს იყო ადამიანთა ნებაყოფლობითი მსხვერპლშეწირვა და ალბათ ყველაზე მეტად — გმირობა, მაგრამ ამაზე არავინ დაფიქრებულა იმ ექსტრემალურ სიტუაციაში.

პასტერის ინსტიტუტის თანამშრომელთა პროფესიული თავდადების ეს ფაქტი კი უდიდეს სიამაყედ შემორჩა მსოფლიო მედიცინის ისტორიას. მით უფრო, რომ ამ ადამიანთა თავდადება საუკეთესოდ „გამართლდა“, უპირველეს ყოვლისა, შედეგით.

ამბობენ, რომ სასიკვდილოდ დასხივებული იმ ხუთი ფიზიკოსიდან ოთხი დღემდე წარმატებით მუშაობს მეცნიერებაში. თანაც მათ შორის ერთი ქალია, რომელმაც არამარტო მშვიდობით გადაიტანა ეს მძიმე ტრავმა, არამედ გათხოვდა კიდეც და ბედნიერი დედაც გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლასგარეშე ინფორმატიკა



**იოსებ ბლიაძე,**
**რამაზ ბოჭორიშვილი**

# ვიწყებთ დაპროგრამებას

ვფიქრობთ, უკვე მზად ვართ დავეუფლოთ იმ ძირითად იარაღს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დავიმორჩილოთ ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოგონება — გამომთვლელი მანქანა. ეს ყოვლისშემძლე იარაღი არის დაპროგრამება. გამომთვლელი მანქანები, ისევე როგორც ხალხები, სხვადასხვა ენაზე „მეტყველებენ". მაგრამ ყველა კომპიუტერს აქვს თავისი საკუთარი ალგორითმული ენა. ეს ენა გახლავთ მისთვის გასაგები წინადადებებისა და სიმბოლოების თანმიმდევრობა თავისი ასოებით, სიტყვებითა და გრამატიკული წესებით.

ამჟამად შევისწავლით ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ალგორითმულ ენას—ბეისიკს (BASIC). მცირეოდენი ცვლილებებით, ამ ენას ემორჩილება თითქმის ყველა მიკროკომპიუტერი, რომლებიც ბევრ თქვენგანს ალბათ კიდეც უნახავს.

გავიხსენოთ ჩვენს მიერ უკვე განხილული უძველესი ალგორითმი — ევკლიდეს ალგორითმი ორი m და n რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფის x-ის საპოვნელად. იგი, პატარა სახეცვლილებით, შემდეგნაირად შეიძლება წარმოდგეს:

ბრ. № 1: m და n რიცხვების შეტანა;

ბრ. № 2: თუ m-n. გადადი ბრძ. № 6-ზე;

ბრძ. № 3: თუ m>n. გადადი ბრძ. № 5-ზე;

ბრძ. № 4: n:=n—m, გადადი ბრძ. № 1-ზე;

ბრძ. № 5: m:=m—n, გადადი ბრძ. № 1-ზე;

ბრძ. № 6: x:=m, X-ის გამოტანა;

ბრძ № 7: ალგორითმის დასასრული.

მოყვანილი ალგორითმი ჩავიწეროთ „ბეისიკით", ე. ი. შევადგინოთ მისი პროგრამა:

```
10 INPUT M, N
20 IF M=N THEN 60
30 IF M>N THEN 50
40 N=N−M:GOTO 10
50 M=M—N:GOTO 10
60 X=M:PRINT X
70 END
```

შედგენილ პროგრამას თუ კარგად დავაკვირდებით და მას ევკლიდეს ალგორითმს შევადარებთ, პირველ რიგში შევამჩნევთ, რომ ალგორითმსა და პროგრამაში ბრძანებების რაოდენობები ერთმანეთს დაემთხვევა. პროგრამაში ბრძანებებს ეწოდება ოპერატორები. პროგრამაში ოპერატორების ნომერი მათ რიგობრივ ნომერს ათჯერ აღემატება. ამ ნომრებს ჭდეები ჰქვია. განვიხილოთ თითოეული ბრძანება ცალცალკე. როგორც უკვე მიხვდით, პირველი ოპერატორი 10 INPUT $M_1N$ ახორციელებს M და N რიცხვების შეტანას. INPUT ოპერატორს ეწოდება შეტანის ოპერატორი. იგი სრულდება შემდეგნაირად: კომპიუტერი მას კითხულობს ეკრანზე, გამოაქვს კითხვის ნიშანი და ელოდება M-ისა და N-ის რიცხობრივ მნიშვნელობებს, რომლებიც ჩვენ პირდაპირ სამართავი პულტიდან უნდა შევიტანოთ. არსებობს შეტანის სხვა ფორმებიც. მათ მოგვიანებით შევისწავლით. მიღებულ რიცხვით მნიშვნელობებს კომპიუტერი იმახსოვრებს მეხსიერების ორ რომელიმე უჯრედში, რომლებსაც, შესაბამისად, უწოდებენ M-სა და N-ს. პროგრამული მართვა კი გადაეცემა მომდევნო ოპერატორს:

20 IF M=N THEN 60

ეს ოპერატორი შეესატყვისება შემდეგ ბრძანებას:

ბრძ. № 2: თუ m=n, გადადი ბრძ. № 6-ზე.

ამ ყველაფერს უკეთ გავიგებთ, თუ გავიხსენებთ, რომ IF ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „თუ"-ს, ხოლო THEN კი „მაშინ"-ს.

კონსტრუქციას — IF< ლოგიკური გამოსახულება >THEN ჭდე — ზოგადად ეწოდება შედარების ოპერატორი, კომპიუტერი მას ასახელებს შემდეგნაირად:

თუ ლოგიკური გამოსახულების მნიშვნელობა ჭეშმარიტია, (ჩვენს შემთხვევაში, M=N) პროგრამული მართვა გადაეცემა ოპერატორს, რომლის ჭდე მოცემულია THEN ოპერატორის შემდეგ (ჩვენს შემთხვევაში. ჭდით მონიშნულ ოპერატორს); წინააღმდეგ შემთხვევაში ე. ი. როცა ლოგიკური გამოსახულების მნიშვნელობა მცდარია (ჩვენს შემთხვევაში M არ უდრის N-ს), პროგრამული მართვა გადაეცემა მომდევნო ოპერატორს (ჩვენს შემთხვევაში, ოპერატორს, რომლის ჭდეა 30).

შემდეგი ოპერატორიც წარმოადგენს ლოგიკურ ოპერატორს:

30 IF M>N THEN 50

თუ M მეხსიერების უჯრედში ჩაწერილი რიცხვი მეტია N მეხსიერების უჯრედში ჩაწერილ რიცხვზე, მაშინ პროგრამული მართვა გადაეცემა 50 ჭდით მონიშნულ ოპერატორს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მომდევნო ოპერატორს:

40 N=N−M:GO TO 10

ეს სტრიქონი, თავის მხრივ, შედგება ორი ოპერატორისგან, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა ორი წერტილით (:). ჯერ განვიხილოთ ოპერატორი GO TO 10, რომელსაც უპირობო ოპერატორი ეწოდება. იგი პროგრამულ მართვას ყოველთვის გადასცემს ოპერატორს, რომლის ჭდეა 10. GO TO ასევე-

ინგლისურია და ნიშნავს წასვლას. N=N−M ოპერატორს ეწოდება მინიჭების ოპერატორი, ის ასრულებს შემდეგ მოქმედებას: N მეხსიერების უჯრედში მოთავსებულ რიცხვს გამოაკლებს M მეხსიერების უჯრედში არსებულ რიცხვს და შედეგს კვლავ ჩაწერს უჯრედში, რომლის სახელია N. ამ დროს M მეხსიერების უჯრედის შიგთავსი არ იცვლება. მომდევნო ოპერატორი ზუსტად ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში მოცემული რიცხვების სხვაობა უკვე M მეხსიერების უჯრედში იწერება, N-ს შიგთავსი კი უცვლელი რჩება.

მომდევნო ბრძანებაც ორი ოპერატორისაგან შედგება. პირველი წარმოადგენს მინიჭების უმარტივეს ოპერატორს და მათი შესრულების შედეგად M მეხსიერების უჯრედში მოთავსებულ სიდიდეს ჩაწერს ახალ უჯრედში, რომლის სახელია X. შევნიშნოთ, რომ ამ დროს M უჯრედში არაფერი იცვლება.

მომდევნო ოპერატორი PRINT x წარმოადგენს გამოტანის ოპერატორს და ეკრანზე გამოაქვს შედეგი — ჩვენს შემთხვევაში, X მეხსიერების უჯრედის შიგთავსი. სწორედ მიღებული რიცხვი წარმოადგენს საწყისი M და N რიცხვების უდიდეს საერთო გამყოფს. PRINT ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ბეჭდვას ე. ი. ამ შემთხვევაში ოპერატორის სახელი და მისი მნიშვნელობა ერთმანეთს ემთხვევა. ზუსტად ასევე — ოპერატორი END და ინგლისური სიტყვა end — ორივე — დასასრულს ნიშნავს.

ახლა შევეცადოთ შევადგინოთ კვადრატული განტოლების ამოხსნის პროგრამა. ჩვენ კი დაგეხმარებით — მოგაწვდით ალგორითმს:

ვთქვათ, ვხსნით კვადრატულ განტოლებას

ბრძ. № 1: a, b და c კოეფიციენტის შეტანა;

ბრძ. № 2: $d=b^2-4ac$ დისკრიმინანტის გამოთვლა;

ბრძ. № 3: თუ $d>0$, გადადი ბრძ. № 7-ზე;

ბრძ. № 4: თუ $d=0$, გადადი ბრძ. № 6-ზე;

ბრძ. № 5: დაბეჭდე; განტოლებას არ აქვს ამონახსნი, გადადი ბრძ. № 8-ზე;

ბრძ. № 6: $x=-b(2a)$; დაბეჭდე x;

ბრძ. № 7: $x_1=(-b+\sqrt{d})1(2a)$; $x_2=(-b-\sqrt{d})1(2a)$; დაბეჭდე $x_1$ და $x_2$;

გადადი ბრძ. № 8-ზე;

ბრძ. № 8: ალგორითმის დასასრული.

# თანამედროვე რიტმები




# როკ-ჯგუფი „იუ-2"

ირლანდიური როკ-ჯგუფი „იუ-2" („U-2") დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში. ინგლისურად მისი სახელწოდება ასე ჟღერს „იუ თუ", რაც ასე შეიძლება ითარგმნოს: „და შენც". ჯგუფის ხელმძღვანელია პოლ ნიუსონი (ფსევდონიმია ბონო), მასვე ეკუთვნის „იუ-2"-ის მიერ შესრულებული სიმღერების უმეტესობა. ნიუსონიც და ჯგუფის დანარჩენი წევრებიც — ადამ კლაიტონი (ბას გიტარა), დეივ ევანსი (გიტარა), ლარი მალენი (დასარტყამი საკრავები) — საკუთარ ტკივილად აღიქვამენ თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივ და სოციალურ პრობლემებს და ამიტომაც მიაჩნიათ დასავლეთში, რომ ეს როკ-ჯგუფი, საზოგადოების სნეულებათა თავისებური ინდიკატორის როლს ასრულებს. ბონოსა და მის მეგობრებს ერთნაირად აღელვებთ და აინტერესებთ ადამიანის უფლებები ცენტრალურ ამერიკაში და მშობლიური ირლანდიის მტკივნეული პრობლემები.

„იუ-2"-ის არსებობა 1978 წელს დაიწყო, ქ. დუბლინში. ჯგუფი ისწრაფვის შეახამოს ახლის ძიება ყველაფერ იმ საუკეთესოსთან, რაც როკ-ნ-როლს ახასიათებდა მის საწყის პერიოდში დაუბრუნოს პოპ-მუსიკას ადამიანურობა და გულწრფელობა — ასე ესმით ამ ირლანდიელ მუსიკოსებს თავიანთი მიზანი. მუსიკის მოყვარულები და სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ „იუ-2"-ის სიმღერებში შეიგრძნობა უძველესი კელტური თქმულებების ანარეკლიც, შოტლანდიური სიმღერების მომხიბვლელობაც და ავანგარდული როკისათვის დამახასიათებელი ღრმა ლირიზმიც.

ჯგუფის რიგით მეექვსე ალბომი „ჯოშუას ხე" ერთხმად იქნა აღიარებული მის საუკეთესო დისკად. ფირფიტა 1987 წლის მარტში გამოვიდა, ხოლო აპრილში უკვე პირველი ადგილები ეკავა როგორც ინგლისის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების ჰიტ-პარადებში. ალბომის დასახელებას ორგვარად განმარტავენ. ჯოშუა ჰქვია ჩრდილოეთ კალიფორნიის უდაბნოს გიგანტურ კაქტუსს, იმავე დროს ჯოშუა არის სახელწოდება ჩრდილოეთ კალიფორნიის მომცრო ქალაქისა, რომელშიც მიმობნეულია 70-იანი წლების ცნობილი როკ-მუსიკოსის გრემ პარკერის ფერფლი. ადამ კლაიტონი კი დაახლოებით ასე ხსნის ფირფიტის სახელწოდებას — „ფირფიტა ლაპარაკობს ზნეობრივი საწყისის ძიებაზე უდაბნოში".

სპეციალისტები განსაკუთრებით აღნიშნავენ „ჯოშუას" ემოციური ზემოქმედების ძალას. ალბომის პირველმა სიმღერამ „შენთან ერთად და უშენოდ" პირველი ადგილი დაიკავა ამერიკული რადიომაუწყებლობის სისტემაში არსებულ პოპულარობის ნუსხაში. 1986 წელს ბონომ იმოგზაურა ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, იყო ნიკარაგუასა და სალვადორში. აქაური შთაბეჭდილებები დაედო საფუძვლად სიმღერას „ცისფერი ცის დახვრეტა", ხოლო სიმღერა „უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დედები" ჩილელ ემიგრანტებთან შეხვედრით არის შთაგონებული. გარდა ამისა, ალბომში შესულია სიმღერა „მეშახტეთა ქალაქი", რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ აღმოჩნდნენ 1984 წელს გაფიცულ ირლანდიელ მემაღაროელთა შორის გამცემები. „იუ-2"-ის კიდევ ერთი სიმღერა „ადგილზე სირბილი" ეხება მზარდ ნარკომანიას ირლანდიაში. ყველა ამ სიმღერაში ნათლად ჩანს „იუ-2"-ის მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი შემოქმედების მრწამსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარდაქმნა არა სიტყვით, არამედ საქმით

პიონერთა IX საკავშირო შეკრებაზე პიონერთა ორგანიზაციის ხვალინდელ დღეზე, მის გარდაქმნის გზებზე გაჩაღებული ცხარე კამათის შემდეგ დელეგატებმა ერთხმად დაასკვნეს, რომ პიონერთა საკავშირო მარში წლების მანძილზე მთელი კავშირის პიონერულ ორგანიზაციაში ერთიანი პროგრამით მუშაობდა. ამან გააერთფეროვნა რაზმეულების საქმიანობა. წყლის წვეთებივით დაამსგავსა ერთმანეთს მათი ცხოვრება.

დაასკვნეს და გადაწყვიტეს კიდეც: უარეყოთ მარში და მიეცათ საკუთარ თაოსნობათა წამოწყების, შემდეგ კი — მისი განვითარების საშუალება ყველა რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციისათვის, ყველა რაზმეულისათვის. ბავშვები შეთანხმდნენ, როცა ამის შემდეგ ერთმანეთს შევხვდებით, ყველას საკუთარი საინტერესო საქმე ექნება და ჩვენი საუბარიც უფრო შედეგიანი იქნებაო. ეს გადაწყვეტილება კი უნდა შესრულდეს დღეს — გარდაქმნის პროცესში. იგი უკვე გამოიხატება პიონერული თვითმმართველობის გააქტიურებით, საინტერესო წამოწყებებით, პიონერული მუშაობის გამრავალფეროვნებით და ა. შ. გაგაცნობთ მოძმე რესპუბლიკების თანატოლთა საქმეებს.

### თურქმენეთი.
### გაიმარჯვა „შვიდმა ხერხმა"

ქალაქ ჩარჯოუს 32-ე სკოლის პიონერებმა შექმნეს „მხიარული მათემატიკოსის" კლუბი. მისმა წევრებმა კონკურსი მოაწყეს; ერთმანეთს გაეჯიბრა ნორჩ მათემატიკოსთა ორი გუნდი — „შვიდი ხერხი" და „ალგორითმი".

კონკურსის მონაწილეებმა მოსწავლეთა ცხოვრებიდან ამ საგანთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო სცენა წამოადგინეს. დასასრულს ერთმანეთს გუნდის კაპიტნები გაეჯიბრნენ. გაიმარჯვა „შვიდი ხერხის" კაპიტანმა ა. აზიმოვმა, ამ გამარჯვებით მისმა გუნდმა ქულათა უმრავლესობა მოიპოვა და „ალგორითმს" გაუსწრო.

### უზბეკეთი.
### რაზმეულის საბჭო ახლებურად მუშაობს

ტაშკენტის 218-ე სკოლაში შესამჩნევად გამოცოცხლდა რაზმეულის საბჭოს წევრთა საქმიანობა. თურმე პიონერული მუშაობის ტრადიციული ფორმა კიდეც შეიძლება გამრავალფეროვნდეს, თუკი საერთო მოწადინება იქნება.

რომელმა პიონერმა არ იცის, დღეს როგორ ტარდება რაზმეულის საბჭოს სხდომები? შეიკრიბებიან აქტივისტები, მოუსმენენ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს და... დაიშლებიან.

ტაშკენტის ამ სკოლაში კი ყველაფერი სხვანაირად კეთდება. საბჭოს ყველა წევრი იყოფა ოთხ მორიგე ჯგუფად — მორიგე, საშეფო, პოლიტიკურ და სიურპრიზების ჯგუფებად. ჯგუფები ყოველკვირეულად უცვლიან ერთმანეთს თავიანთ მოვალეობებს.

რა ევალება თითოეულ ამ ჯგუფს? მორიგე ჯგუფი, რომელიც 4-5 კაცისაგან შედგება, საქმიანობაში ეხმარება სკოლაში იმ კვირის მორიგე კლასებს. ბავშვები მეთვალყურეობენ სასკოლო დისციპლინას, ამოწმებენ საკლასო ოთახების სისუფთავეს, თვით ყმაწვილების ჩაცმულობას. მორიგეობა ფორმალური არ არის.

გაინტერესებთ, რა მუშაობას ატარებს საშეფო ჯგუფი? ჯგუფი შეფობს იმ ოქტომბრელებს, რომლებიც სულ მალე პიონერთა რიგებში უნდა შევიდნენ. პიონერები მათთან ატარებენ საუბრებს პიონერთა ორგანიზაციის, პიონერული ატრიბუტიკის შესახებ.

პოლიტიკური ჯგუფის ამოცანა კი კონკრეტულად შემდეგში მდგომარეობს: იგი პასუხს აგებს რაზმეულის საბჭოს სხდომაზე პოლიტინფორმაციის მიმდინარეობაზე. მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება პიონერთა რაზმეულში გამოყოფილი ყველა პოლიტინფორმატორი. ყმაწვილები ხომ მსოფლიოში მიმდინარე ყველა პოლიტიკური მოვლენის კურსში უნდა იყვნენ. და ბოლოს... სიურპრიზების ჯგუფი... ამ ჯგუფის ყმაწვილები საბჭოს თითოეულ სხდომაზე რაიმე ახალს მოიფიქრებენ ხოლმე. ეს ჯგუფი ყველა საინტერესო სასკოლო ღონისძიების ინიციატორია. საყურადღებოა ისიც, რომ რაზმეულის საბჭოს თითოეული წევრი ატარებს განმასხვავებელ ნიშანს.

რაზმეულის საბჭოს თითოეულ წევრს აგრეთვე შეუძლია საკუთარი თავი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებაშიც გამოსცადოს, შეიგრძნოს, რომ არც ისე ადვილია ამ მოვალეობის გაძღოლა.

დასასრული იხ. 27-ე გვ.






# ჰაჟმანი

ლელა არაბული

მხატვარი
თინა კრაწაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ბარდნის პანთეონში. ნაცრისფერი სევდა გადაკრავს თოვლის თეთრ უსასრულობას.

სიცარიელე. სიჩუმე.

მხოლოდ ჭრაჭუნი ისმის ახლადდადებული თოვლისა. ეს მთაწმინდელი გიჟი — დუდა დადის საფლავებს შორის. თავი თითქმის მკერდზე ჩამოუგდია, ხელები ზურგზე დაუწყვია და სეირნობს ასე — საქმისაგან დაღლილი კაცივით. ხანდახან „წამოუვლიან" ხოლმე, თორემ სხვაფრივ რა უჭირს, არის თავისთვის, არავის აწუხებს. აქ ამოსვლა ძალიან უყვარს. ხშირადაც ამოდის და ვაჟას ლოდის წინ ზის ჩაფიქრებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. მერე, როცა ძალიან შესცივა, შინისკენ გაუყვება მთაწმინდის დაღმართს და ისე ჩაივლის, ერთს არ მოიხედავს.

დღეს ჩვეულება დაარღვია დუდამ.

დილიდანვე თოვდა. ერთ ადგილზე ჯდომა დაასველებდა და ისიც მოურიდებლად დააბიჯებდა ფეხდაუდგამ თოვლზე საფლავებს შორის. სულ რაღაცაზე ფიქრობდა. ნეტავ რა ჰქონდა დუდას ამდენი საფიქრალი?

უცებ გამოერკვა. თოვლზე ნაფეხურები ჩანდა, რომლებიც უკვე ცოტათი დაეფარა ფიფქებს. მისია? არა! დუდას დიდი ფეხი აქვს, ნაკვალევი კი პატარა და კოხტა ფეხსაცმელისაა. მაგრამ ეს არაფერი! რამაც დუდა აღაშფოთა, სულ სხვა იყო: ნაკვალევი „მისი“ ლოდისაკენ მიემართებოდა.

აქამდე თავჩაღუნულმა დუდამ ახლაღა ასწია თავი. ვაჟას ლოდის წინ გოგონა იდგა. მაღალი, ლამაზი. სქელი თმა ისეთი წაბლისფერი ჰქონდა, ყავისფერი ქურქისაგან მხოლოდ ბზინვით თუ გაარჩევდი.

ათოვდა გოგოს. ათოვდა შუბლზე, წარბებზე, წამწამებზე, პატარა სწორ ცხვირზე, გასაფრენად მომზადებულ მხრებზე, რომლებსაც თითქოს ამძიმებდა მსუბუქად დადებული თეთრი მასა თოვლისა, რათა მართლა არ გაფრენილიყო ანგელოზისდარი გოგონა ცაში. მოხიბლული იდგა დუდა და უხმო აღტაცებით შეჰყურებდა „დაუპატიჟებელ სტუმარს“. მერე ლოდს შეხედა და უცებ გაუქრა ყოველგვარი კეთილგანწყობა.

— ეე! — გასძახა ბრაზმორეულმა, — რას უდგეხარ მანდ?

შეკრთა ოცნებებში წასული გოგონა, შიშით შეხედა დუდას.

— პაემანი მაქვს, — წყნარად ჩაილუღლუღა.

— ახა-ხა-ხა! ოხო-ხო-ხო! — გაბრაზდა გიჟი, — ამ სიმაღლეზე, გოგო? ვისთან, კაცო, ვისთან?

დაიმორცხვა გოგონამ. თავი ჩაღუნა. კულული ჯიუტად ჩამოუცურდა ლოყაზე. ცოტა ხნის შემდეგ ნაწყენმა ამოხედა. გიჟმა სველ ლოყებს ჰკიდა თვალი: „ალბათ ზედ დაადნა თოვლიო“, — გაიფიქრა თავისთვის.

— ვისთანა, კაცო, აღარ მეტყვი? — გაიმეორა ისევ.

ცას ახედა გოგონამ, უცებ ხელები გაშალა და დატრიალდა.

— აი, ამ თოვლთან, ბიძია, ამ ცასთან, აგე, გახედე, იმ ნაძვებთან, ჰადრებთან... — ხმამაღლა კისკისებდა. გიჟი დაბნეული ადევნებდა თვალს. ნელ-ნელა ისევ მოერია ბრაზი.

— წადი აქედან! — უყვირა მთელი ხმით, — ჩემი ადგილია!

შეჩერდა გოგო. წამით შიში გაუკრთა ციმციმა თვალებში. მოეშვა ერთიანად. უხმოდ ჩაჯდა მუხლამდე თოვლში.

— მე... ბოდიშს ვიხდი, ბიძია! მე თქვენი წყენინება სულაც არ მინდოდა, — ისევ წყნარად ჩაილუღლუღა.

— წადი აქედან!.. — წინ წაიხარა და ფეხები დაუბაკუნა. გიჟი მზად იყო ყელში სცემოდა: საყვარელ ადგილს შეეცილნენ.

გოგონა წყნარად ადგა. ნელი ნაბიჯით მოშორდა იქაურობას. უკანმოუხედავად მიდიოდა.

დუდა ლოდის წინ ჩაჯდა თოვლში. თავი ხელებში ჩარგო.

უცებ ქვემოდან ძახილი მოესმა:

— ბიძიაა!..

გადაიხედა. გოგონას ორივე ხელი მიეტანა პირთან და წკრიალა ხმით ეძახდა.

მთელი ტანით წამოიმართა დუდა. — „გუნდას ვესვრი“! — გაიფიქრა გაღიზიანებით.

— ბიძია! არ გეწყინოთ, მართლა პაემანი მქონდა, დედას გეფიცებით! წუხელ თოვლი ვნახე სიზმარში და დავპირდი, აუცილებლად შეგხვდები-მეთქი! ბეღურებიც მოფრინდებიან და ყველანი ერთად ვიქნებით-მეთქი! თქვენ არ გეწყინოთ, რა, ბიძია, არ გატყუებთ, დედას გეფიცებით!

ისეთი მავედრებელი სახე ჰქონდა გოგოს, რომ გული მოულბა დუდას. არა, არ ატყუებენ, არ დასცინიან!

გაუღიმა, მერე ხელი დაუქნია.

ახლა რაღაცას ნანობდა თითქოს. გოგონას სველი ლოყები ახსენდებოდა.

„იქნებ მართლა ტიროდა, კაცო, ჰა?“

თავის თავზე ჯავრობდა გიჟი.





**ჯემალ კასრაძე**
**ფოტო ავტორისა**

ალბათ, თქვენს უმრავლესობას წაკითხული გაქვთ „აელიტა“ — ალექსეი ტოლსტოის ფანტასტიკური მოთხრობა მფრინავ ადამიანზე. ვინ იცის, რამდენჯერ გიოცნებიათ კიდეც, მასავით გეფრინათ. სხვისი არ ვიცი და, მე კი ყოველთვის შევნატრი ბატუტზე მხტომელებს, ისინი ხომ, ნაწილობრივ მაინც, განიცდიან ფრენის საოცარ განცდას, როდესაც დედამიწის მიზიდულობის ძალას ცოტა ხნით მაინც სწყდებიან.

ბატუტზე ხტომა, როგორც სპორტის სახეობა, ჩვენში ამ ოციოდე წლის წინათ დაინერგა. მანამდე ბატუტი მხოლოდ და მხოლოდ ტრენაჟორი იყო, რომელზეც ვარჯიშობდნენ მფრინავები, პარაშუტისტები, წყალში მხტომელები, ტანმოვარჯიშეები, კოსმონავტები, აკრობატები და, თქვენ წარმოიდგინეთ, მშენებელ-მემონტაჟეები და მყვინთავებიც კი. ეს სპორტული იარაღები მათ მოქნილობასა და კოორდინაციას უვითარებდა. ბატუტზე ხტომის ჩამოყალიბებას სპორტის დამოუკიდებელ სახეობად ხელი შეუწყო ამ იარაღზე მოვარჯიშე აკრობატების გამოსვლებმა ცირკის არენაზე. და აი, 1949 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა ეროვნული პირველობა ბატუტზე ხტომაში. სწორედ ეს წელი ითვლება სპორტის ამ სახეობის დაბადების თარიღად.

დიმილი აფენია სახეზე რუსუდან ხოფერიას.

საბჭოთა კავშირში ბატუტზე ხტომაში შეჯიბრება 1965 წელს გაიმართა. მონაწილეობდნენ... წყალში მხტომელები და აკრობატები. 70-იანი წლებიდან კი შეჯიბრებაში „სუფთა“ ბატუტისტები ჩაებნენ. საქართველოში პირველი ჩემპიონატი თექვსმეტი წლის წინათ გაიმართა. მას შემდეგ სხვადასხვა წლებში ქართველმა სპორტსმენებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე ევროპის პირველობებში, მაგრამ ყველაზე მაღალ შედეგებს მათ გასულ წელს მიაღწიეს, და იცით, ყველაზე საინტერესო რა არის? ის, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ჩემპიონატებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურებს ყო-





ზემოთ — თ. ხუდოევი ახალ გამარჯვებას ბედავს
ქვემოთ — ლ. ბენდიანიშვილი და ან. დოლონაძე

ველთვის პიონერები იკავებდნენ. ერთმა მათგანმა კი, რუსუდან ხოფერიამ, 13 წლის ასაკში საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონობაც კი მოიპოვა. რუსუდანს ამ წარმატებისათვის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება ეკუთვნოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ასაკით პატარა იყო, დებულების თანახმად კი ამ წოდებას მხოლოდ 15 წლისას აძლევენ, არ მიაკუთვნეს. რუსუდანს ამის გამო გული სულაც არ გაუტეხია. ის კი არა, შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველა ოქროს მედალი მოიპოვა, რაც კი ერთ სპორტსმენს შეეძლო მოეპოვებინა. მან არავის დაუთმო აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ინდივიდუალურ შეჯიბრებაში. ასევე უძლიერესი იყო რუსუდანი სინქრონულ ხტომებში ელენა კოლომეეცთან ერთად. მესამე ოქროს მედალი კი ქართველ გოგონას გუნდური პირველი ადგილისთვის გადაეცა.

შარშანვე თავი გამოიჩინეს რუსუდანის თანაგუნდელებმა და მეგობრებმა ანა დოლონაძემ და ლია ბენდიანიშვილმა. მათ ევროპის იუნიორთა პირველობაზე სინქრონულ ხტომებში ოქროს მედლები მოიპოვეს. გარდა ამისა, ანა ინდივიდუალურ ასპარეზობაშიც უძლიერესი იყო, რუსუდან ხოფერია ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა.

ალბათ, ბევრი თქვენგანი ფიქრობს, რომ ბატუტზე ხტომა ადვილია, მაგრამ აბა ზედ შედექით და თუნდაც უბრალოდ წონასწორობის დაცვას შეეცადეთ. რაო, გაგიჭირდათ?.. სპორტის ამ სახეობაში წარმატების მისაღწევად მარტო ნიჭი როდი კმარა, საჭიროა დიდი მონდომება, თავდაუზოგავი შრომა, ნებისყოფა. სწორედ ამ თვისებებმა განაპირობა ჩვენი გოგონების დიდი წარმატება. ისინი დღეში რამდენიმე საათს ვარჯიშობენ, ყურადღებით უსმენენ თავიანთ მწვრთნელებს, გულმოდგინედ ასრულებენ მათ რჩევადარიგებებს. მწვრთნელებად კი ჩვენს სპორტსმენებს მართლაც ჩინებული სპეციალისტები ჰყავთ — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ხუდოევი და ზაურ სულაშვილი. სწორედ მათი დამსახურებაა ჩვენი სპორტსმენების ყველა წარმატება, მათივე დამსახურებაა ისიც, რომ დღესდღეობით ჩვენს ბატუტზე მხტომელებს მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უკავიათ.




მცირე შესვენება და... ისევ ბატუტზე!
აი, ასე დაფრინავენ ალიტები დარბაზის სივრცეში



პიონერული აქტივის კლუბი

(დასასრული)

აქვე უნდა გითხრათ, რომ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ლენა იაკოვლევამ ეს გამოცდილება პიონერთა ბანაკ „ორლიონოკიდან“ ჩამოიტანა და ახლა თავის რაზმეულში ნერგავს.

პიონერები და პედაგოგები ჯერჯერობით ამ სიახლით კმაყოფილები არიან.

### ბელორუსია.
### ქალაქს აშენებენ ხელმარჯვენი...

რესპუბლიკაში გამოცხადდა საინტერესო კონკურსი „ვაშენებთ ახალ ქალაქს“. საკონკურსო თემა ჩაფიქრებული იყო, როგორც ხელმარჯვეთა და გამომგონებელთა ქალაქი, რომელშიც უხვად უნდა ყოფილიყო პიონერთა ფანტაზიის ნაყოფი. ბელორუსი ყმაწვილები ამ წამოწყებას აქტიურად გამოეხმაურნენ. გაჩაღდა „მშენებლობა“, შეგროვდა ძალზე საინტერესო ტექნიკური მოწყობილობა, შეიქმნა სათამაშო და სპორტული მოედნების მაკეტები.

ჟიურიმ პირველი ადგილი მიაკუთვნა, რა თქმა უნდა, იდეის ავტორებს, მათ, ვინც ყველაზე საინტერესო მოწყობილობები დაამზადეს.

### ესტონეთი.
### გავშვობიდან მეზღვაური რომ გახდე

ტალინში არის ადგილი, რომელიც ბევრ ბიჭუნასა და გოგონას განსაკუთრებით იზიდავს. ეს არის ძველი სამგზავრო თბომავალი „ტალინი“, რომელშიც დღეს ნორჩ მეზღვაურთა კლუბია მოთავსებული. კლუბში მოსწავლეები მეცადინეობენ. აქ ისინი თვითონ აგებენ პატარა ნავებს, უშვებენ მათ წყალში, ეჯიბრებიან ერთმანეთს. აქვე მუშაობს გემთშემკეთებელთა, მოტორისტთა, მეზღვაურთა და წყალქვეშა გადამღებ ფოტოგრაფთა წრეებიც.

მოსწავლეებს პრაქტიკული მეცადინეობები უტარდებათ პატარა ნავებზე. ასეთი ხომალდი კი სამი აქვთ: ყველაზე პატარა — „ხუურდალაიდი“, საშუალო — „იუკუ“ და ყველაზე დიდი — „იუნგა“. ისინი უკვე გაარემონტეს და ამიტომ მათზე ყოფნა ძალზე მოსახერხებელია. სხვაგვარი პრაქტიკული მეცადინეობებიც აქვთ — ესტონეთის წყლების თბომავლით შემოვლა. თბომავლები ხომ ლითონისაგან არის დამზადებული, ამიტომაც ჟანგისგან გემბანის დაცვასაც გულმოდგინედ ეკიდებიან.

ვახტზე მორიგეობა ყოველ მათგანს ყოველდღიურად უწევს — 2 საათი დღისით, 2 საათი — ღამით. ასე ეჩვევიან ტალინელი პიონერები მეზღვაურის არცთუ ისე იოლ შრომას.

ნათელა ფაილოძე

# ოცდაათი მაიმუნი და ოცდაათი ქუდი

ე. გ. კოლოჟვარი

მხატვარი ირა რაზმაძე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი. თავისი დღენი სულ შრომაში გაატარა და საკმაო ქონებაც დააგროვა. კარგი სახლი ჰქონდა, ბეღელი, თავლა, ბოსელი, საღორე. თავლაში ცხენი ჰყავდა, ბოსელში — ძროხა, ხოლო საღორეში — ღორი. მთელი ჩემი სიცოცხლე მკლავმოუღლელად ვშრომობდი, ახლა კი დროა, დავისვენოო, — გაიფიქრა მოხუცმა გლეხმა, მუშაობას თავი მიანება და ნაშრომ-ნაჭირნახულევმა განცხრომით ცხოვრება დაიწყო, მაგრამ დიდხანს არ გასტანა ასეთმა ტკბილმა ყოფამ. ერთ ღამეს სახლ-კარი უეცრად გაჩენილმა ხანძარმა გადაუწვა. თვითონ ძლივს გამოასწრო ცეცხლმოდებული სახლიდან და გაქცევით უშველა თავს. კარგა მანძილი რომ გაირბინა და სოფელს გასცდა, ნამკალში ნამჯის ზვინს მოჰკრა თვალი. სირბილისაგან დაღლილი ზვინთან მილასლასდა და მის ქვეშ დაჯდა. აღარაფერი ებადა, ერთი ხელი ტანისამოსის გარდა, და ისიც ზედ ეცვა. სამი დღე და სამი ღამე იჯდა ასე ნამჯის ზვინის ქვეშ. ბევრს ფიქრობდა, რა გაეკეთებინა, რომ ცოტაოდენი ფული მაინც ეშოვნა, მაგრამ ვერაფერი მოესაზრებინა. და აი, მეოთხე დღეს, დილით თავში გაუელვა. ჩალისაგან ქუდები ხომ არ მომეწნაო. იმ წამსვე საქმეს მიჰყო ხელი. მოწნა ოცდაათი ქუდი და ბაზრისაკენ გაუდგა გზას. ბაზარი შორს იყო, თან მწველი მზეც ძალზე აცხუნებდა და გლეხი დაიქანცა. მიიხედ-მოიხედა, იქნებ რაიმე საჩრდილობელი დავინახო, რომ თავი შევაფაროო, ბედად შორიახლო ხშირფოთლებიანი ხე დაინახა. ხის ჩრდილში წამოწვა და ქუდებიც იქვე დაიწყო. იმდენად დაღლილი იყო, რომ მაშინვე ძილი მოერია და ისევე ქუდმოუხდელს ჩაეძინა. მოხუც გლეხს ალბათ არავითარი უსიამოვნება არ შეემთხვეოდა. რომ სწორედ იმ ხის ტოტებზე, რომლის ქვეშაც მას ეძინა, ოცდაათი მაიმუნი არა მჯდარიყო. როგორც კი მოხუც გლეხს ჩაეძინა, მაიმუნებმა დრო იხელთეს, ფოთლებიდან თავი გამოყვეს და ჩაძინებულ გლეხკაცს თვალთვალი დაუწყეს. როცა დარწმუნდნენ, ღრმა ძილშიაო, ფრთხილად ჩამოცოცდნენ ხიდან, სათითაოდ დაითრიეს ჩალის ქუდები, დაიხურეს და ისევ ხეზე აცოცდნენ. მოხუც გლეხს კარგა ხანს ეძინა და არაფერიც არ გაუგია. ისევ თავისმა ხმამაღალმა ხვრინვამ გამოაღვიძა. მიმოიხედა და ცივმა ოფლმა დაასხა, ქუდები არსად ჩანდა. მოხუცი გლეხი საგონებელში ჩავარდა, სამი დღე და სამი ღამე იმტვრევდა თავს, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა, რა ექნა. სად ეძებნა ქუდები. მეოთხე დღეს, გარიჟრაჟზე, მზის სხივებმა ხშირფოთლოვან ხეში შეაღწიეს და უეცრად, მისდა გასაოცრად, მოხუცმა გლეხმა ხის ტოტებზე წამოსკუპებული ოცდაათი მაიმუნი დაინახა, რომლებსაც ჩალის ქუდები ეხურათ. ისევ სამი დღე და სამი ღამე იმტვრია თავი მოხუცმა, როგორ წაერთმია მაიმუნებისათვის თავისი ქუდები. მეოთხე დღეს, განთიადისას, მზის კაშკაშა სხივებმა ისევ შეაღწიეს ხშირ ფოთლებში. ხის ტოტებზე მჯდომმა მაიმუნებმა ხის ძირას მდგომ მოხუც გლეხს ჩამოხედეს. მოხუცმა გლეხმა გაიფიქრა. ახლა ხომ საკმაოდ კარგად ვიცნობთ ერთმანეთსო და როგორც ზრდილობა მოითხოვდა, მაიმუნებს ქუდი თავაზიანად მოუხადა და მიესალმა. მაიმუნებმაც თავის მხრივ ქუდები მოიხადეს და გლეხს მიესალმნენ. სწორედ მაშინ გაუელვა გლეხს მხსნელმა აზრმა — ქუდი მოიხადა და მიწაზე დაახეთქა. იმავე წამს მაიმუნებმაც იგივე გაიმეორეს — ქუდები მოიძრეს და მიწაზე ჩამოყარეს. გახარებული გლეხი ყვირილს მოჰყვა. ისეთი მაღალი ხმით გაჰყვიროდა. რომ ქალაქიდან ხალხმა მოირბინა, რა მოხდა, რა გაყვირებსო, — ეცნენ გლეხს. — აი, აქ ოცდაათი ჩალის ქუდი მაქვს გასაყიდი და ის მაყვირებსო, — მიუგო მოხუცმა გლეხმა.

— შე კაი კაცო. შოგვეცი და ჩვენ





ვიყიდითო, — უთხრეს ქალაქელებმა და ასეც მოიქცნენ. იმდენი ფული მისცეს მოხუც გლეხს ოცდაათ ქუდში. რომ სამი დღე და სამი ღამე იტენიდა ჯიბეში. მერე თავის სოფელში დაბრუნდა, იყიდა მშვენიერი სახლ-კარი და ალბათ დღესაც უდარდელად ცხოვრობს. თუკი ცოცხალია.

უნგრულიდან თარგმნა

ვანო იმერლიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ნაირფერი ყელსახვევების კავშირი

## ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა

ხო ში მინის სახელობის პიონერული ორგანიზაცია შეიქმნა 1941 წელს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გადაწყვეტილებით. მასში დღეისათვის გაერთიანებულია 9-15 წლის დაახლოებით 5 მილიონი ბავშვი. უმცროსებს (7-9 წ.) აგვისტოელებს უწოდებენ. ვიეტნამელ პიონერებს შორის განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ამერიკული აგრესიით დაზარალებულ ადამიანებზე ზრუნვის სხვადასხვა ფორმა.

საზეიმო დღეებში პიონერები იცვამენ ცისფერ შარვლებს (ქვედა კაბებს) და თეთრ პერანგებს. იკეთებენ წითელ ყელსახვევებს.

ხელმძღვანელი ორგანოა ხო ში მინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო. მისამართია: ჰანოი, პა ჩიეუს ქუჩა, 60.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ჩინეთის პიონერული ორგანიზაციის ისტორია 1925-27 წლების რევოლუციური მოძრაობის დროიდან იწყება.

„კულტურული რევოლუციის" წლებში ჩინელი პიონერების ორგანიზაციამ, ისევე როგორც კომკავშირმა, არსებობა შეწყვიტა.

1978 წელს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მისი აღდგენის თაობაზე. ამჟამად 90 მილიონი პიონერია. მათი ცხოვრების ბოლო სიახლეებიდან უნდა გამოიყოს ამას წინათ ჩატარებული პიონერული შეკრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ძეგლები დაუდგან განმათავისუფლებელი ომის ნორჩ გმირებს. მილიონობით ბავშვმა დაიწყო ამ გმირობის ამსახველი მასალების შეგროვება.

## რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა

პიონერული ორგანიზაცია შეიქმნა 1949 წლის აპრილში და აერთიანებს 2 მილიონზე მეტ გოგონასა და ბიჭუნას 7-დან 14 წლის ასაკამდე. პიონერული რაზმების ხელმძღვანელობა ევალებათ მასწავლებლებს; მათ ენიჭებათ „პიონერთა მეთაურ-ინსტრუქტორების" წოდება.

პიონერულ ორგანიზაციაში ძირითადი ყურადღება ეთმობა „პიონერების აღზრდას შრომით და შრომისათვის". ყოველი რაზმი იღებს კონკრეტულ შრომით ვალდებულებას, რომელსაც ამტკიცებს ორგანიზაციის ეროვნული საბჭო, და ძალაში შედის ყოველი ახალი წლის 1-ლი იანვრიდან.

რუმინელ პიონერებს ასეთი ფორმა აქვთ: ლურჯი ქვედა კაბა (შარვალი) და თეთრი პერანგი. წითელი ყელსახვევი მომწვანო-მოყვითალო არშიით.

ხელმძღვანელი ორგანო — რუმინეთის პიონერული ორგანიზაციის ეროვნული საბჭო. მისამართია: ბუქარესტი — 1, ონეშტის ქ. 6-8.

## ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა

პირველი პიონერული რაზმები ჩეხოსლოვაკიაში 1945 წელს გაჩნდა, ხოლო ორგანიზაციულად გაფორმდა 4 წლის შემდეგ. ამჟამად ორგანიზაციაში 1,5 მილიონზე მეტი ბავშვია. ესენი არიან „ისკრი" ნაპერწკლები (6-8 წელი), უმცროსი (8-11 წელი) და უფროსი (11-15 წ.) პიონერები.

ეს იყო ჩეხოსლოვაკიაში პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც აქტიურად გაილაშქრა გარემო ბუნების დასაცავად. ბავშვებისა და მოზარდების ბრიგადები თანამშრომლობენ ზოოლოგიურ პარკებთან, ეროვნულ პარკებთან და ნაკრძალებთან.

„ნაპერწკლებს" ასეთი ფორმა აქვთ: ბიჭები ატარებენ მუქ შარვლებს და ცისფერ პერანგებს, გოგონები ცისფერ კაბებს. მათ სამკერდე ნიშანზე გამოსახულია გადაშლილი წიგნი, წითელი ვარსკვლავი და ცეცხლის სამი ენა.

ხელმძღვანელი ორგანოა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო. მისამართია: პრაღა, მ. გორკის მოედანი, 24.



- ლამანშის ყური (ინგლისსა და საფრანგეთს შორის) ყოველწლიურად ორი მეტრით ფართოვდება.
- ანტარქტიდის ყინულოვანი საფარის ფართობი გაცილებით მეტია, ვიდრე ევროპისა და ავსტრალიის ფართობთა ჯამი.
- პლანეტა ნეპტუნზე ისეთი სიცივე მეფობს, რომ რეზინი იქ მინასავით მყიფე გახდებოდა, ქსოვილი დაიმტვრეოდა, ხოლო ვერცხლისწყლისაგან მშვენიერ ჩაქუჩს გააკეთებდა კაცი.
- მთვარის ხაღლელამისო ტემპერატურათა სხვაობა კოლოსალურია: დღისით პლიუს 129,5 გრადუსი ცელსიუსით, ხოლო ღამით — მინუს 127,5 გრადუსი ცელსიუსით.
- სულ პირველი ცნობა მეტეორზე ძვ. წ. 644 წელს გვხვდება. ყველაზე ძლიერი მეტეორიტული წვიმა მოვიდა 1833 წლის 12-13 ნოემბრის ღამეს. 10 საათის განმავლობაში დედამიწის ზედაპირს დაეცა თითქმის 240 000 მეტეორიტი.
- ერთ პიქა ზღვის წყალში ყველა მოლეკულა რომ დავნიშნოთ, მერე ის წყალი დედამიწის მთელ წყლის მასას შევურიოთ და პიქა ხელახლა შევავსოთ, მასში მაინც აღმოჩნდება 2 ათასამდე დანიშნული მოლეკულა.
- „აქტიური მზის" წლებში მიწისძვრათა სიხშირე დედამიწაზე მატულობს.
- ახალი ზელანდიის ტბა ნგტაპა (სიგრძე — 2 კმ, სიგანე — 2 კმ, სიღრმე — 20 მ) გაჩნდა 1931 წელს მიწისძვრის შედეგად. 1938 წელს (ისევ მიწისძვრის შედეგად) ტბა გაქრა.
- ასტრონომებმა გამოთვალეს, რომ სამყაროში ძალზე იშვიათია პლანეტა, რომელზედაც ისეთივე სასიცოცხლო პირობები იქნება, როგორიც დედამიწაზეა. მაგრამ სამყარო უსასრულოდ დიდია. ყველაზე მოკრძალებული გამოთვლებით, მარტო ჩვენს გალაქტიკაში შეიძლება არსებობდეს დედამიწის მსგავსი 100 ათასი პლანეტა.
- დღე-ღამის განმავლობაში ადამიანის ფილტვებში გაივლის დაახლოებით 13 ათასი ლიტრი ჰაერი.
- ყველაზე სუსტი ქარი (სინამდვილეში — სრული შტილი), თუმცა კი უცნაურია, მრისხანე ტროპიკული ციკლონის — ტაიფუნის ცენტრშია. ტაიფუნის ამ ცენტრალურ რაიონს „ციკლონის თვალი" ეწოდება. მისი დიამეტრი 20-50 კილომეტრია.
- ყველაზე ძლიერი ქარი ქრის ატმოსფეროში 20-25 კმ-ის სიმაღლეზე. მისი სიჩქარე წამში 100 მეტრს, ანუ საათში 360 კილომეტრს აღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს შოთა ინწკირველი

## იცნობდით: დიანა დარჩია

**ბათუმის** 23-ე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი, 10 წლის ოსტატობის კანდიდატი დიანა ოთარის ასული დარჩია საქართველოს ნაკრების წევრია. ოსტატობის კანდიდატობის ნორმა შეასრულა 9 წლისამ, 1987 წლის თებერვალში, საგარეჯოში, საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში.

აი, დიანა დარჩიას 1988 წლის უწყვეტ წარმატებათა ნუსხა:

**ურეკი.** აპრილი. უფროსი ასაკის მოსწავლეთა საქართველოს პირველობის ნახევარფინალი. შევიდა ათეულში.

**წყალტუბო.** აპრილი. საქართველოს პროფკავშირის გუნდური პირველობა. ბიჭებში პირველ დაფაზე დაიკავა მეორე ადგილი.

**ბათუმი.** მაისი. საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა (1976 წლამდე დაბადებულთა შორის). ბიჭებში დაიკავა პირველი ადგილი.

**ქობულეთი.** ივნისი. საკავშირო ფესტივალი. პირველი ადგილი.

**ბათუმი.** ივლისი. საქართველოს პირველობა 1976 წლამდე დაბადებულთა შორის. დიანამ თერთმეტი შესაძლებლიდან 10 ქულით ქუთაისელ სოფიკო ტყეშელაშვილთან ერთად გაიინაწილა I-II ადგილი. კოეფიციენტების ცხრილით პირველ ადგილზე გავიდა ტყეშელაშვილი, მაგრამ მწვრთნელთა ბრიგადის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით საქართველოს ნაკრებში დიანა დარჩია ჩაირიცხა.

**კულდიგა.** აგვისტო. მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრება. მესამე ადგილი თავის დაფაზე.

**ბათუმი.** ოქტომბერი. საქართველოს გოგონათა ჩემპიონატი. მეორე ადგილი.

### ინიციატივის ტრიუმფი

ინიციატივა დიანა დარჩიას შემოქმედების ძლიერი მხარეა. ინიციატივისაკენ მიმავალი გზა მსხვერპლზე გადის. ეს შემოქმედებითი აქტი რისკთან არის გადაკვანძული.

ქვემოთ მოყვანილი პარტია გათამაშდა ბათუმში 1988 წლის თებერვალში, აჭარის ვაჟთა ჩემპიონატში. დებიუტში მეტოქის არათანამიმდევრულ, უიდეო მოქმედებას შესანიშნავად იყენებს ნორჩი მოჭადრაკე და ჰქმნის მშვენიერ საჭადრაკო მელოდიას.

**ნადირაძე-დარჩია.** ფიანკეტო თეთრებით. 1. b3 d5 2. კb2 მf6 3. e3 e6 4. c4 კe7 5. მf3 0—0 6. მe5 c5 7. f4 მc6 8. d4 მe4 9. კd3 მ:e5 10. fe (მართალია, ძნელია აზრობრივად ერთმანეთს დაუკავშირო თეთრების მე-4, მე-6 და მე-8 სვლები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 10. de სვლის გაკეთების შემთხვევაში მდგომარეობა მაინც თანაბარი იქნებოდა. ტექსტში სვლა კი იწვევს თეთრების პოზიციის გაუარესებას, 10. ...cd! (ახლა დიანა ინიციატივას ეუფლება და ზედმიწევნით მახვილგონივრული სვლებით გადამწყვეტ შეტევას ავითარებს ცენტრში დარჩენილ მეფეზე) 11. კ:e4 კb4 12. მფf1 f6!!



ცილებულია! ამ მოულოდნელ სვლაში მოჩანს ნორჩი მომოჭადრაკის ნიჭიერება.

13. cd fe 14. კf3 ed!! (დიანა თავის სტიქიაშია! იგი საოცრად გრძნობს პოზიციის რიტმს! 14. ...e4 15. ლ:d4 +—) 15. კ:d4 e4! 16. a3 ef 17. g3 f2! 18. h4 კe1 19. b4 ლd6 20. g4 b6 21. ლd3 ლg3 22. ეa2 ლf3 23. ეh2 ეf4! 24. კe5 ლe4! 25. ლb3 კd7! 26. კf4 (26. a4 ეf7 27. კf4 კ:g4 28.) (e:f2 კ:f2 29. მფ:f2 ლf3 30. მფ§ ე:f4!) 26. ...კb5 27. ეe2 ეc8 28. a4 (28. მd2 კ:d2 29. მფf2 კ:e2 30. მფ:e2 ეc3—+) 28. ...კ:e2 29. მფ:e2 ეc2 30. მფf1 ეc1 31. ლb2 (31. მa3 ლf3!) 31. ...ლd3 32 ლe2 ლ:e2 33. მფ:e2 f1ლ! ნადირაძე დანებდა.

ნორჩმა მოჭადრაკემ მთელი პარტია ჩაატარა, როგორც ნამდვილმა ოსტატმა.

ბათუმი, 1988 წლის ოქტომბერი. საქართველოს ჩემპიონატი გოგონებში. თეთრებითაა თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ნინო ლლონტი.



**ლლონტი-დარჩია.** სიცილიური დაცვა. 1. e4 c5 2. d4 cd 3. c3 d5 4. ed ლ:d5 5. cd მc6 6. მf3 e6 7. მc3 კb4 8. კe2 მf6 9. 0—0 ლa5 10. ლb3 0—0 11. a3 კe7 12. ლc2 (?) (თეთრები კარგავენ ტემპს და თანაც ლაზიერს ღია ხაზზე დგამენ) 12. ...ეfd8 13. ეfd1 მd5 14. b4? კb4! (თეთრებმა შეგნებულად დაუშვეს ეს დარტყმა, მაგრამ, როგორც დავინახავთ, დიანა დარჩიამ უფრო შორს და ზუსტად გათვალა) 15. მ:d5 ე:d5 16. ab ლ:a1 17. კb2 მ:b4 18. ლb3 ლa5 19. კc3 ლa2! 20. ლ:a2 მ:a2 21. კe1 a5! 22. კc4 მb4 23. კ:b4 ab 24. კ:d5 ed 25. მფf1 კf5 (პოზიცია გაირკვა. თეთრების მდგომარეობა უიმედოა) 26. მd2 კd3 27. მფe1 (აჩქარებს წაგებას. 27. მფg1 კc2 28. ეe1 მფf8—+, 28. ეc1 b3 29. მფf1 კd3 30. მფe1 b2 31. ეd1 ეa1 ან მყისვე 31. ...კc2—+) 27. ...ეe8 ლლონტი დანებდა.

შემდეგი პარტიაც იმავე ჩემპიონატში გათამაშდა. თეთრებითაა თბილისელი ოსტატობის კანდიდატი თამარ როჰიკაშვილი.

**დარჩია-როჰიკაშვილი.** სიცილიური დაცვა. 1. e4 c5 2. მc3 e6 3. g3 d5 4. კg2 d4 5. მce2 კd6 6. f4 მe7 7. d3 მbc6 8. მf3 e5 9. 0—0 კg4 10. fe?! მ:e5 11. მ:e5 კ:e5 12. h3 კe6 13. მf4 კ:f4?! (13. ...ლd6) 14. gf?! ლb6? (საჭირო იყო 14. ...f5 ან 14. ...f6 მაგალითად: 14. ...f5! 15. e5 კd5, 0—0—0 და მხედრის e6-ზე გადაყვანის შემდეგ h6, g5. 15. კd2 0—0 16. b3 ლd7 17. ლf3 მc6 18. ეea1 ეae8—. ტექსტში სვლის შემდეგ დიანა ამოძრავებს ცენტრალურ პაიკებს და ინიციატივას ეუფლება) 15. f5 კd7 16. კg5! მg8 (თუ 16. ...f6, მაშინ 17. ლh5 მფf8 18. კf4 მc6 19. e5! მ:e5 20. კ:e5 fe 21. f6! gf 22. კd5+—. 19. fe 20. f6! ef 21. fg მფ:g7 22. ლg5 მფf8 23. ე:f4 მფe8 24. ეe1+— ან 17. ...მფd8 18. კf4 მc6 19. ლf7+) 17. e5 h6 18. ლh5 hg (ჯობდა 18. ...g6, თუმცა 19. fg ლ:g6 20. ლ:g6 fg 21. f6

ეh7 22. კe4 მ:f6 23. კ:g6 მფd8 24. ე:f6 ეg7 25. h4+ ან 21. ...მ:f6 22. ე:f6 g5 23. b3 ეb8 24. მფh2 მფe7 25. კd5 b6 26. ეf7 და 27. e6+ თეთრების დიდი უპირატესობით) 19. ლ:h8 0—0—0 20. ლ:g7 მh6 21. e6 როჭიკაშვილი დანებდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსწავლეთა საკავშირო ტურნირში დიანა დარჩიამ წარმატებით იასპარეზა. აი, რას წერს დიანას შესახებ რიგის საჭადრაკო ჟურნალი „შახმატი" (№ 22, 1988 წ.): „...განსაკუთრებით მოგვეწონა ბათუმელი 10 წლის დიანა დარჩია. მერვე დაფაზე მასზე უფრო გამოცდილ მეტოქეებთან მან რვიდან 6,5 ქულა მოაგროვა". ასევე დადებითად გამოეხმაურა დიანას შემოქმედებას მოსკოვური ჟურნალი „64" (1989 წ. № 1).

## ნატო ყუფარაძე

გავეცნოთ წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელის, პირველთანრიგოსანი ნატო ყუფარაძის შემოქმედებას.

ხარკოვში, 1988 წლის მარტის არდადეგებზე, მოსწავლეთა საკავშირო ფესტივალში, ნატომ წარმატებით ითამაშა, მოიპოვა პირველი თანრიგი და დაჯილდოვდა დიპლომით.

აი, ერთი პარტია ამ ტურნირიდან მოსკოველ მეორეთანრიგოსან სიმაკოვასთან.

**ყუფარაძე-სიმაკოვა.** სიცილიური დაცვა 1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 g6 5. კe3 მf6 6. მc3 a6 (?) (საჭირო იყო განვითარება) 7. f3 კg7 8. კc4 0—0 9. ლd2 კd7 10. კh6 მc6 11. კ:g7 მფ:g7 12. 0—0—0 h5 13. კb3 ლa5 (საყურადღებოა 13. ...მa5 ან 13. ...მe5 და 14. h4-ზე h5) 14. h4 მb4? (შავები განაგრძობენ მცდარი გეგმის განხორციელებას. ცხადია, აქ ფიგურული შეტევა ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამ პარტიაში, ყველაფერთან ერთად, შავებმა დაივიწყეს c ხაზი, თამაშის შექმნის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ახლა ნატო ყუფარაძე ენერგიული მოქმედებით ფორსირებულად იგებს) 15. h5 მ:h5 16. a3 მc6 17. g4 მf6 18. ლh6 მფg8 19. მd5 ეle8 20. მ:f6 ef 21. ლ:h7 მფf8 22. ლ:h7×.

ბათუმი, 1988 წლის ივლისი. საქართველოს მოსწავლეთა პირველობა. თეთრებითაა ოჩამჩირელი პირველთანრიგოსანი აროնია.

**არონია-ყუფარაძე.** 1. e4 e6 2. მf3 მc6 3. d4 d5 4. e5 f6 (გათამაშდა ფრანგული დაცვისა და ნიმცოვიჩის დებიუტის ნარევი) 5. კb5 კd7 6. 0—0 ლe7 (სანახავია 6. ...მ:e5 7. მ:e5 კ:b5 8. ლh5 მფe7) 7. მc3 0—0—0 8. კf4 (შაბლონური სვლაა. ჯობდა 8. კ:c6 შავი ცენტრალურ უჯრებზე კონტროლით) 8... g5 9. კg3? (ეს კი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი შეცდომაა) 9. ...h5! 10. h3 f5 11. კh2 g4 12. მd2 ლg7 (12. ...მ:d4) 13. მფh1 მh6 14. ეg1 ლf7 15. g3 gh 16. ლf3 მ:d4 17. კ:d7 ე:d7 18. ლd3 მc6 19. ეge1 კg7 20. მf3 მg4 21. ეe2 კh6 22. ეd1 f4 23. ლb5? fg 24. კ:g3 ლ:f3 25. მფh1 ლg2×.

გადიდი (ვანის რაიონი). 1988 წელი, აგვისტო. მოსწავლეთა საკავშირო ფესტივალი. თეთრებითაა მახარაძელი ოსტატობის კანდიდატი სევაკიანი.

**სევაკიანი-ყუფარაძე.** ფრანგული დაცვა. 1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. dc (ხელს უწყობს მეტოქის განვითარებას. თამაშობენ 5. კb5 ან 5. მgf3 და თუ 5. ...a6, მაშინ 6. dc) 5. ...კ:c5 6. მb3 კe7 7. კf4 მf6 8. მd4 მc6 9. მb5 (რაღაც ილუზიური მუქარების გამო თეთრები ივიწყებენ განვითარებას) 9. ...0—0 10. მc7 ეb8 11. მ:d5? ეa8? (შავებს ჰქონდათ საინტერესო შესაძლებლობა: 11. ...მ:d5 12. კ:b8 კb4 13. c3 ეe8 14. კe2 მ:c3—+. ტექსტში სვლის შემდეგ, თეთრებს 12. მc7! სვლით შეუძლიათ გამოიწვიონ ლაზიერების გაცვლა) 12. მ:e7? ლ:e7 13. კe2 ეd8 14. კd2 ვნახოთ ერთი შესაძლებელი გაგრძელება: 14. ლc1 მd4 15. c3 მ:e2 16. მ:e2 კg4 17. f3 ეe8 18. ლc2 მd5 19. კc1 კf5! 20. ლd1 ეad8—+) 14. ...მe4 15. მf3 კg4 (ასეთ დროს ნამდვილი მესამეთანრიგოსანი ნებდება) 16. 0—0 მ:d2 17. კd3 მ:f1 18. მფ:f1 მფf8 19. ლd2 კ:f3 20. gf მd4 21. ეe1 მ:f3 22. ლf4 მ:e1 23. კe2 მ:c2 24. კf3 ეd4 25. ლf5 ლe1 26. მფg2 მe3 27. fe ეd2 როგორც იქნა, სევაკიანი დანებდა. შეუპოვარი წინააღმდეგობა და ბრძოლის უაზრო გაჭიანურება ერთმანეთში არ უნდა გვერეოდეს.

სამივე პარტიაში ნატო ყუფარაძე გააზრებული და გაბედული მოქმედებით საკმაოდ ადვილად გაუსწორდა თავის მეტოქეებს. თავისთავზე სერიოზული მუშაობით (ამჟამად მას მწვრთნელი არა ჰყავს) ნიჭიერი გოგონასაგან მომავალში მნიშვნელოვან წარმატებებს უნდა ველოდოთ.

შეუფერებელი თანრიგები უარყოფით და, ხშირ შემთხვევაში, დამღუპველ დაღს ასვამს ნორჩ მოჭადრაკეს, მის მომავალს. ნორჩი მოჭადრაკეები (და მშობლები!) არ უნდა აყვნენ ცდუნებას და გულმოდგინე მეცადინეობითა და პრაქტიკით ესწრაფონ შემოქმედებით ზრდას, რაც, თავისთავად, ბუნებრივად გამოიწვევს საკლასიფიკაციო საფეხურებზე ზესვლას, სპორტულ წარმატებებს.

### ჩვენი არქივიდან

ამოსახსნელად გთავაზობთ თბილისის 1926 წლის ჩემპიონის, ანდრეი სმოროდსკის (შარშან შესრულდა 100 წელი მისი დაბადებიდან) თანამედროვეთათვის უცნობი პარტიის დაბოლოებას.

სმოროდსკი



ფაინი

სვლა შავებისაა. ველით პასუხს.

## ლოკოკინების მარათონი

ბასკეთში (ესპანეთი) ყოველწლიურად იმართება ლოკოკინების ტრადიციული შეჯიბრებები. ამას წინათ ჩატრებულ ოლიმ-




## ჯადოსნური სარკე

პიადაში გაიმარჯვა ლოკოკინამ, რომელმაც 240 გრამიანი ტვირთით 10 წუთში 12,8 სმ მანძილი გაიარა. ჩემპიონმა გაუსწრო თავის 55 მეტოქეს, მაგრამ წინა წელს დამყარებული რეკორდი (88 სმ) ვერ გააუმჯობესა.

ლოკოკინებს მრავალი გულშემატკივარი ჰყავთ, რომლებიც ჰელავენ, ყვირიან, ამხნევებენ და აქეზებენ თავიანთ რჩეულებს.

## ისევ თამბაქოს მავნებლობაზე

გდრ-ის ქალაქ დრეზდენის ჰიგიენის მუზეუმში ყველას ყურადღებას იპყრობს ერთი მოდელი. მანეკენს პირში სიგარეტს უდებენ, ისიც თამბაქოს „ეწევა" და მინის ტიხარის მიღმა ჩანს, როგორ ილექება კვამლი მის „ბრონქებში". გარკვეული დროის შემდეგ მანეკენის ფილტვები იწმინდება ან იცვლება, რაც, სამწუხაროდ, შეუძლებელია მოხერხდეს ადამიანის ორგანიზმში.

## ყველაზე სწრაფი

დასავლეთგერმანელმა მბეჭდავმა გაბრიელე მონატმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა მანქანაზე სწრაფ ბეჭდვაში. მისი შედეგია 1001 დარტყმა წუთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



● თუ დედამ პარკეტის იატაკის ლაქით დაფარვა მოისურვა, შეგიძლია ეს სამუშაო თვითონ შეასრულო სწრაფად და ხარისხიანად. ოღონდ, გირჩევ, ფუნჯს ნუ იხმარ. ჩვარსაჭერში ორი რეზინის ღრუბელი ჩაამაგრე და იმით იმუშავე. ღრუბლები იატაკზე ზოლს არ ტოვებენ, წელში მოხრა ან ჩაცუცქვა არ დაგჭირდება და ლაქის სუნიც ნაკლებად შეგაწუხებს.

● ფანჯრის მინების დაგოზვისას ფეხსაცმლის მაშველას (ჯობს ლითონისა) თუ იხმარ, ნამუშევრით კმაყოფილი დარჩები: მაშველას მომრგვალებული ბოლო საგოზს კარგად ასწორებს, ზედმეტ ნაწილს აცლის და თანაბარ ნაკერს ქმნის.

● თუ შენს საბაღე ნაკვეთში კენკროვანი ბუჩქის ცენტრში მილის ნაჭერს ჩაარჭობ, რომელსაც ზემო წვერში ნახვრეტები აქვს, მერე ზემოდან ხის- ან მავთულის წრეს ჩამოაცვამ, რომელსაც რამდენიმე ჭიმით მილს მიამაგრებ, გაგიადვილდება ბუჩქის მარგვლა, სასუქის მიცემა თუ რწყვა; გარდა ამისა, ტოტები მიწაზე აღარ გაწვება და ზამთარში თოვლიც ველარ დაამტვრევს.

● საბეჭდი მანქანის ლიტერები ყველაზე უფრო კარგად საღეჭი რეზინით იწმინდება. ასე რომ, თუ შინ საბეჭდი მანქანა გაქვთ, შეელიე ერთ ცალ საღეჭ რეზინს, იმით გაწმინდე ჭუჭყიანი ლიტერები და ნახავ, რა მადლობელი დაგრჩება დედა თუ მამა.

● კერამიკულ ფილაზე მიმხმარი ზეთის საღებავის ლაქა ძნელი ასაფხეკია. მაღაზიებში ზოგჯერ იყიდება სპეციალური გამხსნელი პრეპარატები. თუმცა შეგიძლია უამისოდაც იოლას გახვიდე: აიღე ნატრიუმის ჰიდროქსიდის (კაუსტიკური სოდა) ოცპროცენტიანი ხსნარი, ამ ხსნარით უხეში ქსოვილის ნაჭერი დაასველე და ლაქას დააფინე. საღებავი დარბილდება და 2-3 საათის შემდეგ სულ ადვილად შეძლებ მის მოფხეკას.

● ვიდრე კედელზე ახალ შპალერს გააკრავდე, ძველი აუცილებლად უნდა აძრო. ეს კი საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. ამიტომ ასე მოიქეცი: ნაჭერი დაასველე, კედელს ააფარე და ზედ ცხელი უთო გაუსვი. შპალერი ადვილად აძვრება და დროცა და ენერგიაც დაგეზოგება.











# სარჩევი

ნ. ხარაზიშვილი — მეგობარი მეგობრით იცნობა (ნარკვევი) . . . გარეკ. 2
პ. ფირსოვი — „შენი სტრიქონი ფესტივალისადმი მისალმებაში" (წერილი) . . . 2
ვლ. ასლამაზიშვილი — გუგრუცანა (მოთხრობა, დასასრული) 4
მაყვალა მრევლიშვილი — 80 . . . 11
ნ. ღვინეფაძე — ლექსები . . . 12
თ. გოგოლაძე — კიდევ ერთხელ და... მრავალჯერ! (წერილი) 12
მ. ჩხეტიანი — ჩემი ჭრელი ფარდა (ლექსი) . . . 13
გ. ჭიჭინაძე — დრუნჩამ სახლი აიშენა (პიესა) . . . 15
ე. გორგაძე — ყოჩაღი ბიჭები და ბეჯითი გოგონები (წერილი) 18
აისი . . . 20
მაღალი ზნეობის გაკვეთილი (წერილი) . . . 20
ი. ბლიაძე, რ. გოჭორიშვილი — ვიწყებთ დაპროგრამებას (წერილი) . . . 22
როკ-ჯგუფი „იუ-2" (წერილი) . . . 23
კოცონი . . . 24
ლ. არაბული — პაემანი (მოთხრობა) . . . 24
ჯ. კასრაძე — ელიტები (ნარკვევი) . . . 26
ე. კოლოძვარი — ოცდაათი მაიმუნი და ოცდაათი ქუდი (მოთხრობა) . . . 28
ნაირფერი ყელსახვევების კავშირი (წერილი) . . . 29
„მხედრიონი" . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . 31
ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3
ყურადღება! ვაცხადებთ კონკურსს! . . . გარეკ. 4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ედ. ამბოკაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, ხიმონ შაჩერიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-58-95, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26.01.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.03.89 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85. შეკვ. 204. ტირაჟი 151000. ეგზ., უე 09196.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_8$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 151 000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1989 წ.

КОНТРОЛЬНЫЙ

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კროსვორდი

თარაზულად: 1. პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობა და სოლიდარობა; 9. განიზმის მიერ გარეშე ნივთიერების შეთვისების პროცესი; 5. ნაწილების გაერთიანება ერთ მთელად; 6. ქართველ მეფეთა კარის თანამდებობა, რომელიც მერე გვარად იქცა; 7. თვალის ფერადი გარსი; 8. საჭირო მომენტში დამოუკიდებელი აქტიური მოქმედების უნარი; 12. სოკო, რომელიც ძირითადად კვების პროდუქტებს უჩნდება; 13. ქართლის რაიონის მდინარე.



ბატზე მომცრო ფეხაპკიანი ფრინველი; 10. ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი; 11. ყვითელყვავილიანი ბუჩქი, შხამიანი მათრობელა მცენარე; 14. ბერძნული ანბანის ასო; 15. გარიყრაჟი; 16. მხარზე გადასაკიდებელი ჩანთა.

შვეულად: 2. სახელობითი ბრუნვა; 3. დამახასიათებელი სუნის მქონე აქროლადი ორგანული ნივთიერება; 4. ორ-

შეადგინა
ალ. გორგიშელმა

## შარადები

„ის თვე წინ რომ გედოს.
ზამთარს
ნურც აძაგებ და ნურც აქებ“,
დასაწყისი ნაწილისთვის
უკანასკნელ ხმოვანს აკლებ.
მერე ისევ ანდაზიდან
გაიხსენებ დასკვნით სახელს:
„დედა ნახე, მამა ნახე,
იგი ისე გამონახე“. —
ოღონდ, სანამ შეაერთებ,
შეამცირებ წინა ბგერით
და პასუხად — სამეგრელოს
ქალაქია მშვენიერი.

●

სათუთის სინონიმია,
გეცოდინება, მჯერა,
ოღონდაც უნდა მოაკლო
უკანასკნელი ბგერა;
თან ბაცის საპირისპირო
სახელსაც გეტყვი ხელად,
და წინა ბგერის მოშლაშიც
არ დაგჭირდება შველა.
ახლა ორივე ნაწილი
შეაერთე და ნახე,
ბოლოს პასუხად მიიღებ
ნუგბარი ნამცხვრის სახელს.

შოთა
ამირანაშვილი

## გამოცანები

●

ნემსით მხვრეტენ შუაგულში,
მაგრამ არა ვყვირი,
ძაფზე კი ვარ აგებული,
მაგრამ არ ვარ მძივი.
აბა, გემო გამისინჯე,
საამო ვარ, ტკბილი,
არცთუ ძნელი საშოვნი ვარ,
არცთუ ისე ძვირი.

●

ზაფხულ — ცივი,
ზამთარ — თბილი,
გარმონივით
გაწელილი.

●

ხის ტოტები თავზე მადგას,
ფოთლები არ მასხია,
წყაროს წყალს ვსვამ,
ბალახსა ვჭამ,
გამოიცან, რა მქვია.

ალ. საყვარელიძე

## ქაღალდის ტკაცუნები

მარცხნივ გამოსახული ტკაცუნას გაკეთება ნახაზის მიხედვით შეგიძლია. მარჯვენა დასაწყისში თან ხვდება მარცხენას: მკვრივი ქაღალდის ფურცელს გაკეცავ სიგრძივ და განივად, გატკეცავ და კუთხეებს ფურცლის გასწვრივი ღერძისაკენ გადაკეცავ. ამის შემდეგ ნაკეთობა სიგრძივ კი არა, განივად უნდა გადაკეცო, რის შედეგადაც მიიღება ტრაპეცია. თითოეული გვერდის ზედა კუთხე გადაკეცე ისე, რომ ტოლფერდა სამკუთხედი გამოვიდეს. უკანასკნელი ოპერაციის შესრულებამდე ნაბიჯით უკან უნდა დაიხიო — დაუბრუნდე ტრაპეციას და მისი ზედა კუთხეები სამკუთხედში ჩაკეცო.



### პასუხები №2-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

#### თავსატეხი

კანჭარი
ვეფხი
სირი
ტრედი
აქლემი
ყორანი
იადონი
აზავერი
ცხვარი
ცხენი
ჯიქი
მარიხი
ნყში
ქორი

#### გამოცანები

რვაფეხა, ლელვი, ელექტროდენი.

#### შარადა

ლი, ხახვი, ლიახვი.

#### მეტაგრამები

ბზე — მზე, ტალახი — ბალახი, გზა — ბზა

#### კროსვორდი

თარაზულად: 1. გოგებაშვილი; 9. „მზიური“; 10. ლაზიკა; 12. ალალი; 14. სამოა; 16. სიმინდი; 19. ბამბა; 20. მუყაო; 21. შროშანი; 22. რიქშა; 23. მერხი; 25. კალორია; 27. ატრია; 31. მეტრი; 33. არენდა; 34. გუჯარი; 35. სარაჯიშვილი.

შვეულად: 1. სოხუმი; 2. სესია; 3. ქარქაში; 4. შველი; 5. ილუზია; 7. მზალო; 8. სკოლა; 11. ამაშუკელი; 13. გაჩაშვილი; 15. აზოტი; 17. იორლა; 18. დენთი; 19. ბარდა; 24. „ხადრა“; 26. ონტარიო; 28. ტბორი; 29. შანხაი; 30. „ჩეჩილი“; 31. მარაო; 32. იგავი.

# ყურადღება, ვაცხადებთ კონკურსს!

ძვირფასო მეგობრებო! თქვენ, ჩვენი ჟურნალის მკითხველებს, უთუოდ გახსოვთ, რომ გასული წლის მე-5 ნომერში საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციასთან ერთად გამოვაცხადეთ ვიქტორინა-კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა მოზარდი თაობისათვის მისი მშობლიური რესპუბლიკის გაცნობას. ამჯერად ვიქტორინა-კონკურსის მონაწილეთა ყურადღება მიპყრობილი იყო საქართველოს მთიანეთისაკენ, რომელიც ყოველთვის იყო მოგზაურობისა და მთამსვლელობის მოყვარულთა ინტერესების ცენტრში. მაღალმთიანი რაიონების თვითმყოფადი კულტურა, მდიდარი ფოლკლორი, თანამედროვე ყოფა, ქართველ მთამსვლელთა დიდი წვლილი ჩვენი მწვერვალების მეცნიერულ და სპორტულ შესწავლაში — აი, ამ საკითხებს ეძღვნებოდა ვიქტორინა-კონკურსის სამივე ტურის კითხვები, რომლებიც შესაბამისად, ჩვენი ჟურნალის მე-5, მე-10 და მე-12 ნომრებში გამოქვეყნდა.



ვიქტორინა-კონკურსში 200-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩნენ რაიონების მოსწავლეები. გულდასაწყვეტია, რომ ასეთი საინტერესო კონკურსის მონაწილეთა შორის თითზე ჩამოსათვლელი არიან თბილისელები.

ცხადია, კონკურსის ყველა მონაწილის ნამუშევარმა ვერ დააკმაყოფილა ჟიური. ზოგმა მონაწილემ, როგორც ჩანს, მარათონს ვერ გაუძლო და მხოლოდ პირველ ან პირველ და მეორე ტურში მიიღო მონაწილეობა, მესამე, ყველაზე რთული ეტაპი კი ვერ დაძლია. მიუხედავად ამისა, ჟურნალის რედაქცია და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია მადლობას უხდის ვიქტორინა-კონკურსის ყველა მონაწილეს, განსაკუთრებით კი გამარჯვებულებს, რომელთაც დიდი გულმოდგინებით, ინტერესით, შრომისმოყვარეობით შეასრულეს სამივე ეტაპის დავალებები.

კონკურსის ჟიურიმ გამარჯვებულად სცნო და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა კონკურსის შემდეგი მონაწილენი:

ჩხაიძე თამარ — სამტრედიის მე-6 საშუალო სკოლა;

ჩუბინიძე ლევან — ქ. რუსთავის 22-ე საშუალო სკოლა;

ჩუბინიძე ბესიკი — ქ. რუსთავის 22-ე საშუალო სკოლა;

ლონლაძე ხატია — ხაშურის ა/კ რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლა;

ჯალაღანია ლევან — ქ. ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლა;

ქურდიანი ნესტან ბიდლოს ასული — მესტიის რაიონი, მულახის სასოფლო საბჭო, მურშკელის არასრული საშუალო სკოლა.

კონკურსის ჟიურიმ საჭიროდ ჩათვალა, წაეხალისებინა კონკურსის ის მონაწილეები, რომელთაც იბეჯითეს, მოინდომეს, მაგრამ სრულად ვერ დაძლიეს და სწორი პასუხები ვერ გასცეს სამივე ეტაპის ყველა კითხვას. ასეთი კი აღმოჩნდა სამი მონაწილე:

ბექურიშვილი ირაკლი — თბილისის 179-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი;

ქულიაშვილი თემურ — თიანეთის რაიონი, სოფ. მაგრანეთი, ნაქალაქარის საშუალო სკოლა, მე-8 კლასი;

აბრამია თეა — ქ. ფოთი, მე-2 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი.

ჟიურიმ ეს სამი მონაწილეც დააჯილდოვა მთამსვლელთა ფედერაციის სიგელით.

ვიქტორინა-კონკურსის ჟიური

## ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი პირდაპირი გაგებით



„თავქუდმოგლეჯილი გარბის"



„თავმჯდომარე"



„თავმდაბალი"

ზაზა ჭითანავა.
ბათუმი, VIII კლასი.



„წყალში დგას და ცეცხლი უკიდია"



„სიხარულისაგან ფრთები შეესხა"